*დანართი №3*

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - კოლეჯის „ლაკადა“ მიერ ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| თავმჯდომარე: ნანა შარაბიძე |
| **წევრები:** |
| სალომე გოგიაშვილი |
| ნინო ქიტიაშვილი |
| ირმა ღარიბაშვილი |
| გიული გურგენიძე |
| ხათუნა ფარეიშვილი |
| იაზონ დანელია |
| ზაზა პაპიძე |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი I. შესავალი**

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „ლაკადა“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 24272879

სახე:

- ☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- ■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

**დაწესებულების ავტორიზაცია**

- ☐ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)
- ■ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 14.05.2025 წლის №522085 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. სალომე გოგიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი);
3. ნინო ქიტიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნვლყოფის ექსპერტი (წევრი);
4. ირმა ღარიბაშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) „კედლის დაფარვის სამუშაოები"; „იატაკისა და ფილის სამუშაოები";
5. იაზონ დანელია - დარგის ექსპერტი (წევრი) „ინფორმაციის ტექნოლოგია"; „კომპიუტერული ქსელი და სისტემები";
6. ხათუნა ფარეიშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი";
7. გიული გურგენიძე - დარგის ექსპერტი (წევრი) „საფინანსო სერვისები";
8. ზაზა პაპიძე - დარგის ექსპერტი (წევრი) „ელექტროობა";

ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯის „ლაკადა" პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, რისთვისაც ჯგუფმა დაგეგმა და განახორციელა ვიზიტი სსიპ კოლეჯში „ლაკადა" (მის. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ.ჯვარი, ყაზბეგის ქუჩა №2) 2025 წლის 10, 11 და 12 ივნისს (ნანა შარაბიძე, სალომე გოგიაშვილი და ნინო ქიტეიშვილი), დარგის ექსპერტებმა გიული გურგენიძემ და ხათუნა ფარეიშვილმა 10 ივნისს, ირმა ღარიბაშვილმა 11 ივნისს, ხოლო იაზონ დანელიამ და ზაზა პაპიძემ 12 ივნისს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა ნანა შარაბიძემ, სალომე გოგიაშვილმა და ნინო ქიტიაშვილმა შეისწავლეს დაწესებულების პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტებთან (I,III,IV,V) შესაბამისობა, პარალელურად დარგის ექსპერტებთან ერთად დაწესებულების შვიდი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობის ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობა.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამების განმახორციელებლებთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან გასაუბრება, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის განკუთვნილი სასწავლო და დამხმარე სივრცეების დათვალიერება. ასევე, პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება.

ვიზიტმა თანამშრომლობით, მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

| პროგრამის სახელწოდება | პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| მოდის ტექნოლოგია და დიზაინი | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | რეალურ სამუშაო გარემოში | კოოპერაციული | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ.ჯვარი, ყაზბეგის ქუჩა №2 |

### IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

*ცხრილი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის შემთხვევაში. ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით.*

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| ელექტროობა ინტეგრირებული | 30 | 9 | 0 | 0 |
| ელექტროობა მესამე დონე | 30 | 14 | 0 | 0 |
| ელექტროობა მეოთხე | 30 | 14 | 0 | 0 |
| იატაკისა და ფილის სამუშაოები | 30 | 12 | 0 | 0 |
| ინფორმაციის ტექნოლოგია | 24 | 12 | 0 | 0 |
| კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება) | 30 | 11 | 0 | 0 |
| კულინარიის ხელოვნება | 30 | 12 | 0 | 1 |
| მეხილეობა | 30 | 10 | 0 | 2 |
| საფინანსო სერვისები | 30 | 5 | 0 | 3 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შედუღება | 30 | 9 | 0 | 0 |
| ხის მხატვრული დამუშავება | 30 | 21 | 0 | 2 |
| კომპიუტერული ქსელი და სისტემები | 30 | 8 | 0 | 0 |
| კომპიუტერული ქსელი და სისტემები ინტეგრირებული | 30 | 7 | 0 | 0 |
| სამკერვალო წარმოება | 30 | 16 | 0 | 3 |

## V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

## ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

## I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 1.1) პსდ-ს მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| **4) ადამიანური რესურსები** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2) პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 5.3) ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| მოდის ტექნოლოგია და დიზაინი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| საფინანსო სერვისები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ინფორმაციის ტექნოლოგია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპიუტერული ქსელი და სისტემები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ელექტროობა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კედლის დაფარვის სამუშაოები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| **იატაკის და ფილის სამუშაოები** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

*ხარვეზი არ გამოვლენილა*

**IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

*ა.* V სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით ლიფტის და სანიტარული კვანძების სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა დასრულდეს 2025 წლის სექტემბერში.

შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია - ლიფტის და სანიტარული კვანძების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში, რათა ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესის დაწყებას.

*ბ. II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად რეკომენდაციები არ გაცემულა*

**V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

*განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა*

**VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

**1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია**

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ თავისი საქმიანობით სრულად შეესაბამება საქართველოს პროფესიული განათლების მიზნებს, რომლებიც მიზნად ისახავს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, პრაქტიკული და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას. კოლეჯის მისიაა რეგიონში და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც წარმოადგენს პროფესიული განათლების სისტემის ერთ-ერთ პრიორიტეტს. კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, რაც მათ სწრაფი დასაქმების შესაძლებლობას აძლევს. სწავლების პროცესში გამოყენებულია პრაქტიკული და ინოვაციური მიდგომები, რაც ხელს უწყობს პროფესიული უნარების გამომუშავებას. კოლეჯი აძლევს შესაძლებლობას სხვადასხვა სოციალური და გეოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლებს მიიღონ ხარისხიანი პროფესიული განათლება. კოლეჯი მუდმივად ავითარებს სასწავლო პროგრამებს და იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, რაც სრულ შესაბამისობაშია პროფესიული განათლების განვითარებასთან. „ლაკადა“ აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა მაღალ დასაქმების მაჩვენებელს, რაც ერთ-ერთი ძირითადი მიზანია პროფესიული განათლების სისტემის.

დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შიდა ადმინისტრაციული აქტით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა განხორციელა სტრატეგიული გეგმის და მისიის, ედვისა და ღირებულებების მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგად კორექტირებული იქნა და 2024 წლის 6 ნოემბრის 04/48 ბრძანებით დამტკიცდა სტრატეგიული გეგმა და მისია.

შესაბამისად, მისია ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის მისიაა რეგიონისა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის სწავლების თანამედროვე მეთოდების დანარგვით, მრავალპროფილურილური და ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდება. კოლეჯი ორიენტირებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც წარმატებით დასაქმდებიან და ხელს შეუწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

კოლეჯის მისია სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

<u>შესაბამისად, პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს</u>

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;

კოლეჯის „ლაკადა“ მისიაა რეგიონისა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვით, მრავალპროფილური და ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდება. კოლეჯი ორიენტირებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც წარმატებით დასაქმდებიან და ხელს შეუწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. კოლეჯი ამზადებს დასაქმებაზე ორიენტირებულ კადრებს სხვადასხვა სფეროში. სწავლების პროცესში გამოყენებულია თანამედროვე მეთოდები, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას. პროგრამები მორგებულია დამსაქმებელთა მოთხოვნებსა და თანამედროვე ტენდენციებს, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას. კოლეჯი თანამედროვე სწავლების მეთოდებს იყენებს, მათ შორის ციფრული ტექნოლოგიებს. კოლეჯი „ლაკადა“ ერთ-ერთი გამორჩეული კოლეჯია, რომელიც რეგიონსა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთ სთავაზობს ხელმისაწვდომ და მაღალხარისხიან განათლებას. პროგრამები ორიენტირებულია არა მხოლოდ თეორიულ ცოდნაზე, არამედ პრაქტიკულ გამოცდილებაზე, რაც ზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების შანსებს. „ლაკადა“ ხელს უწყობს პროფესიული განათლების განვითარების პროცესს, რაც ზრდის ამ მიმართულებით დაინტერესებულ პირთა რაოდენობას. კურსდამთავრებულები აქტიურად ერთვებიან შრომის ბაზარზე, რაც აძლიერებს ადგილობრივ ეკონომიკას.

<u>შესაბამისად, მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან</u>

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

კოლეჯის ხედვაა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2027 წელს იყოს მოქნილი, ინოვაციური და მოწინავე საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მაღალ ხარისხს და რეგიონში წამყვანი პსდ. ექნება მაღალი ნდობა და აღიარება. სადაც ყველა სტუდენტი შეძლებს პიროვნული და პროფესიული ზრდას, გახდება წარმატებული ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე.
კერძოდ:
თანამედროვე ინფრასტრუქტურისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა, რაც კოლეჯს კონკურენტუნარიან საგანმანათლებლო დაწესებულებად აქცევს. სტუდენტთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა – მათი უნარების გაძლიერება და დასაქმების ხელშეწყობა. მოხოვნადი პროფესიების სწავლების გაძლიერება, რაც შეესაბამება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. კოლეჯის განვითარება როგორც განათლებისა და დასაქმების დამაკავშირებელი პლატფორმა, სადაც სტუდენტები იღებენ არა მხოლოდ განათლებას, არამედ რეალურ სამუშაო შესაძლებლობებს. რეგიონული და საერთაშორისო პარტნიორობის გაფართოება, რაც სტუდენტებს საერთაშორისო გამოცდილების მიღების საშუალებას მისცემს.
კოლეჯის საქმიანობა ეფუძნება ძირითადი ღირებულებებს, რომლებიც განსაზღვრავს მის უნიკალურობას და გამორჩეულობას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან:

- კოლეჯი მუდმივად აუმჯობესებს სწავლების მეთოდებს და უზრუნველყოფს განათლების მაღალი ხარისხის შენარჩუნებას;
- განათლების პროცესში კოლეჯი უზრუნველყოფს ობიექტურობას, გამჭვირვალობას და სამართლიან მიდგომას;
- კოლეჯი პასუხისმგებლობით ეკიდება სტუდენტების მომზადებასა და დასაქმების ხელშეწყობას;
- წარმატების მთავარი ფაქტორი მომხმარებელზე, სტუდენტებსა და დამსაქმებლებზე ორიენტირებული კოლაბორაციაა;
- კოლეჯის ძირითადი პრიორიტეტი მუშაობის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიონალების მომზადებაა;
- კოლეჯი ქმნის თანაბარ შესაძლებლობებს ყველა სოციალური ფენისთვის, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორაზე მცხოვრები პირებისთვის;
- კოლეჯი აქტიურად იღებს მონაწილეობას განათლების სისტემის გაუმჯობესებაში და ერგება თანამედროვე გამოწვევებს.

<u>შესაბამისად, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები</u>

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

<u>შესაბამისად, მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2024 წლის 6 ნოემბრის N04/48 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ 2020-2026წ.წ. სტრატეგიული განვითარების გეგმა
- დაწესებულების ვებ გვერდი
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება**

**1.2.1** პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც კოლეჯი ახდენს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების დაგეგმვას, შეიმუშავებს ერთწლიან სამოქმედო გეგმას და სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის საფუძველზე ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პერიოდულ მონიტორინგს, შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში მათ დაკორექტირებას.
<u>შესაბამისად, პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას</u>

2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად შექმნილი სამუშაო ჯგუფი სტრატეგიული დაგეგეგმვის პროცესში პერიოდიულად განიხილავს აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვან საკითხებს. განხილვა მიმდინარეობს დაინტერესებულ მხარეთა, ადგილობრივი თვითმართველობის, დამსაქმებელთა, დაწესებულების პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობით. განხილულ საკითხებთან დაკავშირებით სარეკომენდაციო ხასიათის შენიშვნები აისახება შეხვედრის ოქმში. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუირების დროს აღნიშნეს, სწორედ აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე 2024 წელს განხორციელდა სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი, გაიმართა სამუშაო შეხვედრები. სტრატეგიულ გეგმაში სტრატეგიულ მიზნად დასახულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია, განისაზღვრა მიზნის მიღწევის ინდიკატორები. 2024 წლის 6 ნოემბრის N04/48 ბრძანებით დამტკიცდა სტრატეგიული გეგმის ახალი რედაქცია.
<u>შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს</u>

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მე-4 მუხლის თანახმად სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მოიცავს შემდეგ სამუშაოებს: მისიის, ხედვის, ღირებულების ჩამოყალიბება, ინფორმაციის შეგროვება, კვლევა, ანალიზი (SWOT),



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, სტრატეგიული გეგმის შემუშავება და დამტკიცება, ერთწლიანი
სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება.

სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე დგება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სტრატეგიულ გეგმაში დეკლარირებული მიზნების განხორციელებას. სამოქმედო გეგმაში ჩართული არიან ის პირები, რომლებიც უშუალოდ არიან პასუხისმგებელნი მათ შესრულებაზე.

<u>შესაბამისად, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2023 წლის 14 ნოემბრის №04/81 ბრანება სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაში ცვლილების შესახებ;
- 2024 წლის 6 ნოემბრის N04/48 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები;
- 2024 წლის 27 დეკემბრის N04/71 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ 2025 წლის სამოქმედო გეგმა.

**1.2.2** პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“-ის მე-8 მუხლის შესაბამისად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგის მიზნით, წელიწადში ერთხელ იმართება სამუშაო შეხვედრები სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით. ხდება შეგროვებული მონაცემების ანალიზი. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით, რომლის შედეგები საფუძვლად ედება მომავალი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

**შესაბამისად, პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;

სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მე-8 მუხლის თანახმად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებული მონაცემების საფუძველზე დგება და მტკიცდება წლიური ანგარიში, რომლშიც გაანალიზებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა სამოქმდეგო გეგმებით დაგეგმილ და რეალურად განხორციელებულ აქტივობებს შორის განსხვავების მიზეზები, რა ნაბიჯები უნდა დაისახოს და გადაიდგას დაგეგმვის პროცესისა და შესაბამისად განხორციელებული აქტივობების ეფექტურობისათვის.

სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს დაწესებულების დირექტორი წლიურ ანგარიშს ადგენს სხდომის ფორმატში, რომელშიც ჩართულნი არიან სტრატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხიმგებელი პირები.

**შესაბამისად, პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე**

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

2020, 2021, 2022, 2023, 2024 წლების სამოქმედო გემის შესრულების შედეგები განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე და შესაბამისად უზრუნველყოფილია მათი საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისთვის.

**შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2024 წლის 6 ნოემბრის N04/48 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „ლაკადა" 2020-2026წ.წ. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2022 წლის 30 დეკემბერი 04/90 ბრძანება 2022 წლის ანგარიშის დამტიცების შესახებ;
- 2023 წლის 8 დეკემბერი 04/87 ბრძანება 2023 წლის ანგარიშის დამტიცების შესახებ;
- 2024 წლის 8 დეკემბერი 04/87 ბრძანება 2023 წლის ანგარიშის დამტიცების შესახებ;
- 2023 წლის 14 ნოემბრის №04/81 ბრანება სსიპ კოლეჯის „ლაკადა" სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაში ცვლილების შესახებ;
- დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებული 2020, 2021, 2022, 2023, 2024 წლების ანგარიშები;
- დაწესებულების წარმომადგენლების ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

### 3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

**3.1.1** პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

პსდ პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვისა და მათთვის კანონით დადგენილი გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი რეგულაციების სრული დაცვით.

დაწესებულებას გააჩნია შიდა რეგულაციები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის უფლებებსა და მოვალეობებს. ამ დოკუმენტებიდან ძირითადია „პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შინაგანაწესი" და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", რომლებიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის სამართლებრივი აქტებით. აღნიშნული წესები არეგულირებს პროფესიული სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობის პროცესს, მიღებული განათლების აღიარებას, პროგრამის შეცვლისა და გაუქმების მექანიზმებს, ასევე პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის საკითხებს.

კოლეჯის დოკუმენტაცია ასახავს განათლების ხელმისაწვდომობის, თანასწორობის, აკადემიური თავისუფლების, დისკრიმინაციისგან დაცვის, პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობისა და ინკლუზიური განათლების პრინციპებს. ასევე გათვალისწინებულია ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ კოლეჯი ცდილობს უზრუნველყოფილ იქნეს სწავლაში ჩართულობის შესაძლებლობა სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის.

საკითხები, რომლებიც უშუალოდ არ რეგულირდება კოლეჯის შიდა დოკუმენტაციით, წარმოადგენს პროფესიული განათლების კანონმდებლობითა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის აქტებით დარეგულირებულ სფეროს, რასაც კოლეჯი სისტემურად ეყრდნობა. აქედან გამომდინარე, პსდ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვას და მათთვის კანონით განსაზღვრული საგანმანათლებლო გარანტიების უზრუნველყოფას. შიდა დოკუმენტაცია მოიცავს შესაბამისი საკითხების სრულ სპექტრს, ინსტიტუციური პრაქტიკა კი ადასტურებს ამ დოკუმენტების იმპლემენტაციას.
**შესაბამისად, პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა**

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ სისტემურად ზრუნავს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებულობაზე მათ უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებით. კოლეჯის შიდა მექანიზმები მიზანმიმართულად არის ორგანიზებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტებმა არა მხოლოდ იცოდნენ თავიანთი უფლებები, არამედ რეალურად შეძლონ მათი გამოყენება პრაქტიკაში.

სტუდენტების ინფორმირება ხდება რამდენიმე მიმართულებით:

- გაცნობითი შეხვედრების ორგანიზება პირველივე სასწავლო ეტაპზე;
- შიდა რეგულაციების – მათ შორის შინაგანაწესისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის – წარდგენა და განმარტება;
- პროფესიული განათლების კანონმდებლობის ძირითადი პუნქტების გადაცემა ადაპტირებული ფორმით;
- საკონსულტაციო სერვისების შეთავაზება;
- კოლეჯის იურისტის აქტიური მონაწილეობა სტუდენტთა მხარდაჭერის პროცესში.

აღნიშნული მიდგომები ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებულობას და რეალურ ხელმისაწვდომობას უფლებათა დაცვის მექანიზმებზე. ინსტიტუციური პრაქტიკა ადასტურებს, რომ სტუდენტები აცნობიერებენ თავიანთ უფლებებს და, საჭიროების შემთხვევაში, იყენებენ მათ დასაცავად განსაზღვრულ პროცედურებს. ამასთან, სტუდენტებს ევალებათ დაიცვან შიდა დისციპლინის ნორმები, აკადემიური წესები და ეთიკური სტანდარტები.
<u>შესაბამისად, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს</u>

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

პსდ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებულობას როგორც შეფასების სისტემის, ისე შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმების შესახებ.

სწავლის პროცესის დასაწყისშივე პროფესიული მასწავლებლები სტუდენტებს აწვდიან დეტალურ ინფორმაციას შეფასების სისტემაზე, მათ შორის – შეფასების ფორმებზე, კრიტერიუმებზე და მინიმალურ ზღვარზე. აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება უზრუნველყოფს სტუდენტთა წინასწარ მომზადებასა და მოლოდინების სწორ ფორმირებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ცალკე გაწერილია როგორც შეფასების სისტემა, ისე გასაჩივრების პროცედურები, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლებრივ და ადმინისტრაციულ გამჭვირვალობას. აღნიშნული დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია კოლეჯის ვებგვერდზე, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს ნებისმიერ დროს გაეცნონ მათ უფლებებს ამ მიმართულებით.

სტუდენტს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია განსაზღვრული პროცედურების ფარგლებში მიმართოს კოლეჯის ადმინისტრაციას შეფასების შედეგების გასაჩივრებასთან დაკავშირებით. გასაჩივრების მექანიზმი ითვალისწინებს შეფასების შედეგების ანალიზსა და განმარტებას, საჭიროების შემთხვევაში – გადახედვას. ეს იძლევა სტუდენტებისთვის დამატებითი დაცვის მექანიზმს და აყალიბებს სამართლიან სასწავლო გარემოს.
<u>**შესაბამისად, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით**</u>

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

პსდ პროფესიული სტუდენტების მიღებისას მათთან აფორმებს ინდივიდუალურ ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს სწავლასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ასპექტებს. ხელშეკრულებაში ასახულია როგორც აკადემიური პირობები და შეფასების სისტემა, ასევე სოციალური და ადმინისტრაციული გარანტიები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის უფლებებისა და ინტერესების დაცვას სწავლის პროცესის ყველა ეტაპზე.

ხელშეკრულება ასევე ზუსტად განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას. დოკუმენტი ქმნის სამართლებრივ ბაზას პსდ-სა და სტუდენტს შორის ურთიერთობისთვის და ხელს უწყობს გამჭვირვალე, სამართლებრივად დაცულ გარემოს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არასრულწლოვანი სტუდენტების მიღების პროცესს. აღნიშნულ შემთხვევაში კოლეჯი სრულად იცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. არასრულწლოვან სტუდენტებთან ხელშეკრულება ფორმდება მათ მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან, რაც უზრუნველყოფს არასრულწლოვანი პირების ინტერესების დაცვას.
<u>**შესაბამისად, პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა**</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პსდ, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმების შემუშავებას, რაც მიზნად ისახავს სტუდენტთა უნარების, საჭიროებებისა და პროფესიული მიზნების მაქსიმალურ გათვალისწინებას სასწავლო პროცესში.

პსდ აგრეთვე აქტიურად ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების პრინციპებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სრულფასოვანი ჩართვისთვის. სასწავლო პროცესში აღნიშნული პირების ინტეგრირება ხდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმ პირის ასისტენტის და კვალიფიციური პედაგოგების მონაწილეობით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის კოლეჯი ამზადებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რომლებიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და საჭიროებს შესაბამის მოდიფიცირებას. აღნიშნული გეგმები სრულად ასახავს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას და განკუთვნილია სასწავლო პროცესის ოპტიმალურად წარმართვისთვის.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე განმახორციელებლები მიმართავენ განსხვავებულ სწავლების მეთოდებს და სტრატეგიებს, რაც საშუალებას აძლევს შექმნან ხელსაყრელი სასწავლო გარემო სსსმ სტუდენტების ეფექტური განვითარებისთვის. <u>შესაბამისად, პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025 წლის 20 თებერვლის ბრძანება N04/07 სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2025 წლის 20 თებერვალის #04/09 ბრძანება სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ
- 2025 წლის 27 თებერვლის #04/19 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის წესი
- 2025 წლის 25 თებერვალი #04/15 ბრძანება სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმის დამტკიცების შესახებ
- პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები (შეფასების სისტემაზე ინფორმირებულობის უზრუნველყოფისა და გასაჩივრების მექანიზმებით სარგებლობის ნაწილში)
- პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს/მის კანონიერ წარმომადგენლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მოქმედი ვერსიის ნიმუშები (სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

**3.2.1** პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ წარმატებით უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების აკადემიური მხარდაჭერის მექანიზმებს, რომლებიც მოიცავს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ კონსულტაციებს და დამატებით სასწავლო აქტივობებს.

პროფესიულ სტუდენტებს კონსულტაციებს აწვდიან როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლები, ისე ადმინისტრაციული პერსონალი, მათ შორის კარიერული და სასწავლო პროცესის მენეჯერები. კონსულტაციების ფარგლებში ხორციელდება ინდივიდუალური განვითარების დაგეგმვა, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და პროფესიული მიზნების რეალიზაციას.

კოლეჯი ასევე უზრუნველყოფს დამატებით რესურსებს — ბიბლიოთეკის და ელექტრონული საგანმანათლებლო მასალების ხელმისაწვდომობას — რაც ხელს უწყობს დამოუკიდებელი სწავლის პროცესს.

აღსანიშნავია პსდ-ს აქტიური თანამშრომლობა როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო ინსტიტუტებთან, რაც სტუდენტებს აძლევს დამატებითი საგანმანათლებლო და ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობას. მაგალითად, ამის მაგალითია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ განხორციელებული „მწვანე და აგროსტიპენდიების პროგრამა“. ამ ინიციატივის ფარგლებში, კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ ორი სტუდენტი დაჯილდოვდა სტიპენდიებით, რაც მათ დამატებით მოტივაციაა პროფესიული განათლების გაღრმავებისთვის.

ასევე, სტუდენტთა განვითარების ხელშეწყობის კიდევ ერთი წარმატებული მაგალითია კოლეჯის წარმომადგენლის მონაწილეობა Erasmus+ პროგრამაში. საგანმანათლებლო პროგრამა კულინარიის ხელოვნების სტუდენტმა წარმატებით გაიარა საქართველოს უნარების სააგენტოს პროექტის ფარგლებში სამთვიანი სტაჟირება ბუდაპეშტში. მან შეიძინა პრაქტიკული გამოცდილება კულინარიული ხელოვნების სფეროში, გაიღრმავა ცოდნა საერთაშორისო გასტრონომიულ ტენდენციებზე და განავითარა პროფესიული უნარები.

პსდ ქმნის ეფექტურ და ყოვლისმომცველ გარემოს, რომელშიც მხარდაჭერილია სტუდენტების წინსვლა, რაც ასტიმულირებს სწავლის პროცესს და ზრდის მათ მოტივაციას.
**<u>შესაბამისად, პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად</u>**

2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ სისტემურად და მიზანმიმართულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სწრაფ და წარმატებულ ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან სწავლების დაწყებიდანვე.

ახალ პროფესიულ სტუდენტებს დეტალურად მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამის, შეფასების სისტემის, შიდა რეგულაციების და სასწავლო ინფრასტრუქტურის შესახებ, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათ სწრაფ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

ამასთან, კოლეჯი აქტიურად იყენებს გამოცდილ სტუდენტებსა და პროფესიულ მასწავლებლებს, რომლებიც ახალ სტუდენტებს აკადემიურ და სოციალურ მხარდაჭერას სთავაზობენ.

მნიშვნელოვანია, რომ კოლეჯი არა მხოლოდ აკადემიურ პროცესს აქცევს ყურადღებას, არამედ სოციალური და ეკონომიკური ჩართულობის გაძლიერებასაც. ამის მაგალითია, ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები პირებისთვის სპეციალურად განკუთვნილი მომზადების პროგრამა „შიდა წყალმომარაგება და წყალარინება“. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სტუდენტთა ადაპტაციაზე, მათი პროფესიული უნარების განვითარებაზე და სასწავლო პროცესში ინტეგრაციაზე.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯი არა მხოლოდ სასწავლო პროცესზეა ორიენტირებული, არამედ სტუდენტთა სოციალური და ეკონომიკური ჩართულობის გაძლიერებაზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სტუდენტებისთვის, რომლებიც ოკუპირებული ტერიტორიიდან ან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებიდან მოდიან. პროგრამის ფარგლებში, მსმენელებს კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერა და პროფესიული განვითარების პერსპექტივები მიეწოდათ.

სტუდენტთა სოციალური ინტეგრაცია მხარდაჭერილია აქტიური ჩართულობით სხვადასხვა კლუბებსა და კულტურულ-სპორტულ აქტივობებში, რაც ხელს უწყობს სოციალური კავშირების ჩამოყალიბებას და საერთო განათლების ხარისხის ამაღლებას.

ამგვარად, პსდ წარმატებით ახორციელებს მრავალმხრივ მხარდაჭერას პროფესიული სტუდენტების ადაპტაციის პროცესში, რაც უზრუნველყოფს მათ არამხოლოდ სასწავლო გარემოსთან სწრაფ და ეფექტურ ინტეგრაციას, არამედ პროფესიულ და სოციალურ განვითარებას, რაც ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.
**<u>შესაბამისად, პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან</u>**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

პსდ პროფესიულ სტუდენტებს უწევს დროულ და ეფექტურ ადმინისტრაციულ მომსახურებას, რომელიც მოიცავს სასწავლო პროცესთან, დოკუმენტაციასთან და აკადემიურ სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებს.

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი ადმინისტრაციული სერვისები, მათ შორის ცნობების გაცემა, სასწავლო პროცესში ცვლილებების განხილვა, მობილობის პროცედურების ორგანიზება და სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა.

დაწესებულების ადმინისტრაცია პასუხისმგებლობით ზრუნავს რომ ყველა ადმინისტრაციული საკითხი მოგვარდეს დროულად, რათა ადგილი არ ჰქონდეს ბიუროკრატიულ შეფერხებებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას.
<u>შესაბამისად, პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას</u>

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;

პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

პსდ აქტიურად უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების არაფორმალურ განათლებასა და ინიციატივების განვითარებას სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურულ და სოციალურ აქტივობათა მეშვეობით.

პსდ-ს განხორციელებული აქვს ორი მნიშვნელოვანი პროექტი, რომლებიც პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერით განახორციელა:

1. **„ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარება სსიპ კოლეჯში „ლაკადა“ – კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივისტი“** ამ პროექტის მიზანი იყო სტუდენტთა პიროვნული და სოციალური კომპეტენციების გაძლიერება, მოტივაციის ამაღლება და მათი ჩართულობის გაზრდა საზოგადოებრივ და სასწავლო ცხოვრებაში. პროექტის ფარგლებში შეიქმნა და ფუნქციონირებს:

- კინოკლუბი – ვიდეო და კინოხელოვნების პოპულარიზაცია, ფილმების ჩვენება და ანალიზი; შეიქმნა კოლეჯის „ლაკადა“ ვიდეო-ფილმი;
- ლიტერატურულ-შემეცნებითი კლუბი – ღია ბიბლიოთეკის მოწყობა, ლიტერატურული საღამოები და წიგნის განხილვები; მოეწყო ღია ბიბლიოთეკა, რომელიც გამდიდრდა როგორც შეძენილი, ისე სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ შემოწირული წიგნებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „აქტიური მოქალაქე“ კლუბი – სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა, ტრენინგები ადამიანის უფლებებზე და პროექტების მართვის უნარების განვითარებაზე.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები მედია და ციფრული უნარების, სამოქალაქო ჩართულობისა და კულტურული ცნობიერების თემებზე, ასევე სასწავლო ვიზიტები ხელოვნების უნივერსიტეტსა და პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

2. **პროექტი: „მეწარმეობის უნარების განვითარება სოციალური მედიის ეფექტური გამოყენებით“** პროექტი უზრუნველყოფს არაფორმალურ სასწავლო სივრცეს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტთა მეწარმეობის, კომუნიკაციის და ციფრული უნარების განვითარებას. შექმნილია „სტუდენტური ჰაბი“ — თანამედროვე სივრცე ჯგუფური მუშაობისა და აქტივობებისთვის.

   სტუდენტები მონაწილეობენ მეწარმეობითი პროექტების შექმნაში, სწავლობენ ბიზნესის მართვას, ციფრული მარკეტინგისა და სოციალური მედიის გამოყენებას. ტარდება სპეციალიზებული ტრენინგები ბიზნეს მოდელირებაზე, ფინანსურ მართვასა და ლიდერობაზე, აგრეთვე სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა შეხვდნენ წარმატებულ მეწარმეებს.

აღნიშნული პროექტები მნიშვნელოვანად უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების პიროვნული და სოციალური კომპეტენციების განვითარებას, არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის ზრდას და პროფესიული უნარების გაძლიერებას. პროექტების შედეგად ჩამოყალიბებული კლუბები დღემდე აქტიურად ფუნქციონირებენ და ხელს უწყობენ სტუდენტთა მრავალმხრივ განვითარებას.

**<u>შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას</u>**

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

პსდ მიზანმიმართულად აგროვებს პროფესიული სტუდენტების უკუკავშირს და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს სასწავლო და ადმინისტრაციული გარემოს გაუმჯობესების მიზნით.

სტუდენტთა მოსაზრებების და საჭიროებების შესაგროვებლად კოლეჯი იყენებს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ კვლევით მეთოდებს — მათ შორის ანონიმურ ელექტრონულ გამოკითხვებს (Google Forms-ის გამოყენებით), ფოკუს-ჯგუფურ შეხვედრებს, პირისპირ ინტერვიუებსა და თემატურ სამუშაო სესიებს. სტუდენტებს ასევე ეძლევათ შესაძლებლობა თავიანთი სურვილები და პრობლემები დააფიქსირონ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით და კოლეჯში განთავსებულ სურვილების ხეზე.

მიღებული უკუკავშირის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები მოიცავს როგორც ფიზიკური გარემოს, ისე სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. კონკრეტული მაგალითებია:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დამატებითი სივრცეების მოწყობა ჯგუფური მუშაობისთვის;
- ტექნიკური აღჭურვილობის განახლება;
- კომფორტული მოსასვენებელი ზონების მოწყობა;
- მცირე მხატვრული ლიტერატურის ბიბლიოთეკური კუთხის შექმნა, სტუდენტების მიერ შერჩეული წიგნებით;
- ექსკურსიების და არაფორმალური აქტივობების დაგეგმვა.

ასევე, სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე შემუშავდა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დაფინანსდა ორი პროექტი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა სტუდენტური კლუბები და არაფორმალური განათლების სივრცეები, მათ შორის: კინოკლუბი, ლიტერატურულ-შემეცნებითი კლუბი, „აქტიური მოქალაქე“, „სტუდენტური ჰაბი“ და „მეწარმეობა მომავლისთვის“.

<u>შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025 წლის 25 თებერვალი #04/15 ბრძანება სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმის დამტკიცების შესახებ
- პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები (აკადემიური მხარდაჭერის მიღების შეფასების ნაწილში)
- 2025 წლის 20 თებერვალის #04/09 ბრძანება სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ განხორციელებული მომზადების პროგრამა – „შიდა წყალმომარაგება და წყალარინება“
- 2023 წლის 27 იანვრის #04/05 ბრძანება სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ აპლიკანტის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხარდაჭერისა და კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- დაფინასებული პროექტების ხელშეკრულებები
- პსდ-ს ვებგვერდი და ფეისბუქ გვერდი - განხორციელებული ღონისძიებების ფოტო მასალა
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები

**3.2.2** პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;




ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;

პსდ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების კარიერული განვითარების ხელშეწყობას და მათი პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერას როგორც სტუდენტობის პერიოდში, ასევე სწავლის დაწყებამდე პოტენციური სტუდენტებისთვის.

პსდ აწვდის კარიერული მხარდაჭერის მრავალმხრივ სერვისებს, რაც მოიცავს ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს პროფესიული ორიენტაციის, შრომის ბაზრის ტენდენციების, მოთხოვნადი პროფესიებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ დასაქმების ფორუმებში, ღია კარიერის დღეებში, შეხვდნენ დამსაქმებლებს, გაეცნონ მიმდინარე ვაკანსიებს და სტაჟირების პროგრამებს. ამავდროულად, კოლეჯი სთავაზობს ტრენინგებს, რომელთა მიზანია სტუდენტთა უნარების გაძლიერება პროფესიულ თვითწარდგენასა და დასაქმებისთვის მომზადებაში (CV-ის შედგენა, გასაუბრებისთვის მომზადება, კომუნიკაციის თანამედროვე ტექნიკები და სხვ.).

რაც შეეხება პოტენციურ სტუდენტებს, მათთვის ხელმისაწვდომია კარიერული კონსულტაციები სწორი პროფესიული არჩევანის გასაკეთებლად. აღნიშნული მომსახურება ეხმარებათ მათ თავიანთი ინტერესებისა და შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით შეარჩიონ პროფესიული პროგრამა. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმარების მენეჯერი ახორციელებს სპეციალურ ტრენინგ-კურსს „კარიერული განათლება".
ხელს უწყობს პროფესიული ორიენტაციის გაძლიერებას, შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირს და სტუდენტების რეალიზაციის შესაძლებლობების ზრდას.

პსდ ხელს უწყობს პროფესიული ორიენტაციის გაძლიერებას, შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირს და სტუდენტების რეალიზაციის შესაძლებლობების ზრდას.
<u>**შესაბამისად, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის**</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

პსდ სისტემურად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინფორმირებას დასაქმებისა და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, კერძო სექტორის წარმომადგენლებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან. პროფორიენტაციისა და კარიერული მხარდაჭერის სპეციალისტი უზრუნველყოფს იმ მექანიზმების მოქმედებას, რომლის მეშვეობითაც პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია ვაკანსიებზე, სტაჟირებების შესაძლებლობებზე და პროფესიული ზრდის მხარდამჭერ პროგრამებზე.

ინფორმაციის გავრცელება ხორციელდება სხვადასხვაგვარი კომუნიკაციის მეშვეობით — მათ შორის სოციალური ქსელების, კოლეჯის ვებგვერდის, სპეციალიზებული ვაკანსიების პორტალების, ელფოსტისა და სატელეფონო კავშირის გამოყენებით. დამატებით, კოლეჯი იყენებს საინფორმაციო კედელს და პირდაპირ შეხვედრებს სტუდენტებთან.

გარდა ამისა, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინფორმირებას საგრანტო შესაძლებლობებისა და პროფესიული განვითარების პროექტების შესახებ, რითაც ამაღლებს მათ ჩართულობას შრომის ბაზარზე და ხელს უწყობს კარიერული გზის დაგეგმვაში.
<u>შესაბამისად, პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით</u>

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

პსდ ახორციელებს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლების შესწავლისა და ანალიზის პროცესს. აღნიშნული კვლევები წარმოადგენს მენეჯმენტისთვის მნიშვნელოვან მექანიზმს, რათა განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და დაიგეგმოს შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაქმების კვლევები მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მონაცემთა შეგროვებას. სტუდენტები და კურსდამთავრებულები მონაწილეობენ ონლაინ კითხვარების შევსებაში, ფოკუს-ჯგუფებში და ინდივიდუალურ ინტერვიუებში. ამასთანავე, კოლეჯი რეგულარულად იღებს ინფორმაციას დამსაქმებლებისგან — იკვლევს მათ მოთხოვნებს და იმ გამოცდილებას, რაც აქვთ კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობისას.

დამატებით, კოლეჯი მონაწილეობს პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ეროვნული მასშტაბის კვლევებში, რაც უზრუნველყოფს მონაცემების რელევანტურობასა და ადეკვატურობას.
<u>**შესაბამისად, პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით**</u>

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

პსდ იყენებს კვლევით მონაცემებსა და სტუდენტთა უკუკავშირს კარიერული მომსახურების სისტემური გაუმჯობესებისთვის.

დაწესებულება რეგულარულად ატარებს კარიერული მხარდაჭერის ხარისხის შეფასებას და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს. უკუკავშირი იკრიბება როგორც მიმდინარე სტუდენტების, ისე კურსდამთავრებულებისგან — კითხვარების, ინტერვიუების და ფოკუს-ჯგუფების საშუალებით.

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, კოლეჯი ასრულებს მიზნობრივ გაუმჯობესებებს: იხვეწება კარიერული კონსულტაციების შინაარსი, იზრდება სერვისების მრავალფეროვნება, ძლიერდება დამსაქმებლებთან კავშირი და ფართოვდება საგანმანათლებლო/სტაჟირების შესაძლებლობების სპექტრი. ეს ღონისძიებები მიმართულია სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების ეფექტიანობის ზრდისკენ.
<u>**შესაბამისად, კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2025 წლის 25 თებერვალი #04/15 ბრძანება სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმის დამტკიცების შესახებ;
- 2023 წლის 27 იანვრის #04/05 ბრძანება სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ აპლიკანტის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხარდაჭერისა და კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები (დასაქმების შესაძლებლობებისა და ვაკანსიებზე ინფორმირების მიღების შეფასების ნაწილში);
- კურსდამთავრებულთა კვლევები;
- კარიერული მომსახურების კვლევის კითხვარი;
- კითხვარის მოქმედი ვერსიის ნიმუში;
- განხორციელებული კვლევის ნარატიული ანალიზი;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 4. ადამიანური რესურსები

### 4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

**4.1.1** პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია, სსიპ კოლეჯ ,,ლაკადა"-ს დირექტორის ბრძანებით (დამტკიცებულია მ/შ 2024 წლის 21მარტისN04/07 დანართი №18), დოკუმენტში შემუშავებულია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ყველა სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს კოლეჯში გაწერილია დეტალურად და ჩამოყალიბებული სიღრმისეულად, ფუნქცია-მოვალეობები გადანაწილებულია ლოგიკურად. დაწესებულებაში შეუფერხებელი საქმიანობის მისაღწევად განსაზღვრულია, რომ სტრუქტურულ ერთეულში რომელიმე პასუხისმგებელი პირის დროებითი არყოფნის შემთხვევაში (მაგალითად, შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვა), მისი ფუნქციების შესრულება დაეკისრება დოკუმენტით, წინასწარ განსაზღვრულ თანამშრომელს. დაწესებულების წესდების თანახმად კოლეჯის მართვის ორგანოებია კოლეჯის დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო. კოლეჯის, ორგანოგრამის სახით წარმოდგენილი სტრუქტურა განთავსებულია ვებ. გვერდზე. დოკუმენტების გაცნობის და ანალიზის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სტრუქტურული ერთეულებისა და ამ სტრუქტურებში შემავალი პირების ფუნქციები. დაწესებულების სტრურქტურა და თანამდებობრივი ინსტრუქციები სრულად ასახავს დაწესებულებაში დასაქმებულ პირებს.

***<u>შესაბამისად, პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული</u>***

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის შესწავლით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება და პერსონალის სამუშაო აღწერილობა დაწესებულებას დარეგულირებული აქვს შემდეგი დოკუმენტით: სსიპ კოლეჯის „ლაკადა" სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (2024 წლის 21 მარტის ბრძანება N04/07, დანართი №18), სსიპ კოლეჯის „ლაკადა" ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (2025 წლის 20 თებერვლის N 04/06, დანართი №10). დოკუმენტების შინაარსობრივი ანალიზით დადასტურებულია, რომ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები სწორადაა გადანაწილებული, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების ხარისხზე ორიენტირებულ საქმიანობას. პსდ-ის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები სწორად არის გადანაწილებული, რაც უზრუნველყოფს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორგანიზაციის ეფექტურობას და მისი ძირითადი საქმიანობის წარმატებულ განხორციელებას. მაგალითად დაწესებულებას არ ყავს სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტი, თუმცა გასაუბრების დროს დადგინდა, რომ მიმდინარე საკითხები წარმატებით შეთავსებული აქვს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს.

დაწესებულებას ყველა სტრუქტურულ ერთეულში შრომითი ან მომსახურების ხელშეკრულებით უკვე ჰყავს თანამშრომელი, დოკუმენტების განხილვის დროს წარმოდგენილი იყო ხელშეკრულებები, რომლებიც აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. პერსონალთან ინტერვიუს გზით დადასტურებულია, რომ ისინი იცნობებენ საკუთარ სამუშაო აღწერილობებს და აქვთ მზაობა საქმიანობა განახორციელონ სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრული მოვალეობების შესაბამისად.

**შესაბამისად, პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

პსდ-ში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ( PDCA ) ციკლის პრინციპზე. სტრუქტურით განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეული - ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ექვემდებარება დირექტორს და შეუძლია ჩაანაცვლოს დირექტორისდ მოადგილე. დირექტორის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯ „ლაკადას“ დებულებისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების თანახმად, ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებია: დაწესებულის მისიის, სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობა, საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების და საგანმანათლებლო პროცესის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი; საგანმანათლებლო პროგრამების დამატების, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის და პროგრამების განხორციელების მისამართის ცვლილებისას მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციის შემუშავება; ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და პროგრამის განხორციელების მისამართის ცვლილების განაცხადის მომზადების ორგანიზება; სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა; სწავლებისა და პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების პროცესის მართვა; პერსონალისთვის განათლების სფეროში უახლესი საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობა, მათთვის კონსულტირებისა და დახმარების გაწევა პროფესიული საქმიანობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაწევად; ავტორიზაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის პროცესში საჭირო რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების იდენტიფიცირება, მათი შეგროვება და ანალიზი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დაწესებულების დირექტორის მიერ ცალკე დოკუმენტის სახით ასევე დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „ლაკადას" „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები", სადაც უფრო დეტალიზებულია სამსახურის მიერ შესასრულებელი მოვალეობები, როგორც ძირითად ისე დამხმარე პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ხარისხის მართვის მენეჯერს შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის კითხვარები, პროცესების ანალიზის ფორმები (ფოკუს ჯგუფის სარეკომენდაციო კითხვები ( სტუდენტისა და კურსდამთავრებულის გამოკითხვის მიზნებისთვის) სახელწოდებით - „ჩემი კრიტიკული მეგობარი"; დამსაქმებლის კმაყოფილების კითხვარი; პროფესიული სტუდენტების მომსახურებით კმაყოფილების კითხვარი; მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ სასწავლო გარემოს და სასწავლო პროცესის შეფასების კითხვარი; პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული მოდულისა და პროგრამის განმახორციელებელი პირის შეფასების კითხვარი, სასწავლო პროცესზე დასწრების ფორმა). ექსპერტთა მიერ ხარისხის მართვის სამსახურისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის, ანალიზით დადასტურებულია, რომ დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

<u>შესაბამისად, პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის „ლაკადა" სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები 2024 წლის 21 მარტის ბრძანება N04/07 დანართი 17;
- სსიპ კოლეჯის „ლაკადა" სტრუქტურა 2023 წლის 2 მარტის ბრძანება N02/05 დანართი 18;
- სსიპ კოლეჯის „ლაკადა" ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები 2025 წლის 20 თებერვლის N 04/06 დანართი 23;
- ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია სხვადასხვა სახის კითხვარები, პროცესების ანალიზის ფორმები;
- შრომითი ხელშეკრულებათა დანართები (დასაქმებულის სამუშაო პირობები);
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგი;
- ვებ. გვერდის დათვალიერების შედეგი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4.1.2** პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება კოლეჯის შრომის შინაგანაწესითა (2025 წლის 20 თებერვლის N04/10 ბრძანება,დანართი N19) და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით (24.02.2022, N53 ბრძანება, დანართი N25). დოკუმენტში გაწერილია ისეთი საკითხები, როგორიცაა, პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, დასაქმების შენარჩუნება, შეფასება, პროფესიული განვითარება, მოტივირება და წახალისება, ახალი თანამშრომლის ადაპტირება სამუშაო გარემოსთან, დისციპლინური პასუხისმგებლობა. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია დაწესებულების შრომის შინაგანაწესის დოკუმენტთან, დაწესებულების თანამშრომლები იცნობენ პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, რაც დასტურდება შრომით ხელშეკრულებაზე ხელმოწერით.

**<u>შესაბამისად, პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.</u>**

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

პერსონალის მოზიდვასთან დაკავშირებული საკითხები დაწესებულებას დეტალურად აქვს გაწერილი სსიპ კოლეჯ ,,ლაკადა“ -ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში (2025 წლის 20 თებერვალი #04/11 ბრძანება, დანართი №25). პერსონალის შერჩევის პროცედურა ითვალისწინებს, როგორც ვაკანსიის შიდა კადრებიდან შევსებას, ისე კონკურსის გზით მოზიდვას. ბრძანებით გაწერილია პერსონალის შერჩევის ყველა ეტაპი პერსონალის მოზიდვა, პერსონალის შერჩევა და პერსონალის დანიშვნა. ვაკანსიის შესახებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციის განსათავსებლად დაწესებულება გამოიყენებს ოფიციალურ ვებ-გვერდს. პერსონალის მოზიდვა ასევე შესაძლებელია კოლეჯში დასაქმებული პერსონალის პირადი კონტაქტების გამოყენებით -რეკომენდაციების საფუძველზე და წარმატებული კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობით. ვიზიტის განმავლობაში, დაწესებულებამ წამოადგინა პერსონალთან, პროგრამების განმახორციელებლებთან გაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები. ცალკეული პოზიციებისთვის წარმოდგენილი იქნა დანიშვნის აქტები და შრომითი ხელშეკრულებები. შრომითი ხელშეკრულება მოიცავს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ყველა ძირითად ინფორმაციას.

<u>შესაბამისად, პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით</u>

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში- „კოლეჯის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები „-ს შესაბამისად, (2024 წლის 21 მარტის N 04/07 ბრძანება. დანართი 17), ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნად განსაზღვრულია განათლების მინიმალური დონე ან/და სამუშაო გამოცდილება. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები და დადასტურებულია მათი ორგანიზაციის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა. პირად საქმეებში განთავსებულია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და დადგენილი პირობების თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო გამოცდილების დოკუმენტი. პერსონალის პირად საქმეებში ასევე განთავსებული იყო მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული დოკუმენტაცია, მათ შორის, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, პირის „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ან/და იმავე კანონის საფუძველზე პირისთვის სასამართლოს მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ“.
<u>შესაბამისად, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას</u>

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილოებითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, აღნიშნულის დასტურად დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი სახის მტკიცებულებები: სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ შრომის შინაგანაწესი (2025 წლის 20 თებერვლის N04/10 ბრძანება, დანართი 19); სსიპ კოლეჯი ,,ლაკადა“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა 2025 წლის 20 თებერვალი #04/11 ბრძანება, დანართი 25); დაწესებულების ერთ- ერთ უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს -



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთთანამშრომლობა: გუნდური მუშაობა და ღია კომუნიკაცია, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებისთვის აუცილებელი ელემენტი. გადაწყვეტილებათა მიღებაში ჩართულობა, თანასწორობა, ღიაობა და ხელმისაწვდომობა; პასუხისმგებლობა, გუნდურობა, ურთიერთპატივისცემა და ურთიერთთანამშრომლობა, პიროვნების ღირსების აღიარება და შესრულებული სამუშაოს დაფასება; სამართლიანობა და გამჭვირვალობა. დაწესებულების პერსონალთან გამართული ინტერვიუების დროს ცალსახად დადასტურდა ორგანიზაციის გუნდური მუშაობა, პერსონალი საუბრობდა თუ როგორ უმკლავდებოდნენ გუნდურად გამოწვევებს, როგორ იღებდნენ ერთად გადაწყვეტილებებს და ზოგადად როგორ იქმნებოდა რეგიონში მოთხოვნადი კოლეჯი „ლაკადა“.

<u>შესაბამისად, პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ შრომის შინაგანაწესი (2025 წლის 20 თებერვლის N04/10 ბრძანება, დანართი 19);
- სსიპ კოლეჯი ,,ლაკადა“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა 2025 წლის 20 თებერვალი #04/11 ბრძანება, დანართი 25);
- კოლეჯის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები „-ს შესაბამისად, (2024 წლის 21 მარტის N 04/07 ბრძანება. დანართი 17);
- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- სამუშაო ჯგუფების შექმნის ბრძანებები და სამუშაო ჯგუფების ოქმები;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 4.2 პერსონალის განვითარება

**4.2.1** პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;

პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, მე-9 მუხლით გათვალისწინებულია პერსონალის საქმიანობის შეფასება და შემდგომ განვითარება. მისი მიზანია ხელი შეუწყოს კოლეჯის თითოეული თანამშრომლის მიერ დაკისრებული მოვალეობის წარმატებით შესრულებას, სამართლიანი და თავისუფალი მიდგომებით. დოკუმენტში წარმოდგენილი დანართი 1.1-ით წარმოდგენილია შესრულებული სამუშაოს შეფასების ოქმის ნიმუში, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით ასევე გათვალისწინებულია პერსონალის საჭიროებათა კვლევა. პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუთი დადასტურდა, რომ დაწესებულება მუდმივად ატარებს კვლევებს, რომლის დროსაც ითვალისწინებს პერსონალის საჭირებებს, ასევე ხელს უწყობს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში მონაწილეობას. ხარისხის მენეჯერი მუდმივად ატარებს სიახლეების გასაცნობად შეხვედრებს, რითიც ინარჩუნებს კომუნიკაციას დასაქმებულებთან და აწვდის მათ მუდმივ სიახლეებს. ვიზიტის პერიოდში კითხვარების ანალიზით, შეფასების ოქმებით და ინტერვიურებით დადგინდა რომ დაწესებულება წარმატებით ართმევს თავს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და განმავითარებელ კვლევებს.

**<u>შასაბამისად, პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას</u>**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ მუდმივად ატარებს სხვადასხვა კვლევებს, პერსონალის თუ სტუდენტთა კმაყოფილების შესახებ, რითიც ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას. პსდ-ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ( 2025 წლის 20 თებერვალი #04/11 ბრძანება, დანართი №13) შესაბამისად პერსონალის, პროფესიული განვითარება გულისხმობს პროფესიული ცოდნის გაღრმავებას, უნარ-ჩვევების სრულყოფას, შესაბამისი საჭიროებების გამოვლენას და მათი დადგენის საფუძველზე განმავითარებელი ღონისძიებების ჩატარებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის მართვის მენეჯერი მისი უფლებამოსილების ფარგლებში მუდმივად ანხორციელებს კვლევებიდან მიღებულ შედეგების ანალიზს და მოსაზრებების შეჯერებით ახდენს შესაბამისი განმავითარებელი ღონისძიებების დაგეგმვას. ეს შესაძლოა იყოს საგანმანათლებლო, სოციალურ-კულტურულ, გასართობი ღონისძიებები, ტრენინგები, სტაჟირება, ექსკურსია და სხვა. ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულება მუდმივად აწარმოებს განმავითარებელ ღონისძიებებს, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

<u>შესაბამისად, პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით</u>

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ( 2025 წლის 20 თებერვალი #04/11 ბრძანება, დანართი №13)შესაბამისად, მუხლი 13-ით დაწესებულებას გაწერილი აქვს პერსონალის პროფესიული განვითარება, რომლის მიზანია კოლეჯში დასაქმებულთა პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, რაც ხელს უწყობს ეფექტურად სამუშაოს შესრულებას. დაწესებულების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის განვითარება იგეგმება შემდეგ შემთხვევებში: სტრატეგიული განვითარების გეგმის საჭიროებისას, გარემოში არსებული ცვლილებების დროს, ორგანიზაციული შედეგებისას, თანამშრომელთა ინდივიდუალური პროფესიული საჭიროებების და ინიციატივების დროს. პასუხისმგებელი პირი დირექტორთან შეთანხმებით გეგმავს პროფესიული განვითარების საჭიროების კვლევას, ასევე განსაზღვრავს თანამშრომელთა განვითარების მეთოდებს აქტივობის ფორმებს. თითოეული ღონისძიების მიზანია პერსონალის კარიერული წინსვლა. მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება პსდ-ის ერთ-ერთი პრიორიტეტია, სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ შრომის შინაგანაწესი ( 2025 წლის 20 თებერვლის N04/10 ბრძანებით დანართი №19). მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ გადამზადების პროგრამებში, სერტიფიცირებასა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებში, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო ტენდენციებსა და ტექნოლოგიებს. პსდ ასევე უზრუნველყოფს მასწავლებელთა კოლეგიალურ თანამშრომლობას, რაც ზრდის გამოცდილების გაზიარებისა და პრაქტიკული უნარების განვითარების შესაძლებლობას. კოლეჯი „ლაკადა“ აქტიურად უწყობს ხელს პროფესიული განათლების პედაგოგების განვითარებას და მათ ჩართულობას საერთაშორისო სასწავლო პროგრამებში, რაც გლობალური გამოცდილების მიღებისა და ცოდნის გაზიარების შესაძლებლობას აძლევს მათ. პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში - პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საჯარო დაწესებულებების მასწავლებლებისთვის. კოლეჯის “ლაკადა“ პროფესიულმა მასწავლებლებმა კონკურსის შედეგად გაიმარჯვეს და საერთაშორისო სასწავლო ვიზიტებში მიიღეს მონაწილეობა, რამაც ხელი შეუწყო პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური და დარგობრივი კომპეტენციების გაძლიერებას საერთაშორისო გამოცდილების მიღების გზით. ვიზიტის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დროს კოლეჯის თანამშრომელბის მხრიდან დასტურდება პროფესიულ განმავითარებელ ღონისძიებებში მონაწილეობა და დაწესებულების მუდმივი მხარდაჭერა.

<u>**შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით**</u>

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

პსდ-ში ახალი თანამშრომლის ინტეგრაციისა და ადაპტაციის პროცესი სრულდება კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკისა და შრომის შინაგანაწესის მკაცრი შესაბამისობით. კოლეჯი ზრუნავს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან სწრაფ და ეფექტურ ადაპტაციაზე, რაც ითვალისწინებს არა მხოლოდ ორგანიზაციული დოკუმენტაციის გაცნობასა და მათზე ხელმოწერას, არამედ თანამშრომელთა მხარდაჭერის სისტემურ მიდგომას. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ( 2025 წლის 20 თებერვალი #04/11 ბრძანება, დანართი №13) ის შესაბამისად მუხლი 11 -ით დაწესებულებას გაწერილი აქვს ახალდანიშნული თანამშრომლის ინტეგრაცია. ახალი თანამშრომლის წარმატებული ინტეგრაციისთვის დაწესებულება იყენებს სხვადასხვა მეთოდებსა და მიდგომებს. პირველ ეტაპზე, პსდ აწვდის ახალ მოსულ პერსონალს საჭირო ინფორმაციას დაწესებულების სტრუქტურის, პოლიტიკისა და სამუშაო პროცესების შესახებ, აცნობს კოლეჯის მისას, ხედვას, ღირებულებებს მიმდინარე ერთწლიან და სტრატეგიულ გეგმებს. წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტით კოლეჯის მმართველი რგოლი და არსებული პერსონალი ვალდებულია ხელი შეუწყოს ახალ თანამშრომელს შესაბამისი სამუშაო გარემოს შექმნაში.

<u>**შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**</u>

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

პსდ-ში შრომის შინაგანაწესით დადგენილია პერსონალის წახალისება და სხვა ბენეფიტები, გამომდინარე იქედან რომ დამსაქმებელი აცნობიერებს თითოეული დასაქმებულის მნიშვნელობას, ღებულობს გადაწყვეტილებას წაახალისოს დასაქმებულის მუშაობა და საქმისადმი დამოკიდებულება ფუნქცია მოვალეოების გადაჭარბებულად შესრულების დროს, სხვდასხვა წახალისების ფორმებით: მადლობის გამოცხადება წერილის სახით, საჯარო აღიარების ფორმით საუკეთესო თანამშროლად დასახელება, სამასხოვრო საჩუქარი, ფულადი ჯილდო/პრემია, დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა, დამატებითი საშვებულებო დღეებით სარგებლობის უფლების მინიჭება, პროფესიული განვითარების დაფინანსება. დაწესებულება მხარს უჭერს თანამშრომელთა სურვილს გაიღრმავონ ცოდნა და უნარები ტრენინგების, სემინარებსი, პროფესიული კურსების თუ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების საშუალებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინოვაციური იდეების წახალისებასა და ახალი მიდგომების დანერგვას, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო გარემოს განვითარებას. პსდ ინიციატივების მხარდაჭერისთვის უზრუნველყოფს ფინანსურ და ორგანიზაციულ რესურსებს, ქმნის სასწავლო და სამუშაო გარემოს, რომელიც თანამშრომლებს აძლევს მოტივაციას და შესაძლებლობას, განავითარონ თავიანთი უნარები. კოლეჯის თანამშრომლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ დაწესებულებაში ადგილი ჰქონდა პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას, ეს იყო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სასერტიფიკატო გამოცდის მოსამზადებელი პროგრამა, შესყიდვების მენეჯერის, ბუღალტერის, ფინანსური მენეჯერის, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის, ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი და სხვა თანამშრომელთა ტრენინგები.

<u>შესაბამისად, პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯი ,,ლაკადა" ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა 2025 წლის 20 თებერვალი #04/11 ბრძანება, დანართი 25);
- სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა" ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ( 2025 წლის 20 თებერვალი #04/11 ბრძანება, დანართი №13);
- სსიპ კოლეჯის „ლაკადა" შრომის შინაგანაწესი ( 2025 წლის 20 თებერვლის N04/10 ბრძანებით დანართი №19);
- დამასტურებელი დოკუმენტების გაცნობა;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

### 5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

დაწესებულება ფუნქციონირებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარში, რომელიც მოიცავს სამ სართულიანი შენობას ფართით (1314,14მ2 ), სადაც განთავსებულია სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები, კოლეჯის ადმინისტრაციის ცალკეული კაბინეტები ასევე სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და სააქტო დარბაზი, მოსასვენებელი სივრცე, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით და სხვა აუცილებელ რესურსებით, რომლებიც აკმაყოფილებენ მოქმედ სტანდარტებს. დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ ეს რესურსები იყოს მუდმივად ფუნქციონალური, განახლებადი და ადაპტირებული საგანმანათლებლო პროცესის საჭიროებებზე.

პსდ-ს გააჩნია კედლისა და იატაკის სამუშაოების სახელოსნო, ხის მხატვრული დამუშავების და შედუღების სახელოსნოს შენობები, მეხილეობის პროგრამის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 3603,00კვ.მ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 538,00 კვ.მ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>შესაბამისად, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით</u>

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

დაწესებულების საერთო სარგებლობის სივრცეებში შედის სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზები, დასვენებისა და სამუშაო ზონები, სახელოსნოები, რომლებიც აღჭურვილია საჭირო ტექნიკური და მატერიალური რესურსებით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ ამ ინფრასტრუქტურით რეგულირებული გრაფიკისა და წესების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს მათთვის თანაბარ და შეუფერხებელ ხელმისაწვდომობას.
სასწავლო პროცესის უწყვეტობისა და პროფესიულ სტუდენტთათვის/მსმენელთათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულების განკარგულებაშია A, B, C გარემოს აუდიტორიები შესაბამისი აღჭურვილობით და მატერიალური რესურსით.
უკლებლივ ყველა პროფესიულ სტუდენტს, აქვთ შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა როგორც სასწავლო მიზნით შეძენილ მატერიალურ ასევე საერთო სარგებლობის სივრცეებში არსებულ მატერიალურ რესურსზე (ბიბლიოთეკა, მოსასვენებელი სივცე და ა.შ).
<u>შესაბამისად, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის</u>

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო და ჯანმრთელ სამუშაო და სასწავლო გარემოს.
სანიტარულ-ჰიგიენური სტანდარტების დაცვა მოიცავს სივრცეების რეგულარულ დასუფთავებას, ვენტილაციისა და წყლის მარაგის უზრუნველყოფას, სანიტარული კვანძების გამართულ ფუნქციონირებას და ჰიგიენური მასალების ხელმისაწვდომობას.
დაწესებულება ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს და საჭირო შემთხვევებში შესაბამის რეაგირებას, რათა ყველა სასწავლო და საერთო სარგებლობის სივრცე შეესაბამებოდეს ჯანდაცვის ნორმებსა და უსაფრთხოების სტანდარტებს. ეს ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის კომფორტულ და ჯანმრთელ გარემოში საქმიანობას.
<u>შესაბამისად, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

კოლეჯის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობები უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით, პსდ-ს გააჩნია საკუთარი საქვაბე მეურნეობა.2024 წლის 15-ნოემბრიდან პსდ -ში ცენტრალური გათბობის სისტემა გადაყვანილია ბუნებრივ აირზე და კოლეჯის ძირითადი შენობა და მასთან არსებული სახელოსნოები (შედუღების, იატაკისა და კედლის სამუშაოების ) თბება უწყვეტ რეჟიმში, ხოლო ხის მხატვრული დამუშავების სახელოსნო, რომელიც მდებარეობს სოფ. ჭალის ადმინისტრაციულ ერთეულში თბება ელექტროგამათბობლების მეშვეობით. გათბობის სისტემა ფუნქციონირებს სტაბილურად და უზრუნველყოფს ტემპერატურის ოპტიმალურ რეგულირებას ყველა სასწავლო, ადმინისტრაციულ და საერთო სარგებლობის სივრცეში. იგი რეგულარულად მოწმდება და საჭიროების შემთხვევაში ტარდება ტექნიკური მომსახურება, რათა გარანტირებული იყოს უწყვეტი და ეფექტიანი გათბობა.

**შესაბამისად, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით**

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;

2022 წლის 6 დეკემბრის N 04/82 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ საგანგებო მართვის გეგმა და საგანგებო შტაბის შემადგენლობა. წესის შესაბამისად გაწერილია კონკრეტული ინსტრუქციები და ქმედებები საგანგებო სიტუაციის შექმნის შემთხვევაში. დაწესებულებაში მოქმედებს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში შრომის უსაფრთხოების ზომების დაცვას. დაწესებულებას ჰყავს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს პერიოდულ შემოწმებებს, ატარებს ინსტრუქტაჟს და აწარმოებს შესაბამის აღრიცხვას. დაწესებულება თანამშრომლობს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და იცავს მათ მიერ დადგენილ სტანდარტებსა და რეკომენდაციებს.

**შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები**

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

სასწავლო-საწარმოო მასალა ნედლეულისა და სამეურნეო დანიშნულების მატერიალური ფასეულობების მოთხოვნის თაობაზე კოლეჯის დირექტორის სახელზე მზადდება სამსახურებრივი ბარათი. მატერიალური ფასეულობების მოთხოვნის ინიცირებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ კოლეჯის ადმინისტრაციული თანამშრომლები და პროფესიული მასწავლებლები. პსდ-ში შეუფერხებლად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხორციელდება ყველა პროფესიულ პროგრამაზე განსახორციელებელი მოდულების უზრუნველყოფა პროფესიული მასწავლებლების მიერ სამსახურებრივი ბარათებით მოთხოვნილი სასწავლო მასალა-ნედლეულით

შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

კოლეჯის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსის, აღრიცხვას, შენახვას, განვითარებას და გამოყენების პროცესის მართვას ფინანსურ მენეჯერთან კოორდინაციით ახორციელებს მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის კოორდინატორი; კოლეჯში კალენდარული წლის ბოლო ხორციელდება მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია და შესაბამისად რესურსების შემოწმება.ამსთანავე პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა კოლეჯში მიმდინარეობს პროგრამების მატერიალური რესურსის შეფასება და განვითარების მიზნით შესაბამისი გეგმის შემუშავება, რომლის შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი .ზემოთაღნიშნული პროცესების მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის მენეჯერი და დირექტორის მოადგილე.

შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

დაწესებულების ადმინისტრაციული შენობის სამივე სართულზე, ასევე 3 სახელოსნოში მოწყობილია სანიტარული კვანძები.
სანიტარული კვანძები რეგულარულად სუფთავდება და საჭირო მასალებით მარაგდება, რათა შეიქმნას კომფორტული და ჰიგიენური გარემო. ვენტილაციისა და განათების სისტემები უზრუნველყოფენ ჰაერის ცვლას და ოპტიმალურ პირობებს სანიტარული სივრცეების გამოყენებისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების (შშმ) საჭიროებებს – სანიტარული კვანძები ადაპტირებულია მათი გადაადგილებისა და გამოყენების კომფორტისთვის. ყველა პროფესიულ სტუდენტს აქვს შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა ამ სივრცეებზე, რაც უზრუნველყოფს თანაბარ და ინკლუზიურ გარემოს. დაწესებულების ინფრასტრუქტურა ამ ეტაპზე საჭიროებს შემდეგ სარეაბილიტაციო სამუშაოებს: ლიფტისა და ლიფტის კონსტრუქციის აღდგენა, შენობის სამივე სართულზე სველი წერტილების რეაბილიტაცია და სანიტარული კვანძების ხელახალი მოწყობა, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ მომზადდა ხარჯთააღრიცხვა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინიტროს ნებართვით აღნიშნული სამუშოები განხროცილედება ვაუჩერის ეკონომიიდან წარმოქმნილი თანხით.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის დოკუმენტის საფუძველზე ლიფტისა და ლიფტის კონსტრუქციის აღდგენა, შენობის სამივე სართულზე სველი წერტილების რეაბილიტაცია და სანიტარული კვანძების ხელახალი მოწყობის დასრულება იგეგმება მიმდინარე წლის სექტემბერში

*დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში დაასრულონ სარეაბილიტაციო სამუშაოები, რათა ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესის დაწყებას*
<u>შესაბამისად, პსდ-ს შენობა-ნაგებობაში ამ ეტაპზე არ არის დასრულებული გამიჯნული სანიტარული კვანძების მოწყობა, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის</u>

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

პსდ-ის ყველა სასწავლო ფართი, და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათებით, რაც ხელს უწყობს სასწავლო გარემოს კომფორტულობასა და ფუნქციონალურობას.
სასწავლო სივრცეების განათება უზრუნველყოფილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, რათა მაქსიმალურად შეიქმნას ხელსაყრელი პირობები სტუდენტებისა და პერსონალისთვის. ბუნებრივი განათება ხელს უწყობს სასიამოვნო და ჯანმრთელ სამუშაო გარემოს, ხოლო ხელოვნური განათების სისტემა უზრუნველყოფს განათების საკმარის დონეს დღე-ღამის ნებისმიერ დროს.
<u>შესაბამისად, ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

10.სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას; დაწესებულებაში სახელოსნოდ სივრცე და საწყობი განთავსებულია ერთ გარემოში, შესაბამისად, მომარაგების პროცესი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას.

შესაბამისად, სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას

11.მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებული განხორციელებისთვის, სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის უზრუნველყოფილია შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და ხელმისაწვდომია, როგორც სტუდენტებისთვის ასევე პედაგოგებისთვის. დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სივრცე ბიბლიოთეკისათვის, რომელიც ასევე განკუთვნილია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამუშაო სივრცედ. კოლეჯს ასევე გააჩნია მხატვრული ლიტერატურის წიგნის ფონდი.
კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ბიბლოთეკაში განთავსებულია 3 კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები აპარატი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის.
ელექტრონული რესურსის შემთხვევაში ლიტერატურის დასახელების გვერდით მითითებული არის „ელექტრონული“ ვერსია, ამასთანავე მასალა ჩაწერილია დისკზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას.

შესაბამისად, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: განცხ. რეგისტრაცია N882019388578-20.05.219წ. საკადასტრო კოდი :N 47.14.41.024. შიდა ფართის აზომვითი ნახაზი - 2018წ , მთლიანი ფართი 1314,14 კვ.მეტრი. 1-სართული 457,6 კვ.მეტრი; 2-სართული 426, 79 კვ.მ; 3-სართული - 429,75 კვ.მ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; განცხ.რეგისტრაცია N 882022734244 -07.10.2022წ. საკადასტრო კოდი N47.14.41.282 ; განაშენიანების ფართით 179,72 კვ.მ - საერთო ფართი 173,38 კვ.მ.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან:განცხ. რეგისტრაცია N882016198910 – 31.03.2016წ. საკადასტრო კოდი N47.14.41.293 დაზუსტებული ფართობი 538.00 კვ.მ.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან :განცხ.რეგისტრაცია N882020779065 – 19.10.2020წ. საკადასტრო კოდი : N47.14..35.356. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი , დაზუსტებული ფართობი 3600.00 კვ.მ.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: განცხ.რეგისტრაცია N882022734234 – 07.10.2022წ. საკადასტრო კოდი N 47.12.32.070, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთი ფართით 5637 კვ.მ. (ხის მხატვრული დამუშავების სახელოსნო საერთო ფართი 190,61 კვ.მ.)
- საკადასტრო კოდი : 47.14.39.191 ; მიწის ფართი - 8929 კვ.მეტრი, შენობის სრული ფართობი - 278 კვ.მეტრი.
- ინვენტარიზაციის აქტები
- აზომვითი ნახაზი
- მიღება ჩაბარების აქტი კოლეჯის კაპიტალური რემონტის შესახებ
- შესყიდვების დამადასტურებელი ხელშეკრულებები ინვენტარის შეძენის თაობაზე
- 2025 წლის 20 თებერვლის #04/08 ბრძანება სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების (მარაგების) მიღების, აღრიცხვის, მართვისა გაცემის წესი და პროცედურა მუშაობის წესი
- პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები (ინფრასტრუქტურაზე/მატერიალურ რესურსზე ხელმისაწვდომობის ნაწილში).
- 2025 წლის 27 თებერვლის N 04/17 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები დამტკიცების შესახებ
- გამოკითხვის შედეგები (სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობით კმაყოფილების ნაწილში).
- გამოკითხვის შედეგები (შენობის გათბობით კმაყოფილების ნაწილში).
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- 2022 წლის 6 დეკემბრის N 04/82 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ საგანგებო მართვის გეგმა
- პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები (მასალებისა და ნედლეულის შეუფერხებლად მიწოდების ნაწილში).
- 2025 წლის 20 თებერვლის N 04/06 სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების შესახებ
- ჰიგიენური საშუალებების შესყიდვის დამადასტურებელი ხელშეკრულება
- კომუნალურების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა'' დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

კოლეჯის მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები, კერძოდ: სამივე ლოკაციაზე შენობა-ნაგებობების ყველა სართულზე შესაბამის ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმა და ცეცხლმაქრები თავისი გამოყენების ინსტრუქციებით. გარე და შიდა პერმეტრზე ხორციელდება მონიტორინგი ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით. დაწესებულება თანამშრომლობს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და იცავს მათ მიერ დადგენილ სტანდარტებსა და რეკომენდაციებს.

**<u>შესაბამისად, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები</u>**

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ყველა ლოკაციაზე მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების (მედდის) კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებით. საშტატო ერთეულით გათვალისწინებულია 1 მედდა რომელიც უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. და საჭიროების შემთხვევაში აცნობებს საგანგებო სიტუაციების სამსახურს ცხელი ხაზით 112.

**<u>შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები</u>**

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც მოიცავს შესაძლო საფრთხეების იდენტიფიცირებას, რეაგირების პროცედურებსა და ევაკუაციის გეგმას. თანამშრომლები და სტუდენტები პერიოდულად გადიან უსაფრთხოების ინსტრუქციებს და სწავლებებს, რაც ზრდის მათი მზადყოფნის დონეს.
გარდა ამისა, დაწესებულება აღჭურვილია შესაბამისი უსაფრთხოების საშუალებებით, როგორიცაა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები, საგანგებო გასასვლელები, პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტები და კავშირგაბმულობის არხები.
საგანგებო შტაბის მიერ შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. აღნიშნული წესი შეთანხმებულია შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში

<u>შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი</u>

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კოლეჯის მფლობელობაში არსებულ ყველა ფართზე კოლეჯის შენობების და მასზე არსებული უძრასვი და მოძრავი ნივთების ცოცხალი დაცვის გამოყენებით დაცვისა და უსაფრთხოებას უზრონველყოფს შპს ,,ვიქტორია სექიურითი“ და რომლებიც აგრეთვე უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვას შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე გაფორმებულია მომსახურების შესახებ ხელშეკრულებები.
<u>შესაბამისად, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
- სახანძრო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაცემული დასკვნა
- 2025 წლის 27 თებერვლის N 04/17 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები დამტკიცების შესახებ
- 2022 წლის 6 დეკემბრის N 04/65 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ საგანგებო მართვის გეგმა
- დაცვის თანამშრომლის მომსახურების ხელშეკრულება
- კამერების მონტაჟის ხელშეკრულება

შეფასება:
☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**5.2 საინფორმაციო რესურსები**

**5.2.1** პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

პსდ-ს IT ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება დაწესებულების მართვისა და სასწავლო პროცესის საჭიროებებს, უზრუნველყოფს უსაფრთხო, თანამედროვე და ფუნქციურ ციფრულ გარემოს. კოლეჯის IT ინფრასტრუქტურა მოიცავს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მართვისთვის საჭირო ტექნიკურ და პროგრამულ რესურსებს. აღნიშნული რესურსის მუდმივ და სტაბილურ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკით დადგენილი წესით. საინფორმაციო, ტექნოლოგიური რესურსი შეესაბამება კოლეჯის თითოეული სტრუქტურული ერთეულის საჭიროებებსა და მოთხოვნებს. კოლეჯის მთელ კორპუსში, ასევე კოლეჯის სამ სახელოსნოში ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლების და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო ასევე კაბელიანი ინტერნეტი;
უსაფრთხოების დაცვის მიზნით, კოლეჯის შიდა და გარე პერიმეტრზე, ასევე სახელოსნოებში დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების სივრცის მუდმივ მონიტორინგს. კოლეჯის ვებგვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას, რაც ხელს უწყობს სტუდენტებს, მასწავლებლებსა, ადმინისტრაციას და დაინტერესებულ მხარეებს საჭირო ინფორმაციის მიღებაში.
<u>შესაბამისად, პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს პსდ-ს ინფორმაციული მონაცემების უსაფრთხოებას, IT რისკების მართვასა და სისტემის უწყვეტ ფუნქციონირებას.
კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდის შეუფერხებელ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია ქსელის ადმინისტრატორი, რომელიც უზრუნველყოფს ვებგვერდის ტექნიკურ და ინფორმაციულ უსაფრთხოებას. ვებგვერდის სტაბილური ფუნქციონირებისა და მონაცემთა დაცულობის მიზნით, ადმინისტრატორი თვეში ერთხელ ახორციელებს სისტემის სტრუქტურულ და ინფორმაციულ ბაზის არქივაციას.
მონაცემთა სარეზერვო (Backup) სისტემა - კოლეჯი პერიოდულად ახორციელებს მნიშვნელოვანი მონაცემების ა სარეზერვო კოპირებას (Backup) გარე მყარ დისკზე, რათა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისას მოხდეს მონაცემთა აღდგენა. პერიოდულად ხორციელდება მოწყობილობების პროგრამული უზრუნველყოფის რეგულარული დაარქივება. რაც უზრუნველყოფს, რომ სისტემის დაზიანების, ვირუსული შეტევის ან მონაცემთა შემთხვევითი წაშლის შემთხვევაში, პირვანდელი კონფიგურაციის აღდგენა შესაძლებელი იყოს.
ვირუსებისგან დაცვა – კოლეჯის კომპიუტერები აღჭურვილია ანტივირუსული დაცვის სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს კიბერსაფრთხეებისგან დაცვას და მონაცემთა უსაფრთხოებას. სისტემების მონიტორინგი და განახლებები – IT პერსონალი მუდმივად აკონტროლებს და ამოწმებს სისტემების უსაფრთხოებას, რათა დროულად აღმოფხვრას პოტენციური საფრთხეები.
პროგრამული და ტექნიკური ინფრასტრუქტურა რეგულარულად ახლდება, რაც უზრუნველყოფს IT სისტემების სტაბილურობას და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.
პერსონალი და სტუდენტები პერიოდულად გადიან ტრენინგებს IT უსაფრთხოების საკითხებზე, რათა თავიდან აიცილონ ფიშინგი, არასანქცირებული წვდომა და სხვა საფრთხეები.
<u>შესაბამისად, პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას</u>

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
დაწესებულება უზრუნველყოფს კოლეჯის თანამშრომლების, პროფესიული პერსონალის, მასწავლებლებისა და სტუდენტების პერსონალური მონაცემების დაცვას, შესაბამისად ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკის და მონაცემთა დაცვის რეგულაციებისა.
ყველა პერსონალური მონაცემი დაცულია კოლეჯის ერთიან ელექტრონულ ბაზაში (რეესტრში), რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა სტრუქტურირებულ აღრიცხვას და დაცულ შენახვას. პერსონალური მონაცემების შემცველი მატერიალური და ტექნიკური დოკუმენტები დაცულია შესაბამის სივრცეებში, რაც გამორიცხავს მონაცემთა უნებართვო წვდომას ან დაკარგვას.– პერსონალურ მონაცემებზე წვდომა მხოლოდ უფლებამოსილ პირებს აქვთ, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია და ფოტომასალა წინასწარ შეთანხმებულია შესაბამის სუბიექტებთან, თუმცა პროცესი არ ითვალისწინებს წერილობით დოკუმენტაციას და შეთანხმება ზეპირსიტყვიერად ხორციელდება.

<u>შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას</u>

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

პერიოდულად ხდება ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაძლებლობების ანალიზი და მათი შესაბამისობის შეფასება თანამედროვე სტანდარტებთან. შეფასების შედეგების საფუძველზე, ტარდება IT ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და პროგრამული უზრუნველყოფის განახლება, რაც უზრუნველყოფს სისტემების სტაბილურობასა და ეფექტიან მუშაობას. IT სისტემების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება პერსონალის გამოკითხვა, რაც ეხმარება კოლეჯს ტექნოლოგიური საჭიროებების იდენტიფიცირებაში და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებაში. კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასებისა და განახლების პროცესი უზრუნველყოფს IT სისტემების უწყვეტ განვითარებას, ეფექტურ მართვას და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

<u>შესაბამისად, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას</u>

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

კოლეჯის IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს თანამედროვე სასწავლო და ადმინისტრაციულ პროცესებს, ხელს უწყობს ციფრული რესურსების ხელმისაწვდომობას, სტუდენტებისა და პერსონალის სწავლისა და მუშაობის ეფექტურობას და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას.

პერსონალსა და სტუდენტებისათვის ხელმისაწდომია ინფორმაციული და ტექნიკური რესურსი. მათ შორის:

პერსონალური კომპიუტერები და ლეპტოპები თანამედროვე პროგრამული და სისტემური უზრუნველყოფით. მულტიფუნქციური და მონოფუნქციური პრინტერები, პროექტორები, სადემონსტრაციო მონიტორი და ინტერაქტიული დაფა. ინტერნეტის უწყვეტი კავშირით, აღჭურვილია კოლეჯის ყველა სტრუქტურული ერთეული. ხელმისაწვდომია კოლეჯის პერსონალისთვის 24 საათის განმავლობაში. ბიბლიოთეკა აღჭურვილია ინტერნეტთან წვდომით უზრუნველყოფილი კომპიუტერებით. პრინტერით წვდომა სტუდენტებისთვის არის ღია და თავისუფალი. კოლეჯის აუდიტორიები და ინფორმაციის ტექნოლოგიების ლაბორატორიები შესაბამისი პარამეტრების მქონე კომპიუტერებით, სისტემური და პროგრამული უზრუნველყოფით, ინტერნეტის უწყვეტი კავშირით ხელმისაწვდომია სტუდენტთათვის კოლეჯის სამუშაო საათებში.

ღია დაშვების WI-FI ინტერნეტი: ხელმისაწვდომია კოლეჯის სასწავლო კორპუსში. სახელოსნოებში და უზრუნველყოფს კოლეჯის პერსონალის და სტუდენტთა უკაბელო წვდომით ინტერნეტთან კავშირს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საპრეზენტაციო ელექტრონული მოწყობილობები კოლეჯის ყველა აუდიტორია, მათ შორის საკონფერენციო დარბაზი აღჭურვილია პროექტორით, რომელზეც წვდომა გააჩნია პერსონალსა და სტუდენტებს. ინფორმაციის ტექნოლოგიების ლაბორატორია აღჭურვილია საპრეზენტაციო მონიტორით და საკონფერენციო აუდიო-ვიდეო მოწყობილობით რომელზეც წვდომა გააჩნია პერსონალსა და სტუდენტებს. ასევე კოლეჯის ერთი აუდიტორია აღჭურვილია ინტერაქტიული დაფით.

**შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება**

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კოლეჯის საქმიანობის ხელშეწყობისა და ხარისხის გაზრდის მიზნით კოლეჯში დანერგილია სხვადასხვა ელ-სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები. მათ შორის: ერთიანი დოკუმენტბრუნვის სისტემა (eflow.emis.ge). უზრუნველყოფს კოლეჯის დოკუმენტაციის მიმოსვლის, აღრიცხვისა და მართვით პროცედურებს. შეესაბამება კოლეჯის სამუშაო სტრუქტურასა და პროცესებს. ხელმისაწვდომია მუდმივი და სტაბილური ფუნქციონირების პრინციპით. კოლეჯს ემსახურება ერთი დომენური სახელი www.lakada.edu.ge. კოლეჯის ოფიციალური ელექტრონული ფოსტაა - teana@lakada.edu.ge; კოლეჯის ოფიციალური ვებ-გვერდი Lakada.edu,ge წარმოადგენს ცენტრალურ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემას. მასზე ინფორმაციის განთავსება ხორციელდება ქართულ ენაზე. ასევე შესაძლებელია ინფორმაციის განთავსება ინგლისურ ენაზე. ვებ-გვერდზე მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ყველა მნიშვნელოვანი სასწავლებლის ინფორმაცია.

ვებ-გვერდის განახლება (საინფორმაციო მასალების, აქტივობების, დოკუმენტაციის
ატვირთვა) ხორციელდება საჭიროებისდა მიხედვით. კოლეჯის ვებ-გვერდი ხელმისაწვდომია 24 საათის განმავლობაში ინტერნეტთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის
მოწყობილობიდან. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი (OPAC) უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსების აღრიცხვიანობას და იდენტიფიცირებას. პედაგოგებს და თანამშრომლებს
ინფორმაცია მიეწოდებათ ერთიან ელექტრონულ (eflow) სისიტემით და პირადი მეილებით.
ყველა პროფესიულ სტუდენტეს და კოლეჯის პერსონალს აქვს პირადი მეილი (Google, gmail.com) და საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი ინფორმირება ამ მეილების საშუალებით. კოლეჯის ინფორმაციის საჯაროდ გაზიარება ხდება კოლეჯის ვებ გვერდისა და სოციალური გვერდის საშუალებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აპლიკანტთა ინფორმირება მოტივაციური გასაუბრების შესახებ ხდება vet.emis.ge პორტალზე. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მეშვეობით (EMIS) უზრუნველყოფს SMS შეტყობინებების დაგზავნას, რათა აპლიკანტმა დროულად მიიღოს ინფორმაცია ჩანიშნული მოტივაციური გასაუბრების თარიღისა და დროის შესახებ.

პერსონალისა და პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ხდება:

სოციალური ქსელები: სასწავლებლის ოფიციალური გვერდი, Facebook გვერდი, სასწავლებლის სამუშაო ჯგუფი.

წერილობითი კომუნიკაციისთვის: SMS შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა (E-mail), Messenger, WhatsApp, ან სხვა ჯგუფური კომუნიკაციისთვის.

<u>შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2020 წლის 30 ივლისი #04/59 ბრძანება ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა დამტკიცების შესახებ
- კომპიუტერული ტექნიკა, ქსელური აპარატურა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი. ვიდეო -სათვალთავლო კაამერები
- საინვენტარიზაციო აქტები.
- ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება
- ქსელის ადმინისტრატორთან გაფორმებული ხელშეკრულება
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- 2020 წლის 30 ივლისი #04/59 ბრძანება ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა დამტკიცების შესახებ
- 2025 წლის 20 თებერვალი #04/11 ბრძანება სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ
- 2025 წლის 27 თებერვლის #04/19 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის წესი
- კოლეჯის რეესტრში ასახული ინფორმაცია.
- პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები (IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის შეფასების ნაწილში).
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა. Eflow.emis.ge
- ვებ გვერდი lakada.edu.ge
- დომენური სახელის რეგისტრაციის ხელშეკრულება
- 2024 წლის 16 მაისის N04/19 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „ლაკადა“აპლიკანტთა შიდა შერჩევის წესი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5.2.2** პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის N04/96 ბრძანებით და განხორცილედა ცვლილება

აღნიშნული დოკუმენტით დადგენილი მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებელია და კონტროლს, კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს კოლეჯის საქმისმწარმოებელი, რომლის ძირითადი ფუნქციაა კოლეჯში დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, დოკუმენტების შედგენის, გაფორმების, აღრიცხვისა და სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოების ორგანიზება;

<u>შესაბამისად, პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი</u>

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

კოლეჯის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის ელექტრონული საქმისწარმოებისთვის: კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის გამოყენებით, შესაბამისი პროგრამის eflow-ს მეშვეობით.

კოლეჯში შემოსული დოკუმენტების, როგორც ელექტრონულის, ასევე ელექტრონული დოკუმენტების მოძრაობა მათი მიღების ან შექმნის მომენტიდან საბოლოო შესრულებამდე, გაგზავნამდე და საქმეში მოთავსებამდე წარმოადგენს კოლეჯის დოკუმენტბრუნვას. საქმისწარმოებაში გამოიყოფა შემდეგი სახის დოკუმენტები:

ა) შემოსული დოკუმენტაცია;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ) შიდა დოკუმენტაცია;

გ) გასული დოკუმენტაცია

რეგისტრაციას ექვემდებარება ყველა, მათ შორის ელექტრონული ფორმით, ელექტრონული ფოსტით და ფაქსით შემოსული დოკუმენტი; დოკუმენტის მიღებას აწარმოებს საქმისმწარმოებელი. დოკუმენტის დამუშავება და შემსრულებლისათვის გადაცემა ხორციელდება მათი შემოსვლის დღეს ან მომდევნო დღეს, თუ დოკუმენტის შემოვიდა არასამუშაო დროს.

კოლეჯი გამოსცემს/ადგენს სხვადასხვა სახის აქტებს/დოკუმენტებს:

ა) ბრძანება; ბ) წერილი, რომელიც არ არის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და ატარებს მხოლოდ შინაარსობრივ ახსნას კონკრეტულ გარემოებასთან მიმართებით; გ) სამსახურებრივი ბარათი; დ) ახსნა-განმარტებითი ბარათი; ე) სხდომის ოქმი; ვ) ცნობა; ზ) გეგმა; თ) განცხადება; ი) აქტი; კ) მინდობილობა; ლ) ხელშეკრულება/მემორანდუმი; მ) სხვა.

<u>შესაბამისად, პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის</u>

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კოლეჯი ასახავს ინფორმაციას დაწესებულების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამების, დაწესებულების ადამიანური რესურსის, პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროგრამის განმახორციელებლების შესახებ. ასევე აისახება ინფორმაცია მოდულების შესახებ და ზემოთ მითითებულ ინფორმაციებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. მონაცემების ასახვა ხორციელდება კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანების 2023 წლის 1 დეკემბრის #02/28 ბრძანება სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მუშაობისა და ადმინისტრირების წესი შესაბამისად.

<u>შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას</u>

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N 414 ბრძანებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესების" და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის N04/96 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესის“ და 2025 წლის 25 თებერვლის N04/14 ბრძანება სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ საქმისწარმოების წესში ცვლილების შეტანის და დამტკიცების შესახებ, მიხედვით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯი დროულად, დოკუმენტის გამომგზავნი დაწესებულებების მიერ განსაზღვრულ ან/და დაწესებულების რეგულაციებით განსაზღვრულ ვადებში, აწვდის ინფორმაციას, ანგარიშებსა და უკუკავშირს სამეთვალყურეო საბჭოს, დამფუძნებელთა საერთო კრებასა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე სხვა კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს.

<u>**შესაბამისად, პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025 წლის 25 თებერვლის N04/14 ბრძანება სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ საქმისწარმოების წესში ცვლილების შეტანის და დამტკიცების შესახებ
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა - www.eflow.emis.ge
- 2023 წლის 1 დეკემბრის #02/28 ბრძანება სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მუშაობისა და ადმინისტრირების წესი

**5.2.3** პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და




ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

ოფიციალური ვებ-გვერდი lakada.edu.ge ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე ინფორმაციის განთავსება ხორციელდება ქართულ ენაზე. ასევე შესაძლებელია ინფორმაციის განთავსება ინგლისურ ენაზე.

ვებ-გვერდზე მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია სასწავლებლის ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. მათ შორის: კოლეჯის ისტორია, მისია, სტრუქტურა, პერსონალი. სტრატეგიული განვითარების გეგმა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, პროგრამები, ნორმატიული აქტები და მარეგულირებელი დოკუმენტები, ვაკანსიები, წლიური ანგარიშები, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ა.შ. ვებ-გვერდის განახლება (საინფორმაციო მასალების, აქტივობების, დოკუმენტაციის ატვირთვა) ხორციელდება საჭიროებისდა მიხედვით. დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი. კოლეჯის ვებ-გვერდი ხელმისაწვდომია 24 საათის განმავლობაში ინტერნეტთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის მოწყობილობიდან. ასევე კოლეჯის შესახებ ინფორმაცია და აქტივობები ხელმისაწვდომია სოციალურ ქსელში (Facebook-სსიპ კოლეჯი

**<u>შესაბამისად, პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს</u>**

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსება ხორციელდება ქართულ ენაზე. ასევე შესაძლებელია ინფორმაციის განთავსება ინგლისურ ენაზე. სტატეგიულ გეგმაში მიზანი N4 შესაბამისად მიმდინარეობს ვებ-გვერდის ჩანართის საერთაშორისო ურთიერთობები ინგლისურენოვანი მასალების შემუშავება და განთავსება

**<u>შესაბამისად, დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას</u>**

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

კოლეჯის საინფორმაციო პოლიტიკა ეფუძნება გამჭვირვალობის, სანდოობისა და ობიექტურობის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებაში სწორი და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. ამიტომ საკუთარი ინტერესებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით, გეგმავს და ავრცელებს მხოლოდ სანდო და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადამოწმებულ ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა აქტივობების შესახებ. ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალა სრულიად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებს, სწავლის შედეგებსა და აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სანდოობას და გამჭვირვალობას. კოლეჯი არ ავრცელებს შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, ხოლო თითოეული ინფორმაცია წინასწარ გადამოწმებულია სიზუსტისა და შესაბამისობისთვის. ვებგვერდზე მიმდინარე სიახლეების, საგანმანათლებლო პროცესების, ღონისძიებებისა და პროგრამული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას.

<u>შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა. კატალოგი მოიცავს პროგრამების დეტალურ აღწერას და განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე. მისი მეშვეობით დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯის საგანმანათლებლო აქტივობების ნუსხა. მასში განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგებისა და კრედიტების შესახებ.

<u>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ</u>

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

პროგრამის კატალოგი ახლდება პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე, კატალოგი ასევე ასრულებს კოლეჯის რეკლამის ფუნქციას, სადაც უახლოეს მომავალში დასამატებელი მოთხოვნადი პროგრამების შესახებ თავსდება ინფორმაცია ანონსის სახით.

<u>შესაბამისად, პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულების მიერ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით გამოიყენება ინფორმაციის საკომუნიკაციო არხები.
დაწესებულების საკომუნიკაციო არხებიდან, მათ შორის ოფიციალური სოციალური ქსელიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში ხდება დროული რეაგირება.
ინფორმაციის ანალიზის შედეგები აისახება დაწესებულების საქმიანობის შეფასების/თვითშეფასების და განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვის დროს.
**შესაბამისად, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
- კოლეჯის ვებგვერდი: www.lakada.edu.ge
- პერსონალისაგან და სტუდენტებისაგან მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია.
- სოციალური გვერდი. Facebook- სსიპ კოლეჯი „ლაკადა“
- 2020 წლის 30 ივლისი N04/60 ბრძანება სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5.3 ფინანსური რესურსები**

**5.3.1** დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;

დაწესებულების არსებული რესურსი იძლევა იმის საშუალებას, რომ სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები და კოლეჯის მიზნები განხორციელდეს ეტაპობრივად.

**შესაბამისად, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება**

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;

დაწესებულების საოპერაციო ხარჯების დაფინანსება უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული პროგრამული დაფინანსებით. საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები განსზღვრულია ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში მიღებული დაფინანსებით.
საოპერაციო ხარჯების გაწევა ხორციელდება კანონმდებლობისა და დაწესებულების სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრული წესების შესაბამისად.
**შესაბამისად, საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით**

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

დაწესებულების ფინანსური რესურსის მობილიზება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სამინისტროს მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების მოცულობაზე და ვაუჩერულ დაფინანსებაზე. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დასრულებისას დაწესებულებას რჩება აუთვისებელი თანხები ეკონომიის სახით, რომელსაც კანონით დადგენილი წესით(სამინისტროსთან შეთანხმებით) ახმარს კოლეჯის ინფრასტრუქტურის განვითარება/რეაბილიტაციას და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების უზრუნველყოფას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას</u>

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

გასული წლის ფინანსური შედეგების გაანალიზებით, დაწესებულება აანალიზებს და ითვალისწინებს არსებულ ნაკლოვანებებს და განსაზღვრავს ფინანსური შედეგების გაუმჯობესების მექანიზმებს.

შეფასებების საფუძველზე ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით, დაწესებულებას შედგენილი აქვს სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტი, რაც ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტებს, საფინანსო საქმიანობის სფეროში არსებულ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებსა და არსებულ პრაქტიკას. დაწესებულება ანგარიშვალდებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახლაგაზრდობის სამინისტროს წინაშე, და მათ საანგარიშო წლის დასრულების შემდგომ პერიოდში წარუდგენს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას, რის საფუძველზედაც გეგმავს სამომავლო ბიუჯეტს. ფინანსური შედეგების გაანალიზების საფუძველზე განსაზღვრავს ღონისძიებებს ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით და შეიმუშავებს მათი გამოსწორების კონკრეტულ გზებს.

<u>შესაბამისად, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის ანგარიშები;
- დაწესებულების პროგრამული ბიუჯეტი;
- ფინანსური ანგარიშგება
- განათლების სამინისტროსთან ეკონომიის განკარგვაზე შეთანხმების წერილები
- საპროგნოზო ბიუჯეტი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

### I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ელექტროობა |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0713 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | 2025 წლის 27 თებერვლის N04/18 ბრძანება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართულ |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ქ.ჯვარი, ყაზბეგის N2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებული |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 45 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 52 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 67 |

## II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 2. საგანმანათლებლო პროგრამები

### 2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

პსდ-ის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა" განხორციელება დაფუძნებულია შესაბამის მტკიცებულებებსა და მათ ანალიზზე, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, ასევე კოლეჯის განვითარების სტრატეგიაზე. აღნიშნული პროგრამის დამატება პასუხობს რეგიონული შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უზრუნველყოფს დამსაქმებლების კვალიფიციური კადრებით დაკმაყოფილებას და ემსახურება კოლეჯის მისიის განხორციელებას – რაც მოიცავს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას რეგიონისა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის, მათ შორის, შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისი განათლებით უზრუნველყოფას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არის საბაზო კვალიფიკაციის. დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება. სწავლის ხანგრძლივობა 52 კვირა ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და პროფესიულ სტუდენტებს აძლევს საშუალებას, მიაღწიონ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს როგორც კოლეჯის A, B და C გარემოში, ასევე პრაქტიკული სწავლის შედეგები დაძლიონ რეალურ გარემოში.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

პსდ-ს შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას. კოლეჯის მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით: ა) მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B და C) გარემო; ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა; გ) საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი დ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა. ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 30. პროგრამა ხორციელდება ქ. ჯვარში, ყაზბეგის ქ. N2-ში, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილ სასწავლო გარემოში

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად საჭირო სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი, განსაზღვრულია პროგრამის დანართით. დაწესებულების მფლობელობაშია პროფესიული საგანმანათლებლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი, მათ შორის ლიტერატურა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის მ/შ მიერ.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება „ელექტროობა“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ეყრდნობა პროგრამის შემადგენელი მოდულების თემატიკას, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, შემუშავებულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტის ელექტროობა / Electricity,“ საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 07313-პ).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროგრამის შეფასების ფორმა*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი*
- *2024 წლის 6 ნოემბრის N04/48 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026*
- *2022 წლის 2 სექტემბერი N04/51 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები*
- *2021 წლის 28 ოქტომბრის N04/79 ბრძანება სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა მეთოდოლოგიაში ცვლილების შეტანის შესახებ*
- *კოლეჯის საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ,,ელექტროობა“ - პროგრამის საგანმანათლებლო რესურსი*
- *2020 წლის 18 მაისის N04/21 ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის მუშაობის და მართვის დებულება*
- *2025 წლის 27 თებერვლის N04/18 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა "ელექტროობა"*
- *2025 წლის 20 თებერვლის 04/07 ბრძანება სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ*
- *2024 წლის 6 დეკემბრის ბრძანება N 04/60 სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ შემუშავებულია პსდ-ის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. კოლეჯს აქვს კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: A, B და C ტიპის სასწავლო გარემო, რომელთა ფართობი შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ ნორმებს. გააჩნია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა. პრაქტიკულ სივრცეებში არის პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები (ცეცხლმაქრით და სხვ.), ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატები. C გარემოში არის დამიწების კონტური. მისი ვარგისიანობა დამოწმებულია შესაბამისი დოკუმენტით. ამავე გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის გამოყენებულია დიფერენციალური გამთიშველები და სასიგნალო ნათურები. სივრცეების ელექტრომომარაგება ხდება 220ვ 380ვ (3-ფაზა) ელექტრული ქსელით. კოლეჯს თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული პარტნიორ ორგანიზაციებთან. აღნიშნული ორგანიზაციები მზად არიან მიიღონ სტუდენტები გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში სასწავლო ექსკურსიის ფორმატში. სტუდენტებს საშუალება ექნებათ დააკვირდნენ საწარმოებში მიმდინარე ტექნიკურ პროცესებს. პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეესაბამება პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობებს. კოლეჯი „ლაკადა“ შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------
------------------------
------------------------
------------------------

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ განხორციელებაში ჩართულია საკმარისი რაოდენობის პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული მასწავლებლების კვირეული დატვირთვა ოპტიმალურადაა განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მდგრადობას. მოდულების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, რაც უზრუნველყოფს ხარისხიან და ორგანიზებულ სასწავლო პროცესს. გარკვეული მოდულები დაკომპლექტებულია ორი ან სამი პროფესიული მასწავლებლის მიერ, ხოლო ზოგადი მოდულების სწავლება კი ხორციელდება შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებით, რაც დამატებით აძლიერებს პროგრამის წარმატებით განხორციელების მექანიზმს.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული მასწავლებლები ფლობენ შესაბამის დარგობრივ კომპეტენციას, მათ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია, პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება და პედაგოგიური უნარები. მასწავლებლები შერჩეულნი არიან კოლეჯის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად. მოდულების განმახორციელებელი პირები ფლობენ იმ კომპეტენციას, რომელიც აუცილებელია პროგრამით განსაზღვრული სწავლების შედეგების მიღწევისა და მათი შეფასებისათვის. მათი კვალიფიკაცია და კომპეტენცია დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტებით. მასწავლებლებს გავლილი აქვთ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები და მათ კარგად აქვთ გაცნობილი სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მიდგომები. ყველა პროფესიულ მასწავლებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომლის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება კოლეჯის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობები და ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. მას აქვს როგორც პრაქტიკული გამოცდილება შესაბამის დარგში, ასევე შესაბამისი პედაგოგიური უნარები და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლების გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში, ჩართულია სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების დაგეგმვისა და ვალიდაციის პროცესში, იცნობს და ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების პროცესში არსებულ ყველა რეგულაციას. მას გააჩნია საკმარისი ცოდნა, ორგანიზატორული უნარები და გამოცდილება, რათა უზრუნველყოს პროგრამის ეფექტიანი და მიზნობრივი განხორციელება.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

პსდ-ში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც სასწავლო ლიტერატურა განთავსებულია როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალურად. ბიბლიოთეკას აქვს სასწავლო პროცესის მხარდამჭერი ფუნქცია. ბიბლიოთეკაში არის ყველა ის სახელმძღვანელო, რომელიც მითითებულია მოდულებში. ყველა წიგნი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენება პროფესიულ სტუდენტს შეუძლია სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ მყუდრო და კომფორტულ გარემოში. გამოყოფილია სამკითხველო სივრცე. წიგნები იძებნება კატალოგებით. ინტერნეტ სივრცეში განთავსებული რესურსები არის თავისუფალი წვდომის რეჟიმში. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასე პროფესიული მასწავლებლებისთვის.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

პსდ-ს აქვს სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ პანდუსი ცენტრალურ შენობაში შესასვლელად. შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული სველი წერტილები. სართულებს შორის დამაკავშირებელი ლიფტი. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის (ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა) და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ისგ-ს საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტისთვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო მასალა და ნედლეული.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს შემოსავლებისა და ხარჯების დეტალურ კალკულაციას, რაც პროგრამის ფინანსურ მდგრადობას უზრუნველყოფს. ბიუჯეტი მოიცავს ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებიდან მიღებულ შემოსავლებს და მათგან განსახორციელებელ ხარჯებს: მათ შორისაა, მასწავლებელთა შრომითი ანაზღაურება, სასწავლო რესურსებზე გაწეული ხარჯები, ადმინისტრირებისა და კომუნალური ხარჯები. ფინანსების მართვის სამსახური განსაზღვრავს პროგრამის რენტაბელობისთვის საჭირო სტუდენტთა რაოდენობას და უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების სწორ განაწილებას, რაც ხელს უწყობს პროგრამის წარმატებით და მდგრად განხორციელებას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *2025 წლის 27 თებერვლის N04/18 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა "ელექტროობა", დანართებით*
- *პროგრამის ხელმძღვანელისა და მასწავლებლების პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები*
- *კოლეჯის საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ,,ელექტროობა" - პროგრამის საგანმანათლებლო რესურსი.*
- *2020 წლის 18 მაისის N04/21 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „ლაკადა" ბიბლიოთეკის მუშაობის და მართვის დებულება*
- *2025 წლის 20 თებერვლის 04/07 ბრძანება N04/07 სსიპ კოლეჯის „ლაკადა" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ*
- *საგანმანათლებლო პროგრამის ფაქტობრივი ბიუჯეტი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

კოლეჯში ხარისხის მართვის უზრუნველყოფა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გააუმჯობესე. სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობს აღნიშნული ციკლის შესაბამისად. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის, შიდა მონიტორინგის ჯგუფის და შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ. ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერის, სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის, ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მართვის სპეციალისტის, პროგრამის ხელმძღვანელებისა და კოლეჯის მასწავლებლების აქტიური ჩართულობით. ხარისხის მართვის მენეჯერი პასუხისმგებელია სტუდენტების, მასწავლებლების რეგულარულ გამოკითხვაზე, მიღებული შედეგების ანალიზსა და რეკომენდაციების შემუშავებაზე. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დაგეგმვა ხორციელდება პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. სასწავლო გეგმები იძლევა სწორ გზას პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესაძლებლობის შესახებ, რომლის მიზანია მუდმივად განახორციელოს სასწავლო პროგრამების გაუმჯობესება და სახელმწიფო სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათი მაქსიმალურად დაახლოება. კოლეჯი




ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეგულარულად ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას, ატარებს სტუდენტების, თანამშრომლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას და ა.შ. კვლევის ანალიზის მასალები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული აქტივობების შედეგების ანალიზის საფუძველზე - პროფესიულ სტანდარტში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელს. მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროცედურების და წესების შესაბამისად დირექტორის მ/შ მიერ გამოიცემა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში განისაზღვრება პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც აღნიშნული ცვლილება გავრცელდება.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2024 წლის 6 დეკემბრის ბრძანება N 04/60 სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი
- 2025 წლის 20 თებერვლის N 04/06 სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების შესახებ
- პროგრამის შეფასების ფორმა
- კვლევების შედეგები
- ინტერვიუს შედეგები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ადგილზე და ელექტრონულად. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულის შესახებ, ასევე, გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები გავლილი მოდულების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია სასწავლო პროცესზე დაკვირვება და პრობლემების იდენტიფიცირება. პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრა. კოლეჯის დირექტორის მ/შ ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების, პროფესიული სტუდენტის შეფასების გასაჩივრების, პროფესიული სტუდენტებისთვის კონსულტაციის გაწევის, პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესებს.
სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასების მიზნით ჩატარდა გასაუბრებები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს.
პროგრამის ხელმძღვანელები ადასტურებენ, რომ კოლეჯში შექმნილია მოქნილი სისტემა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სწავლის პროცესში ცვლილებების ეფექტურად განხორციელებას უზრუნველყოფს.
პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია. განსაკუთრებით დადებითად შეფასდა სასწავლო განრიგის მოქნილობა და დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები. გასაუბრების და მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. არსებული მექანიზმები, მათ შორის სასწავლო პროცესის რეგულაციები, ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის რეგულაცია, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები და სასწავლო ცხრილის ადაპტაციის შესაძლებლობა, ხელს უწყობს სტუდენტების საჭიროებებზე დროულ რეაგირებას. ჩართული მხარეების (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები, მასწავლებლები და სტუდენტები) შეფასებები ადასტურებს, რომ კოლეჯში პროცესი გამჭვირვალედ და ეფექტურად იმართება.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობა“ ითვალისწინებს, როგორც ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების თანამედროვე მეთოდებს, ისე დარგის შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას. პსდ-ში ამ პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება C გარემოში: აქვთ ელექტროსამონტაჟო სახელოსნო; ელექტროტექნიკის ლაბორატორია. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებები. კოლეჯს გააჩნია ონლაინ კონფერენციებისთვის საჭირო მოწყობილობები. პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის იგეგმება ტრენინგები, ვორქშოპები, სამუშაო შეხვედრები კოლეგებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან საუკეთესო ,პრაქტიკის გაზიარების მიზნით. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და კომპეტენცია, რათა უზრუნველყონ სტუდენტებისთვის დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა.
<u>**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**</u>

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

პსდ-ს აქვს მზაობა და მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილია მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებენ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“ განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია/პროცედურა. ამ დოკუმენტის შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება, თუ: პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს. მოცემულ შემთხვევაში შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის განხორციელებასაც უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლები.
<u>**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**</u>

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო ექსკურსიებს მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - ელექტროობაში“ ფარგლებში.
სსიპ კოლეჯ „ლაკადას“ პარტნიორი ორგანიზაციებია: შ.პ.ს. „ენგურჰესი“, სს „ენერგო-პრო-ჯორჯია“ და შ.პ.ს. „სკურჰესი“.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პსდ-ში მოქმედებს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომელშიც გაწერილია უსაფრთხოების მიდგომები, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურები. კოლეჯში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.
პსდ-ში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობის“ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მიმდინარეობს C გარემოში, რომელიც მოიცავს ელექტროსამონტაჟო სახელოსნოს; მაღალი ძაბვის ლაბორატორიას; ელექტროტექნიკის ლაბორატორიას. სახელოსნოსა და ლაბორატორიებში ელექტროდანადგარებთან პრაქტიკული სამუშაოების წარმოების უსაფრთხოების ინსტრუქციები გაწერილია ნორმატიულ დოკუმენტში. თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული უსაფრთხოების წესები, გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები. სამუშაო სტენდები დამიწებულია. პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები უზრუნველყოფილია პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმით.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
- *2025 წლის 20 თებერვლის 04/07 ბრძანება N04/07 სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ*
- *2025 წლის 27 თებერვლის N04/18 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა "ელექტროობა"*
- *2024 წლის 6 დეკემბრის ბრძანება N 04/60 სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი*
- *პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმები*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *2025 წლის 27 თებერვლის N 04/17 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები დამტკიცების შესახებ*
- *2022 წლის 6 დეკემბრის N 04/82 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „ლაკადა" საგანგებო მართვის გეგმა*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

პსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას; პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური; შეფასების სისტემა ვალიდურია, რადგან გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით. შეფასების სისტემა სანდოა, რაც გამყარებულია განხორციელებული შეფასების შედეგები სათანადო მტკიცებულებებით. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისთვის. შეფასების სისტემა სამართლიანია, რასაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის იმგვარად ორგანიზებულობა (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები)., რომ შესაფასებელ პირს მიეცეს საშუალება, დაადასტუროს მიღწეული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------
------------------------
------------------------
------------------------

სწავლის შედეგები. ასევე შეფასებისას ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირ პირობებში არის ჩაყენებული, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ობიექტურობას.

შეფასება ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. დამკვიდრებული წესის თანახმად პროფესიულ პროგრამებში გამოიყენება ორივე ტიპის შეფასება:

- ✓ განმსაზღვრელი შეფასება (summative assessment) – საბოლოო შეფასება, რომელიც აჩვენებს, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სასწავლო შედეგებს.
- ✓ განმავითარებელი შეფასება (formative assessment) – სტუდენტების პროგრესის მონიტორინგი და უკუკავშირის უზრუნველყოფა.

გასაუბრების და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი ზრუნავს შეფასების სისტემის გაუმჯობესებაზე, რაც გამოიხატება შემდეგში:

კოლეჯი ატარებს ტრენინგებს შეფასების სისტემის ერთგვაროვნებისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად.

ყველა შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას, რათა იყოს ადეკვატური და შედეგზე ორიენტირებული. ვალიდაცია წარმოადგენს შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურებას.

ვალიდაცია ხორციელდება როდესაც: იქმნება ახალი შეფასების ინსტრუმენტი; ხდება არსებულ ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანა

პერიოდულად ხორციელდება შეფასების სისტემის ვერიფიკაცია.

პროფესიულ სტუდენტებს აქვთ სრული ინფორმაცია შეფასების მექანიზმების შესახებ, იცნობენ გადაბარებისა და აპელაციის წესს.

**<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმებს. შეფასება შესაფასებელი პირის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. მნიშვნელობა არ აქვს, სად ხდება შეფასება, ან რა ფორმით არის ის წარმოდგენილი, შეფასება ყოველთვის მოიცავს პროცესზე დაკვირვებას, შედეგის (პროდუქტის) შეფასებას და გამოკითხვას. შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ობიექტურობა. ამ მიზნით ყოველწლიურად, წლის დასაწყისში დირექტორის ინდივიდუალურ- სამართლებრივი აქტით მტკიცდება ვერიფიკაციის გეგმა და ვერიფიკაციის ჯგუფი. ჯგუფს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. ჯგუფის წევრები ვალდებული არიან 6 თვეში ერთხელ წარუდგინონ დასკვნა ვერიფიკაციის პროცესის ხელმძღვანელს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შევიდეს გეგმაში ცვლილება. დარგის სპეციალისტი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის დასკვნა და შედეგების განხილვა ვერიფიკატორების მიერ შემუშავებული დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია იდენტიფიცირებული შეუსაბამობა გაიწეროს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ აქტივობად, ან უშუალოდ იდენტიფიცირებული შეუსაბამობიდან გამომდინარე, ცალკე შემუშავდეს გაუმჯობესების უზრუნველყოფის გეგმა. ვერიფიკატორების დასკვნების განხილვის შემდეგ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მუშავდება ერთიანი ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც წარედგინება დირექტორს.

ხარისხის მენეჯერმა წარმოადგინა აღნიშნული აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვერიფიკაციის კითხვარები, სამუშაო ოქმები და ანალიზის დოკუმენტი. ვერიფიკაციის დროს გამოკვეთილი საკითხების შესაბამისად ხდება შეფასების სისტემის გაუმჯობესება. ვერიფიკაციის პროცესის შემოწმება არ შემოიფარგლა მხოლოდ დოკუმენტაციის გაცნობით. ასევე გადამოწმდა მტკიცებულებები და შედგა გასაუბრება სტუდენტებთან, განმახორციელებლებთან და ვერიფიკატორებთან.

ვერიფიკაციის პროცესის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ მიუხედავად ზოგიერთი გამოწვევისა, კოლეჯი ახორციელებს გამჭვირვალე, ობიექტურ და სანდო შეფასებას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ხოლო შეფასების უწყისებს უვადოდ; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის კრედიტების ათვისება და შედეგების დადასტურება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის




ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს. რაც აისახება ბრძანების თანახმად შექმნილი საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილების საფუძველია.
ამგვარი პროცედურები უზრუნველყოფს, რომ ყველა საჭირო მონაცემი და მტკიცებულება იყოს სათანადოდ დაფიქსირებული და დაცული, რომ კოლეჯი სრულად დაემორჩილოს კანონისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებს.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგ(ებ)ი გამოყენებული უნდა იყოს მათი შემდგომი განვითარებისათვის: მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი უწყისში ასახულ შედეგებს გონივრულ ვადაში აცნობს პროფესიულ სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მენეჯერს და ხარისხის მენეჯერს. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის მენეჯერთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ანალიზს. გამოვლენილი შეუსაბამობების შემთხვევაში მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას: პროგრამის განვითარების, მოდულის რიგითობის შეცვლის, სასწავლო გეგმის კორექტირების, სწავლის მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტის, საგანმანათლებლო რესურსების ცვლილების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის „ლაკადას“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები - დამტკიცებულია 2025 წლის 20 თებერვლის N 04/06 ბრძანებით;
- სსიპ კოლეჯის „ლაკადას“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - დამტკიცებულია 2025 წლის 20 თებერვლის ბრძანებით ,N04/07
- ვერიფიკაციის დოკუმენტაცია;
- ინტერვიუების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საფინანსო სერვისები/ Finance services |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0412 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | 2025 წლის 27 თებერვლის N04/18 ბრძანება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ქ.ჯვარი ,ყაზბეგის N2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალური სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 (კოოპერაციული) |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 52 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 67 |

### III. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 2. საგანმანათლებლო პროგრამები

### 2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ მისია სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვით უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული განათლების მაღალი დონის მიღწევას. კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას. კოლეჯის გადაწყვეტილება ,,საფინანსო სერვისები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას და მზადაა საფინანსო სერვისების მიმართულებით მოამზადოს თანამედროვე საჭიროებებისა და უნარ-ჩვევების მქონე პროფესიული კადრები.[
საფინანსო სერვისების (საბანკო საქმის) პროგრამა სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიას, რომელიც მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას. კოლეჯი რეგიონისა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთ სთავაზობს თანამედროვე სწავლების მეთოდებს, რაც ხელს შეუწყობს საბანკო სექტორში დასაქმების ზრდას. ადგილობრივი და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეროვნული შრომის ბაზრის ანალიზი აჩვენებს, რომ საფინანსო და საბანკო სფეროში კვალიფიციური კადრების მოთხოვნა მუდმივად იზრდება. ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა ფინანსური დაწესებულებების მხრიდან გამოიხატება დაინტერესება კარგად მომზადებული სპეციალისტების დასაქმებით. ეროვნული კვლევების მიხედვით, ფინანსური სექტორი ერთ-ერთი ყველაზე მზარდი დარგია, სადაც საჭიროა ტექნოლოგიური და ციფრული უნარების მქონე კვალიფიციური კადრები. პროფესიული განათლება ამ მიმართულებით დიდ როლს თამაშობს საბანკო სექტორის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში. დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირი ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად გამოიკვეთა კონკრეტული მოთხოვნები პროფესიონალი კადრებისადმი. ისინი აფასებენ როგორც ტექნიკურ, ისე კომუნიკაციისა და მომსახურების უნარებს, რასაც ეს პროგრამა უზრუნველყოფს. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზის მიხედვით, საფინანსო სექტორში დასაქმების მაჩვენებელი მზარდია. კერძო და საჯარო სექტორში ფინანსური მენეჯმენტისა და ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში კადრების მოთხოვნა მაღალია. ასევე, დასაქმების პლატფორმებზე (მაგ., jobs.ge, hr.ge) რეგულარულად ქვეყნდება ვაკანსიები საფინანსო სა და საბანკო ოპერაციების სპეციალისტების პოზიციებზე, რაც მიუთითებს ამ პროფესიებზე მუდმივ მოთხოვნაზე. ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა ადგილობრივი კვლევებით დადასტურებულია, რომ რეგიონში საბანკო სფეროში მომუშავე კვალიფიციური კადრების დეფიციტია, რაც ზრდის ამ პროგრამის მოთხოვნას. კურსდამთავრებულების კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კონკრეტული პროგრამის კურსდამთავრებულები წარმატებით საქმდებიან საბანკო სექტორში და სხვა ორგანიზაციების საფინანსო განყოფილებებში კვალიფიციური კადრების დეფიციტი საქართველოს ფინანსურ სექტორში ტექნოლოგიურად მომზადებული და პრაქტიკული უნარების მქონე კადრების სიმცირეა, რაც ზრდის ასეთი პროგრამების მნიშვნელობას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.** კერძოდ: "საფინანსო სერვისების" საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – საბაზო განათლება და ასაკი 17 წელი – სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. პროცედურა კი გულისხმობს კოლეჯის მიერ ორგანიზებული პროფესიული გასაუბრების საფუძველზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობის დაცვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ეფექტურობას და პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

კერძოდ: კოლეჯის ადმინისტრაციას შემუშავებული აქვს სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია 18.02.2021 წლის ბრძ. #04-2.(განხორციელდა ცვლილება 28.10.2021 ბრძ. # 04-79)).

დამტკიცებული მეთოდოლოგია ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისათვის ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის:

- სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს;
- ადამიანური რესურსის საკმარისობას;
- პროგრამის განხორციელების სპეციფიკას და მიდგომებს;
- საპროგნოზო ბიუჯეტის გათვალისწინებით დადგენილ რენტაბელობის ზღვარს;
- სწავლების სხვადასხვა მოდელების გამოყენების შესაძლებლობას;
- პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის მოთხოვნებს;
- პროგრამის მოთხოვნადობასა და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს.

"საფინანსო სერვისების" პროგრამისათვის კოლეჯს გააჩნია შესაბამისი სასწავლო გარემო (A და B გარემო):

- აუდიტორიები (A და B გარემო) აღჭურვილია 30 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინვენტარით;

ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, წარმოდგენილი პროგრამის შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე "საფინანსო სერვისები" მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. დაწესებულებას შეუძლია პროგრამის ფარგლებში 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას. პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმი პარტნიორ ორგანიზაციებთან ითვალისწინებს აღნიშნულ კვოტას და არ არის ამ კუთხითაც შეზღუდვა. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ კვოტას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.** კერძოდ: ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,საფინანსო სერვისები" განხორციელებისთვის დაწესებულების მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების შესაბამისობის კვლევას. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართული არიან რესურსების შეფასებისა და საჭიროების განსაზღვრის პროცესში, მოახდინეს საინკასაციო ჩანთის, ბანდეროლის მულაჟის, ფასეულობებისთვის ქისის მულაჟის ფულისა და სხვა ფასეულობების მულაჟის დამატება/განახლება. სტუდენტები აღნიშნული რესურსების შესაბამისობას აფასებენ დადებითად. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. საგანმანათლებლო რესურსი ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ნაბეჭდი და ელექტრონული სახით, ელექტრონული სახით არსებული სასწავლო რესურსი ჩაწერილია CD დისკებზე.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საფინანსო სერვისები" არ მოიცავს არჩევით მოდულს.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ კოლეჯის ,,ლაკადას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საფინანსო სერვისები“ დამტკიცებულია 2025 წლის 27 თებერვლის N04/18 ბრძანებით უფლებამოსილი პირის - სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის მ/შ მიერ.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.** კერძოდ; პროგრამის მიზანი არის კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს შრომის ბაზარზე წარმატებით ინტეგრირებას.

   პროგრამის ფარგლებში მომზადებული კურსდამთავრებული შეძლებს:

   - აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო ობიექტებში
   - აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება საბანკო დაწესებულებებში
   - განახორციელოს სალარო და საბანკო ოპერაციები
   - შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები
   - ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

   აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და არ არის შეცდომაში შემყვანი.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.** კერძოდ: პროგრამა შემუშავებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტის ,,საფინანსო სერვისები“ საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 04117-პ) საგანმანათლებლო პროგრამა “საფინანსო სერვისები” შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის “საფინანსო სერვისები” (სარეგისტრაციო ნომერი - 04117-პ) საფუძველზე. ამასთან, ის შესაბამისობაშია სსიპ კოლეჯის ,,ლაკადას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესთან და კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებთან. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაცია, ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მიზნები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / BasicVocational Qualification in Finance Services (კვალიფიკაციის კოდი – 0412), პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შეიცავს პროგრამის ძირითადი დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმას. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 52 კრედიტს ქართულენოვანი სტუდენტებისათვის (პროგრამის ხანგრძლივობა - 9 სასწავლო თვე), პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 67 კრედიტი (პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 12 სასწავლო თვე). ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს 6 ზოგადი მოდულს 16 კრედიტის მოცულობით (ინფორმაციული წიგნიერება 1 – 3 კრედიტი, ინტერპერსონალური კომუნიკაცია – 3 კრედიტი, რაოდენობრივი წიგნიერება – 2 კრედიტი, ინგლისური ენა – 4 კრედიტი, მეწარმეობა 1 – 2 კრედიტი, სამოქალაქო განათლება – 3 კრედიტი) და 13 პროფესიულ მოდულს ჯამური 35 კრედიტის მოცულობით (გაცნობითი პრაქტიკა - საფინანსო სერვისები – 1 კრედიტი, ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები – 2 კრედიტი, სერვის პლუსი – 1,5 კრედიტი, სალაროს ოპერაციების განხორციელება – 3,5 კრედიტი, ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება – 4 კრედიტი, ანგარიშის გახსნა-დახურვა – 4 კრედიტი, სწრაფი ფულადი გზავნილები – 1 კრედიტი, უნაღდო ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციები – 4 კრედიტი, სადეპოზიტო მომსახურება – 4 კრედიტი, საკრედიტო პროდუქტები – 2 კრედიტი, საკრედიტო პროდუქტები – 2 კრედიტი, დისტანციური საბანკო მომსახურება – 1,5 კრედიტი, სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი – 3 კრედიტი, საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები – 3,5 კრედიტი). ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სსიპ კოლეჯის „ლაკადას“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - დამტკიცებულია 2025 წლის 20 თებერვლის ბრძანებით ,N04/07;
- საგანმანთლებლო პროგრამა -საფინანსო სერვისები - 2025 წლის 27 თებერვლის N04/18 ბრძანებით დამტკიცებული;
- სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი - 2024 წლის 6 დეკემბრის ბრძანება N 04/60 -ით დამტკიცებული;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ,,საფინანსო სერვისები“ - პროგრამის საგანმანათლებლო რესურსი;
- ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება დამტკიცებული 2020 წლის 18 მაისის N04/21 ბრძანებით;
- 2021 წლის 28 ოქტომბრის N04/79 ბრძანება სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა მეთოდოლოგიაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები - დამტკიცებული 2022 წლის 2 სექტემბერი N04/51 ბრძანებით;
- 2020-2026 სტრატეგიული განვითარების გეგმა - დამტკიცებული 2024 წლის 6 ნოემბრის N04/48 ბრძანებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობა;
- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.** კერძოდ: საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ქ. ჯვარი ,ყაზბეგის N2-ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A და B გარემოები, სადაც განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი) . A /B სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი აუდიტორია , რომელიც განკუთვნილია პროგრამის „საფინანსო სერვისების" 15 (ორ ცვლაში 30) პროფესიული სტუდენტზე. აუდიტორიაში განთავსებულია: მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; კარადა რესურსებისთვის, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, კომპიუტერებში ჩატვირთულია შესაბამისი პროგრამა ალტას დემო ვერსია, ფულის ამომცნობ დეტექტორი, ფულის სათვლელ მანქანა, საინკასაციო ჩანთა, თემატური თვალსაჩინოებები, ლუპა, ფულის მულაჟები, შესაფუთი და დასალუქი საშუალებები, ბეჭდები/შტამპები, და ა.შ., რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს (C გარემო) პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სს „ლიბერთი ბანკი" და შპს "გორგიასთან". სს „ლიბერთი ბანკში" გათვალისწინებულია მოდული „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისების" (ს/შ 2) გატანა. შპს "გორგიასთან" მოდული „გაცნობითი პრაქტიკა-საფინანსო სერვისები"(ს/შ 2) , მოდული „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისების" (ს/შ 1) და მოდული „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლის" (ს/შ 2,4 )გატანა. საწარმოო პრაქტიკის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ- ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს ურთიერთთანამშრომლობის გზით, პროფესიული პროგრამის „საფინანსო სერვისების" პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულების განხორციელებას პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. თანამშრომლობის მიზანია პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტს განუვითაროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ–ჩვევები. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს კოორდინაცია გაუწიოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, რისთვისაც მზადაა გამოყოს ინსტრუქტორ(ებ)ი/კოორდინატორები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას და მხარდაჭერას. პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრებისა და აღნიშნული დაწესებულების გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საფინანსო სერვისების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 30 პროფესიული სტუდენტი, ორი ცვლის/მიღების შემთხვევაში 15-15 პროფესიული სტუდენტი).

პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას მათ დაადასტურეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ალტას სატესტო პროგრამაში მუშაობის ფაქტები, მოდულის სწავლების დროს სწავლის შედეგების მიხედვით იყენებდნენ სხვადასხვა მატერიალურ რესურს ( ფულის ამომცნობ დეტექტორს, ფულის სათვლელ მანქანას, საინკასაციო ჩანთას, ფულის მულაჟებს, შესაფუთ და დასალუქ საშუალებებს, ბეჭდებს/შტამპებს, და ა.შ.). პრაქტიკის ობიექტზე სს „ლიბერთი ბანკში" ახდენდნენ სხვადასხვა საბანკო ოპერაციების განხორციელებას,: მომხმარებლის მიღებას/გადამისამართებას; ანგარიშის გახსნას; გზავნილის მიღება/გაცემას; საკრედიტო ოფიცერთან ერთად სესხის შეფასებას და სხვა. სავაჭრო ობიექტზე მომხმარებლის მიღებას; ფასების კონტროლს; კონსულტაციის გაწევა და სხვა. პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით, პსდ-ს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ამ შესაბამისობის დადგენისთვის ასევე კოლეჯის მხრიდან წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი, კითხვარი და დადგენილების მოთხოვნის მიხედვით შემუშავებული წესი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით,

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.** კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები", დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 12 მასწავლებელი, აქედან 8 განახორციელებს ზოგად, ხოლო 3 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს ორი განმახორციელებელი პერსონალი.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.** კერძოდ: ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კოლეჯის სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს პროფესიული მასწავლებლების პროფესიული განვითარება. იგეგმება და პერიოდულად ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება სწავლების მეთოდების სრულყოფის, სტუდენტის მიღწევის შეფასების და კვალიფიკაციის მინიჭების ორგანიზების კუთხით. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგი „ სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, შემდგომ უკვე პროგრამის განვითრების მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.** კერძოდ: დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პირადი საქმის შესწავლისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „ საფინანსო სერვისები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშობის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესებშიც.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.** კერძოდ: ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება . ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით, ელექტრონული რესურსის შემთხვევაში ლიტერატურის დასახელების გვერდით მითითებული არის „ელექტრონული“ ვერსია, ამასთანავე მასალა ჩაწერილია CD დისკებზე და დაცულია საბიბლიოთეკო ფონდში. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ დაწესებულების სამკითხველო დარბაზში სადაც განთავსებულია სამი კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები აპარატი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში, სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.

   <u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.** კერძოდ: კოლეჯში ხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა სწავლება, რაც გულისხმობს საჭირო დამატებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადამიანური და მატერიალური რესურსის მიწოდებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. სსიპ კოლეჯს „ლაკადა“ აქვს სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ პანდუსი ცენტრალურ შენობაში შესასვლელად. შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული სველი წერტილები. სართულებს შორის დამაკავშირებელი ლიფტი. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და,შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის (ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა) და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ისგ-ს საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტისთვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო მასალა და ნედლეული.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.** კერძოდ: პროგრამის ბიუჯეტი, შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში- ვაუჩერული დაფინანსება, პროგრამული დაფინანსება, ხარჯებში- მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსებიდან), სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯები, ადმინისტრირების ხარჯი, კომუნალური ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით რენტაბელობის ზღვარია 6 პროფესიული სტუდენტი.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**დასტურდება (მტკიცებულებები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ კოლეჯის „ლაკადას“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - დამტკიცებულია 2025 წლის 20 თებერვლის ბრძანებით ,N04/07;
- საგანმანთლებლო პროგრამა -საფინანსო სერვისები - 2025 წლის 27 თებერვლის N04/18 ბრძანებით დამტკიცებული;
- კოლეჯის საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ,,საფინანსო სერვისები“ - პროგრამის საგანმანათლებლო რესურსი;
- ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება დამტკიცებული 2020 წლის 18 მაისის N04/21 ბრძანებით;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;
- პერსონალის პირადი საქმე;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის პირადი საქმე;
- პროგრამის ‘საფინანსო -სერვისები“ ბიუჯეტი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.** კერძოდ: კოლეჯში ხარისხის მართვის უზრუნველყოფა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე- განახორციელე-შეაფასე-გააუმჯობესე. სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობს აღნიშნული ციკლის შესაბამისად. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის, შიდა მონიტორინგის ჯგუფის და შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ. ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერის, სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის, ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მართვის სპეციალისტის, პროგრამის ხელმძღვანელებისა და კოლეჯის მასწავლებლების აქტიური ჩართულობითთ. ხარისხის მართვის მენეჯერი პასუხისმგებელია სტუდენტების მასწავლებლების რეგულარულ გამოკითხვაზე, მიღებული შედეგების ანალიზსა და რეკომენდაციების შემუშავებაზე. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დაგეგმვა ხორციელდება პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. სასწავლო გეგმები იძლევა სწორ გზსა პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესაძლებლობის შესახებ, რომლის მიზანია მუდმივად განახორციელოს სასწავლო პროგრამების გაუმჯობესება და საწელმწიფო სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათი მაქსიმალურად დაახლოება. კოლეჯი რეგულარულად ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას, ატარებს სტუდენტების თანამშრომლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას და ა.შ. კვლევის ანალიზის მასალები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.** კერძოდ: პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული აქტივობების შედეგების ანალიზი საფუძველზე. პროფესიულ სტანდარტში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელს. მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროცედურების და წესების შესაბამისად დირექტორის მ/შ მიერ გამოიცემა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანისშესახებ. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში განისაზღვრება პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც აღნიშნული ცვლილება გავრცელდება.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი - 2024 წლის 6 დეკემბრის ბრძანება N 04/60 -ით დამტკიცებული;
- სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების შესახებ ბრძანება 2025 წლის 20 თებერვლის N 04/06;
- პროგრამის შეფასების ფორმა;
- სხვადასხვა ტიპის კითხვარებით;
- გასაუბრებით;
- კვლევების მეთოდოლოგიით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.** კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საფინანსო სერვისების " პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ადგილზე და ელექტრონულად. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულის შესახებ, ასევე, გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები გავლილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საფინანსო სერვისები სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან. ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პრაქტიკის ორივე ობიექტზე, შედგა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებაზე პასუხისმგებელ პირებთან, ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.** კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგნიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია სასწავლო პროცესზე დაკვირვება და პრობლემების იდენტიფიცირება. პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრა. კოლეჯის დირექტორის მ/შ ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით




ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფის, სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების, პროფესიული სტუდენტის შეფასების გასაჩივრების, პროფესიული სტუდენტებისთვის კონსულტაციის გაწევის, პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესებს.
სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასების მიზნით ჩატარდა გასაუბრებები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს.
პროგრამის ხელმძღვანელები ადასტურებენ, რომ კოლეჯში შექმნილია მოქნილი სისტემა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სწავლის პროცესში ცვლილებების ეფექტურად განხორციელებას უზრუნველყოფს.
პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია. განსაკუთრებით დადებითად შეფასდა სასწავლო განრიგის მოქნილობა და დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები. გასაუბრების და მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. არსებული მექანიზმები, მათ შორის სასწავლო პროცესის რეგულაციები, ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის რეგულაცია, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები და სასწავლო ცხრილის ადაპტაციის შესაძლებლობა, ხელს უწყობს სტუდენტების საჭიროებებზე დროულ რეაგირებას. ჩართული მხარეების (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები, მასწავლებლები და სტუდენტები) შეფასებები ადასტურებს, რომ კოლეჯში პროცესი გამჭვირვალედ და ეფექტურად იმართება.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.** კერძოდ:
კოლეჯის საგანმანათლებლო პროცესში აქტიურად გამოიყენება საინფორმაციო- საკომუნიკაციო საშუალებები. კოლეჯს აქვს ონლაინ კონფერენციების, სესიების, სემინარების, ტრენინგების და სხვა ჩატარებისთვის შესაბამისი საკომუნიკაციო მოწყობილობა. პროფესიული პროგრამა ითვალისწინებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ათვისებას და გამოყენებას ლექციური და პრაქტიკული მეცადინეობის პროცესში.კოლეჯის მიერ, სტრატეგიული გეგმის შესაბამისად ხორციელდება პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პრაქტიკის ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სტაჟირება/ტრენინგები სწავლებაში დარგის უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, ხოლო ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. მათ შორის აღსანიშნავია: პრობლემაზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაფუძნებული სწავლება (PBL) – სტუდენტები მუშაობენ რეალურ ან სიმულირებულ ამოცანებზე, რაც მათ პრაქტიკულ უნარებს აძლიერებს. სიმულაციური სწავლება, ხდება იმიტირებული სამუშაო გარემოს გამოყენება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამისათვის.

კოლეჯი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს: კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიებს, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, იმუშაონ შესაბამისი დარგის პროგრამულ უზრუნველყოფაზე. ყველა კომპიუტერი აღჭურვილია კოლპიუტერული პროგრამით (ალტას სატესტო პროგრამა) რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას რეალური სამუშაო პროცესისთვის. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას. სასწავლო მასალები და რესურსები ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია, რაც ზრდის სტუდენტების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იმუშაონ და გაამყარონ მიღებული ცოდნა.

შეფასების პროცესის ფარგლებში გასაუბრებები ჩატარდა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, რომელთა შეფასებები დადებითია: პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაისინჯება და ვითარდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებსა და დარგისთვის შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ თავისუფლად აქვთ წვდომა რესურსთან.

შეფასების პროცესის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

✓ სასწავლო მეთოდები ითვალისწინებს ინოვაციურ მიდგომებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას.

✓ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სწავლების პროცესს.

✓ კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული აპროგრამის ინტეგრაცია პროფესიულ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, განივითარონ მათთვის საჭირო პრაქტიკული უნარები.

✓ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის უკუკავშირი ადასტურებს, რომ კოლეჯი ახორციელებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

<u>**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

----------------------

----------------------

----------------------

----------------------

**4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.** კერძოდ: კოლეჯის დირექტორის მ/შ ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს სსიპ კოლეჯის - ,,ლაკადა" სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ იმუშაობას - ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, რის მეშვეობითაც კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობასსაგანმანათლებლო პროცესში.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.** კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საფინანსო სერვისები განხორციელების მიზნებისათვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი პარტნიორებთან, პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული მოდულების „საწარმოო პრაქტიკა- საფინანსო სერვისები" სწავლის შედეგების მიღწევას, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. „საწარმოო პრაქტიკა-საფინანსო სერვისები " მოდულთან დაკავშირებით გაფორმებულია მემორანდუმი სს „ლიბერთი ბანკსა" და შპს „გორგიასთან". პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება სრულად არის შესაძლებელი კოლეჯის და პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე. საბანკო დაწესებულებებში გათვალისწინებულია მოდული „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისების" (ს/შ 2) გატანა ხოლო, შპს „გორგიაში" მოდული „გაცნობითი პრაქტიკა-საფინანსო სერვისები"(ს/შ 2) , მოდული „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისების" (ს/შ 1) და მოდული „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლის" (ს/შ 2,4 )გატანა. საწარმოო პრაქტიკის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ- ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს ურთიერთთანამშრომლობის გზით, პროფესიული პროგრამის „საფინანსო სერვისების" პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულების განხორციელებას პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. თანამშრომლობის მიზანია პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ–ჩვევები. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს კოორდინაცია გაუწიოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, რისთვისაც გამოყოფს ინსტრუქტორ(ებ)ს/კოორდინატორებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ სწავლებას და მხარდაჭერას. ექსპერტების მიერ განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ საფინანსო სერვისების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში - 30 პროფესიული სტუდენტი).
კოლეჯს საკუთარ ბაზაზე აქვს უზრუნველყოფილი პროგრამა სრულად ყველა საჭირო რესურსით. შესაბამისად დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების საჭიროება არ დგას.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.** კერძოდ: დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ,,საფინანსო სერვისები" თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება არ საჭიროებს განსაკუთრებულ/სპეციფიკური უსაფრთოხების პირობების შექმნას/დაცვას. თუმცა, დაწესებულებაში მოქმედებს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომელშიც გაწერილია უსაფრთხოების მიდგომები, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურები. კოლეჯში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება. კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ასევე საევაკუაციო გეგმები, შენობის სამივე სართულზე განთავსებული სახანძრო სტენდები და ცეცხლმაქრი ბალონები. დაცულია ცეცხლმაქრების გამოყენების ვადები. კოლეჯს გააჩნია პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით. სტუდენტებს და პერსონალს პირველად სამედიცინო დახმარებას უწევს ექთანი. შენობის სველი წერტილები ადაპტირებულია შშმ პირებისათვის. პარტნიორი ორგანიზაციები ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად უზრუნველყოფენ სტუდენტთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო პირობების დაცვას.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- საგანმანთლებლო პროგრამა -საფინანსო სერვისები - 2025 წლის 27 თებერვლის N04/18 ბრძანებით დამტკიცებული;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-----------------------
-----------------------
-----------------------
-----------------------

- სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ საგანგებო მართვის გეგმა - 2022 წლის 6 დეკემბრის N 04/82 ბრძანებით დამტკიცებული;
- სსიპ კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები დამტკიცების შესახებ - 2025 წლის 27 თებერვლის N 04/17 ბრძანებით დამტკიცებული;
- სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი - 2024 წლის 6 დეკემბრის ბრძანება N 04/60 -ით დამტკიცებული;
- სსიპ კოლეჯის „ლაკადას“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - დამტკიცებულია 2025 წლის 20 თებერვლის ბრძანებით ,N04/07;
- ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან;
- სასწავლო ცხრილები;
- სასწავლო გეგმა;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვები.
- ვიზუალური დათვალიერებით.

### 2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური** კერძოდ, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას; პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური; შეფასების სისტემა ვალიდურია, რადგან გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით. შეფასების სისტემა სანდოა, რაც გამყარებულია განხორციელებული შეფასების შედეგები სათანადო მტკიცებულებებით. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისთვის. შეფასების სისტემა სამართლიანია, რასაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის იმგვარად ორგანიზებულობა (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები)., რომ შესაფასებელ პირს მიეცეს საშუალება, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები. ასევე შეფასებისას ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირ პირობებში არის ჩაყენებული, რაც უზრონველყოფს შეფასების სისტემის ობიექტურობას.

შეფასება ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. დამკვიდრებული წესის თანახმად პროფესიულ პროგრამებში გამოიყენება ორივე ტიპის შეფასება:

- ✓განმსაზღვრელი შეფასება (summative assessment) – საბოლოო შეფასება, რომელიც აჩვენებს, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სასწავლო შედეგებს.
- ✓განმავითარებელი შეფასება (formative assessment) – სტუდენტების პროგრესის მონიტორინგი და უკუკავშირის უზრუნველყოფა.

გასაუბრების და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი ზრუნავს შეფასების სისტემის გაუმჯობესებაზე, რაც გამოიხატება შემდეგში:

კოლეჯი ატარებს ტრენინგებს შეფასების სისტემის ერთგვაროვნებისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად.

ყველა შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას, რათა იყოს ადეკვატური და შედეგზე ორიენტირებული. ვალიდაცია წარმოადგენს შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურებას.

ვალიდაცია ხორციელდება როდესაც: იქმნება ახალი შეფასების ინსტრუმენტი; ხდება არსებულ ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანა

პერიოდულად ხორციელდება შეფასების სისტემის ვერიფიკაცია.

პროფესიულ სტუდენტებს აქვთ სრული ინფორმაცია შეფასების მექანიზმების შესახებ, იცნობენ გადაბარებისა და აპელაციის წესს და სარგებლობენ ამ შესაძლებლობით.

<u>**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**</u>

**2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.** კერძოდ: კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმებს. შეფასება შესაფასებელი პირის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მნიშვნელობა არ აქვს, სად ხდება შეფასება, ან რა ფორმით არის ის წარმოდგენილი, შეფასება ყოველთვის მოიცავს პროცესზე დაკვირვებას, შედეგის (პროდუქტის) შეფასებას და გამოკითხვას. შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებები ობიექტურობა. ამ მიზნით ყოველწლიურად, წლის დასაწყისში დირექტორის ინდივიდუალურ- სამართლებრივი აქტით მტკიცდება ვერიფიკაციის გეგმა და ვერიფიკაციის ჯგუფი. ჯგუფს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. ჯგუფის წევრები ვალდებული არიან 6 თვეში ერთხელ წარუდგინონ დასკვნა ვერიფიკაციის პროცესის ხელმძღვანელს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შევიდეს გეგმაში ცვლილება. დარგის სპეციალისტი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის დასკვნა და შედეგების განხილვა ვერიფიკატორების მიერ შემუშავებული დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია იდენტიფიცირებული შეუსაბამობა გაიწეროს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ აქტივობად, ან უშუალოდ იდენტიფიცირებული შეუსაბამობიდან გამომდინარე, ცალკე შემუშავდეს გაუმჯობესების უზრუნველყოფის გეგმა. ვერიფიკატორების დასკვნების განხილვის შემდეგ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მუშავდება ერთიანი ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც წარედგინება დირექტორს.

ხარისხის მენეჯერმა წარმოადგინა აღნიშნული აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვერიფიკაციის კითხვარები, სამუშაო ოქმები და ანალიზის დოკუმენტი. ვერიფიკაციის დროს გამოკვეთილი საკითხების შესაბამისად ხდება შეფასების სისტემის გაუმჯობესება. ვერიფიკაციის პროცესის შემოწმება არ შემოიფარგლა მხოლოდ დოკუმენტაციის გაცნობით. ასევე გადამოწმდა მტკიცებულებები და შედგა გასაუბრება სტუდენტებთან, განმახორციელებლებთან და ვერიფიკატორებთან.

ვერიფიკაციის პროცესის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ მიუხედავად ზოგიერთი გამოწვევისა, კოლეჯი ახორციელებს გამჭვირვალე, ობიექტურ და სანდო შეფასებას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.** კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ხოლო შეფასების უწყისებს უვადოდ; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის კრედიტების ათვისება და შედეგების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადასტურება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს. რაც აისახება ბრძანების თანახმად შექმნილი საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილების საფუძველია.

ამგვარი პროცედურები უზრუნველყოფს, რომ ყველა საჭირო მონაცემი და მტკიცებულება იყოს სათანადოდ დაფიქსირებული და დაცული, რომ კოლეჯი სრულად დაემორჩილოს კანონისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებს.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

**4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის**. კერძოდ: კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგ(ებ)ი გამოყენებული უნდა იყოს მათი შემდგომი განვითარებისათვის: მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი უწყისში ასახულ შედეგებს გონივრულ ვადაში აცნობს პროფესიულ სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მენეჯერს და ხარისხის მენეჯერს. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის მენეჯერთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ანალიზს. გამოვლენილი შეუსაბამობების შემთხვევაში მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას: პროგრამის განვითარების, მოდულის რიგითობის შეცვლის, სასწავლო გეგმის კორექტირების, სწავლის მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტის, საგანმანათლებლო რესურსების ცვლილების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სსიპ კოლეჯის „ლაკადას“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები - დამტკიცებულია 2025 წლის 20 თებერვლის N 04/06 ბრძანებით;
- სსიპ კოლეჯის „ლაკადას“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - დამტკიცებულია 2025 წლის 20 თებერვლის ბრძანებით ,N04/07
- ვერიფიკაციის დოკუმენტაცია;
- ინტერვიუების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **ინფორმაციის ტექნოლოგია** |
| პროფესიული განათლების დონე | მე-3 |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | 2025 წლის 27 თებერვლის N04/18 ბრძანება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ქ.ჯვარი, ყაზბეგის N2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებული |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 24 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 61 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 76 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |

## II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------------------------
---------------------------
---------------------------
---------------------------

## 2. საგანმანათლებლო პროგრამები

### 2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის -„ინფორმაციის ტექნოლოგია“ განხორციელების შესახებ შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. დაწესებულების გადაწყვეტილება ინფორმაციული ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ არის გააზრებული და შესაბამისობაშია მისიისა და სტრატეგიული განვითარების მიზნებთან. პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ახალგაზრდების ინტერესს. კოლეჯი მიზნად ისახავს რეგიონში კვალიფიციური კადრების მომზადებას და მათ დასაქმებას, რაც სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულება ინფორმაციულ ტექნოლოგიების პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მხოლოდ საბაზო განათლების დონეს ითხოვს, რაც სრულად შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნას. დამატებითი, შემზღუდავი კრიტერიუმების არარსებობა უზრუნველყოფს პროგრამის ხელმისაწვდომობას და თანასწორ გარემოს ყველა დაინტერესებული პირისთვის. არსებული წინაპირობა ადეკვატურად განსაზღვრავს იმ მინიმალურ დონეს, რაც საჭიროა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

პსდ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხს, სასწავლო გარემოს ეფექტურობას და რესურსების ოპტიმალურ განაწილებას. კოლეჯი ზღვრულ რაოდენობას ადგენს სასწავლო გარემოს, პროგრამის ხანგრძლივობისა და მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით. „ინფორმაციის ტექნოლოგიების“ პროგრამაზე სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა 24-ია, რაც სრულად შეესაბამება კოლეჯში მდებარე ინფრასტრუქტურასა და აღჭურვილობას თეორიული და პრაქტიკული სწავლისთვის.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულებას აქვს სრული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კომპიუტერული და ტექნიკური აღჭურვილობა, შესაბამისი სასწავლო და სამუშაო სივრცეები პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია. კოლეჯის საბიბლიოთეკო ფონდი უზრუნველყოფს საჭირო ლიტერატურას როგორც ელექტრონულ,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ისე მატერიალურ ფორმატში. დამატებით, გამოყენებულია თანამედროვე ელექტრონული პლატფორმა (netacad.com) და CD დისკებზე ჩაწერილი სასწავლო რესურსები, რაც ხელს უწყობს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამაში არჩევითი მოდელები გათვალისწინებული არ არის.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროგრამა ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის „სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის მ/შ მიერ
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება „ინფორმაციის ტექნოლოგია“ სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს. შედეგები მოიცავს კომპიუტერის აწყობასა და რემონტს, ოპერაციული სისტემის ინსტალაციასა და უსაფრთხოებას, ქსელების საფუძვლებს და პრაქტიკულ მონტაჟს. სახელწოდება მკაფიოდ ასახავს სტუდენტის მიერ მიღებულ ცოდნასა და უნარებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამა შემუშავებულია საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტის




ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ინფორმაციის ტექნოლოგია" მიხედვით და აქვს შესაბამისი სარეგისტრაციო ნომერი 06112-პ. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის სამართლებრივ ვალიდურობას და შესაბამისობას პროფესიული განათლების სისტემის სტანდარტებთან.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2024 წლის 6 ნოემბრის N04/48 ბრძანება — სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026
- 2022 წლის 2 სექტემბრის N04/51 ბრძანება — პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები
- 2021 წლის 28 ოქტომბრის N04/79 ბრძანება — პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა მეთოდოლოგიაში ცვლილების შეტანის შესახებ
- კოლეჯის საბიბლიოთეკო ფონდი — „ინფორმაციის ტექნოლოგია" პროგრამის საგანმანათლებლო რესურსი
- 2020 წლის 18 მაისის N04/21 ბრძანება — ბიბლიოთეკის მუშაობის და მართვის დებულება
- 2025 წლის 27 თებერვლის N04/18 ბრძანება — პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია"
- 2025 წლის 20 თებერვლის N04/07 ბრძანება — სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ
- 2024 წლის 6 დეკემბრის N04/60 ბრძანება — პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სრულად უზრუნველყოფს საკუთარი მატერიალური-ტექნიკური ბაზით. კოლეჯს აქვს შესაბამისი კომპიუტერული ლაბორატორიები, აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკით, ქსელური ინფრასტრუქტურითა და პროგრამული უზრუნველყოფით, რაც ქმნის რეალურ სამუშაო გარემოს და ემსახურება პროფესიული უნარების პრაქტიკულ განვითარებას.

პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დაკონკრეტებულია რესურსებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით. პროგრამის დანართში დეტალურად არის მითითებული A და B სასწავლო გარემო, შესაბამისი აღჭურვილობა და მატერიალური რესურსები, რომლის არსებობაც კოლეჯის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით ფიქსირდება.

ამ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე კოლეჯი ახორციელებს „ინფორმაციის ტექნოლოგიების“ პროფესიულ პროგრამას და უზრუნველყოფს როგორც ზოგადი, ისე დარგობრივი მოდულების სწავლის შედეგების მიღწევას სრულად. აღნიშნული გარემო და რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული განათლების შესაბამის დონეს, რაც პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ზრდის სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობებს.

<u>**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის — „ინფორმაციის ტექნოლოგია“ — მდგრადი განხორციელებისთვის აუცილებელ ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას: კადრების ადეკვატურ რაოდენობასა და დატვირთვის გონივრულ განაწილებას.
პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 3 ასწავლის დარგობრივ მოდულებს. მათი რაოდენობა სრულად ფარავს როგორც ზოგად, ასევე სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს.
დასტურდება, რომ:
- ✓ თითოეული მოდულს ასწავლის შესაბამისი კომპეტენციის მქონე მასწავლებელი;
- ✓ დატვირთვა განაწილებულია ისე, რომ თავიდან იყოს აცილებული გადატვირთვა და უზრუნველყოფილი იყოს პროცესის უწყვეტობა და ხარისხი;
- ✓ თითოეულ მასწავლებელს გააჩნია შესაბამისი პროფესიული განათლება და პრაქტიკული გამოცდილება;
- ✓ თანამშრომელთა სტრუქტურა საშუალებას იძლევა ეფექტურად შესრულდეს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლება.

ამგვარად, მასწავლებელთა რაოდენობა და მათი დატვირთვა სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობისა და ხარისხის მოთხოვნებთან.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
სსიპ კოლეჯი „ლაკადა“-ს მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ მათთვის განსაზღვრულ კომპეტენციის მოთხოვნებს. თითოეულ მათგანს აქვს როგორც შესაბამისი საგანმანათლებლო კვალიფიკაცია, ისე პრაქტიკული გამოცდილება, რაც ამყარებს მათ უნარს, წარმატებით წარმართონ როგორც სწავლის პროცესი, ისე სტუდენტთა შეფასება.
დადასტურებული კომპეტენციები მოიცავს შემდეგს:
- ✓ პროფესიული და აკადემიური კვალიფიკაცია: მასწავლებლები ფლობენ ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაბამის აკადემიურ ხარისხებსა და სერტიფიკატებს, ასევე რეალურ სამუშაო გამოცდილებას IT სფეროში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

✓ სწავლების ეფექტური მიდგომები: იყენებენ თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომებს, რაც მოიცავს კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებასა და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაზე ფოკუსირებულ პროცესებს.
✓ შეფასების უნარ-ჩვევები: მასწავლებლებს გააჩნიათ სწავლების შედეგების შეფასების უნარი — მათ შორის, ფორმაციური და შემაჯამებელი შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების რუბრიკები და ზეპირი/წერილობითი უკუკავშირი.
✓ უწყვეტი პროფესიული განვითარება: მასწავლებლები სისტემატურად გადიან ტრენინგებს, მონაწილეობენ სემინარებსა და კურსებში, რაც განაპირობებს პროფესიული კომპეტენციების მუდმივ გაუმჯობესებას და პროცესების განახლებას.
შედეგად, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად ფლობენ უნარებსა და ცოდნას, რაც აუცილებელია სტუდენტებში სასწავლო შედეგების ეფექტურად ჩამოყალიბებისა და შეფასებისთვის. ეს, თავის მხრივ, ზრდის პროგრამის ხარისხსა და დასაქმებაზე ორიენტირებულობას.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
სსიპ კოლეჯი „ლაკადა“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ხელმძღვანელი სრულად აკმაყოფილებს პროფესიულ განათლებაში პროგრამის ხელმძღვანელისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო და დარგობრივ კომპეტენციებს.
პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში შესაბამის აკადემიურ ხარისხს და მრავალწლიან პროფესიულ პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც ქმნის მყარ საფუძველს როგორც საგანმანათლებლო პროცესის მართვისთვის, ისე პროგრამის განვითარებისა და ეფექტიანობის მუდმივი გაუმჯობესებისთვის.
პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენციები მოიცავს შემდეგს:
✓ დარგობრივი კვალიფიკაცია და გამოცდილება: ხელმძღვანელს გააჩნია განათლება და პრაქტიკული საქმიანობა ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსთან შესაბამისობას.
✓ პროგრამის მართვის უნარები: აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების უნარები. ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პროგრამის სტრატეგიულ და ოპერატიულ მართვას.
✓ ადმინისტრაციული კოორდინაცია: ახორციელებს მასწავლებლების, სტუდენტებისა და ადმინისტრაციის კოორდინაციას სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და ხარისხიანად წარმართვის მიზნით.
✓ ფუნქციების ფორმალური განსაზღვრა: ხელმძღვანელის უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ განსაზღვრულია მის შრომით ხელშეკრულებაში, რაც უზრუნველყოფს პროცესების სამართლებრივ და ინსტიტუციურ გამჭვირვალობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი სრულად პასუხობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დებულებით, მოქმედი კანონმდებლობით და პროფესიული განათლების ხარისხის მართვის პრინციპებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მისი ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, განვითარების პოტენციალს და ხარისხიან მართვას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ უზრუნველყოფს ინფორმაციის ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამისთვის აუცილებელი რესურსების ხელმისაწვდომობასა და მიზნობრივ გამოყენებას, რაც სასწავლო პროცესის ხარისხიანი და უწყვეტი განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა.

რესურსების ხელმისაწვდომობის ფორმები

- ✓ პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით.
- ✓ ბიბლიოთეკაში არსებულ ლიტერატურას თან ახლავს შესაბამისი დასახელებები და აღნიშვნები, მათ შორის, მითითებულია ელექტრონული ვერსიის არსებობა.
- ✓ ელექტრონული მასალები განთავსებულია CD დისკებზე, რაც უზრუნველყოფს სწრაფ და მარტივ წვდომას.

ბიბლიოთეკური ინფრასტრუქტურა

- ✓ ბიბლიოთეკა აღჭურვილია სამი კომპიუტერით, პრინტერით და ასლგადამღები აპარატით – ყველა მათგანი ინტერნეტით უზრუნველყოფილია და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის.
- ✓ ბიბლიოთეკის წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათ ორგანიზებულად მოძიებასა და ეფექტიან გამოყენებას.
- ✓ ფუნქციონირებს ელექტრონული კატალოგი, რაც აძლიერებს ინფორმაციის მოძიების ეფექტიანობას.
- ✓ დაწესებულების რეგულაციები და სტუდენტზე ორიენტირებულობა
- ✓ ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები განთავსებულია **თვალსაჩინო ადგილას**, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და მასწავლებლების ინფორმირებულობასა და თანაბარ წვდომას რესურსებზე.

რესურსების ჩართულობა სასწავლო პროცესში

- ✓ საგანმანათლებლო რესურსები ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლების მიზნების მიღწევას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------------
------------------------------
------------------------------
------------------------------

✓ მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ბიბლიოთეკაში და ელექტრონულ ფორმატში არსებულ მასალებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ჩატარებისას.

საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება და ხელმისაწვდომობა სრულ შესაბამისობაშია პროფესიული პროგრამის მოთხოვნებთან. კოლეჯი „ლაკადა" ქმნის ისეთ სასწავლო გარემოს, სადაც რესურსებზე წვდომა მოქნილია, სწრაფი და გააზრებული. ელექტრონული კატალოგის ფუნქციონირება და თანამედროვე ტექნიკური უზრუნველყოფა ემსახურება ციფრულ ეპოქაში პროფესიული განათლების რეალურ საჭიროებებს.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სსიპ კოლეჯი „ლაკადა" სრულად უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი, ხელმისაწვდომი და ადაპტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რაც წარმოადგენს ინკლუზიური განათლების თანამედროვე სტანდარტების პრაქტიკულ განხორციელებას.

ფიზიკური გარემოს ადაპტირება:

✓ პანდუსი ცენტრალური ეზოდან კოლეჯის შენობაში თავისუფალი გადაადგილებისთვის;

✓ ადაპტირებული სველი წერტილები;

✓ სართულებს შორის გადაადგილებისთვის დამონტაჟებულია ლიფტი.

ადამიანური რესურსის ჩართულობა სწავლების პროცესში :

✓ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი – უზრუნველყოფს სტუდენტის საჭიროებების შეფასებასა და მხარდაჭერის სტრატეგიების დაგეგმვას;

✓ კვალიფიციური პედაგოგები – ფლობენ ინკლუზიური სწავლების თანამედროვე მიდგომებს და განახორციელებენ სწავლების ადაპტაციას საჭიროებისამებრ;

✓ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი მხარდამჭერი პერსონალის – ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციის ტრენერის, სპეციალური მომვლელის ან გადაადგილების მხარდამჭერის ჩართვა.

სწავლების და შეფასების ადაპტაცია

✓ სტუდენტების საჭიროებებიდან გამომდინარე, კოლეჯი ავითარებს **ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს (ისგ)**, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს როგორც სასწავლო შედეგების მოდიფიკაციას, ისე სწავლების მეთოდებისა და შეფასების ფორმების აკომოდაციას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

✓ გამოიყენება **სწავლებაზე მორგებული სტრატეგიები**, რომლებიც ეფუძნება ინდივიდუალური საჭიროებების დიაგნოსტიკას და ითვალისწინებს დამატებით ტექნიკურ ან დიდაქტიკურ რესურსს;

✓ უზრუნველყოფილია **განსხვავებული საათობრივი განრიგი** და რესურსების მოქნილი განაწილება.

**ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები** საჭიროების მიხედვით, გამოიყენება:

✓ ადაპტირებული სასწავლო ტექნიკა;

✓ სპეციალურად მომზადებული ან მოდიფიცირებული სასწავლო მასალა;

✓ სწავლის პროცესში დასახმარებელი დამხმარე ტექნოლოგიები და ხელსაწყოები.

კოლეჯი „ლაკადა“ ქმნის ისეთ გარემოს, რომელიც ემსახურება სსსმ სტუდენტების განათლების ხელმისაწვდომობის და თანაბარი მონაწილეობის პრინციპების რეალიზებას. სასწავლო რესურსების ფიზიკური, ადამიანური და მეთოდური ადაპტაცია სრულად პასუხობს ეროვნულ და საერთაშორისო ინკლუზიური განათლების სტანდარტებს. კოლეჯის მიდგომა გამოირჩევა სისტემურობით, მოქნილობით და სტუდენტზე ორიენტირებული მართვის მიდგომებით, რაც უზრუნველყოფს კრიტერიუმის მაღალი ხარისხით შესრულებას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ მდგრადობას პროგრამის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით. წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროგრამის განხორციელება არ გამოიწვევს ფინანსურ რისკებს და უზრუნველყოფს მის უწყვეტ ფუნქციონირებას.

**შემოსავლების წყაროები**

✓ **ვაუჩერული დაფინანსება** – ძირითადი ფინანსური წყარო, რომელიც სრულად ფარავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საჭიროებებს, განსაკუთრებით მასწავლებლების შრომით ანაზღაურებას.

✓ **პროგრამული დაფინანსება** – უზრუნველყოფს დამატებითი საჭიროებების დაფარვას, მათ შორის, აღჭურვილობის განახლებას ან საგნობრივი რესურსების შეძენას.

**ხარჯების სტრუქტურა**

✓ **მასწავლებელთა შრომითი ანაზღაურება** – გამჭვირვალედ და მიზნობრივად ასახულია ვაუჩერული დაფინანსებიდან.

✓ **სასწავლო ხარჯები** – მოიცავს სწავლებისთვის აუცილებელი რესურსების შეძენას და ტექნიკურ უზრუნველყოფას.

✓ **ადმინისტრირების ხარჯები** – მოიცავს პროგრამის მართვისთვის აუცილებელ საოფისე რესურსებს.

✓ **კომუნალური ხარჯები** – უზრუნველყოფილია პროგრამის ფიზიკური განხორციელების სივრცის ფუნქციონირებისთვის.

**ბიუჯეტის დაგეგმარების ხარისხი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

✓ პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილია **კალკულაციური ფორმით**, რაც შესაძლებელს ხდის როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების დეტალურ ანალიზსა და პროგნოზირებას.

✓ ფინანსური მოდელი შეესაბამება პროგრამის მასშტაბსა და მიზნებს და მორგებულია სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმებს.

საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური რესურსები გაწერილია მკაფიოდ, დაბალანსებულად და უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ, ხარისხიან და სტაბილურ განხორციელებას. ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია როგორც მიმდინარე, ისე პერსპექტივაში გათვალისწინებული საჭიროებებისთვის. კრიტერიუმი შესრულებულია სრულად.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025 წლის 27 თებერვლის №04/18 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია"
- პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით, რომლებიც განთავსებულია დაწესებულებაში
- პროგრამის დანართი 1 – სასწავლო გეგმით, რომელშიც ასახულია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო რესურსები და მოდულური სტრუქტურა
- პროგრამის დანართი 3 – ადამიანური რესურსების ჩამონათვალით, რომელიც ადასტურებს პროგრამის მასწავლებელთა რაოდენობისა და კვალიფიკაციის საკმარისობას
- პროგრამის დანართი 4 – მატერიალური რესურსების ჩამონათვალით, რომელიც ასახავს ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური რესურსების შესაბამისობას
- სსიპ კოლეჯის „ლაკადა"-ს ბიბლიოთეკის მიერ მოწოდებული რესურსებით – მათ შორის, პროგრამის საგანმანათლებლო ლიტერატურა, ელექტრონული კატალოგი, კომპიუტერები და სხვა ტექნიკური მოწყობილობები
- 2020 წლის 18 მაისის №04/21 ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის მუშაობის და მართვის დებულებით
- 2025 წლის 20 თებერვლის №04/07 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით
- სსსმ პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე მორგებული ადაპტირებული ინფრასტრუქტურით – პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილები, ლიფტი
- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და საჭიროებისამებრ მხარდაჭერის პერსონალის (თარჯიმანი, ტრენერი, მომვლელი) ჩართულობით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სწავლის ინდივიდუალური გეგმების არსებობით და მათი აკომოდაციის მექანიზმებით
- საგანმანათლებლო პროგრამის ფაქტობრივი ბიუჯეტით, რომელიც ასახავს შემოსავლისა და ხარჯის დეტალურ კალკულაციას
- ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსების წყაროების ჩათვლით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ფინანსურ მდგრადობას

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

კოლეჯში ხარისხის მართვის უზრუნველყოფა სრულად ეფუძნება თანამედროვე ხარისხის მართვის ციკლურ მოდელს — დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, გააუმჯობესე (PDCA). აღნიშნული ციკლი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხის სისტემატურ მონიტორინგს და უწყვეტ გაუმჯობესებას.

ამ მოდელის ფარგლებში, ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის კოორდინაციით, რომელსაც მხარდაჭერას უწევენ შიდა მონიტორინგისა და ვერიფიკაციის ჯგუფები. ხარისხის მართვის მენეჯერი არის პასუხისმგებელი სასწავლო პროცესის სტანდარტების დაცვაზე და ხარისხის გაუმჯობესებაზე, რაც აისახება რეგულარულ სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვებზე, მიღებული მონაცემების სისტემატურ ანალიზსა და საჭირო რეკომენდაციების შემუშავებაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მართვის სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელები და კოლეჯის პედაგოგიური შემადგენლობა. მათი ერთობლივი მუშაობა უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების თანმიმდევრულ განხორციელებას და ადაპტირებას მიმდინარე გამოწვევებსა და ბაზრის მოთხოვნებთან.
პროგრამების შემუშავებისა და დაგეგმვისას კოლეჯი იყენებს დოკუმენტურად დადგენილ მეთოდოლოგიას, რომელიც ორიენტირებულია პროგრამების მუდმივ გაუმჯობესებაზე და მათი მაქსიმალურად შესაბამისობაში მოყვანაზე სახელმწიფო სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
ასევე, კოლეჯი სისტემატურად ატარებს სასწავლო პროცესის შეფასებას, გამოიყენება სტუდენტების, თანამშრომლებისა და დამსაქმებლების უკუკავშირი, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვანი რესურსს პროგრამების მოდერნიზაციისა და სასწავლო ხარისხის ამაღლებისთვის.
ამ მექანიზმების ერთობლიობა უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების მდგრადობას, მაღალ აკადემიურ ხარისხს და რეალურ კონკურენტულ უპირატესობას პროფესიულ განათლებაში.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი სისტემატურად სრულდება. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამაში/მოდულებში ცვლილებები ხორციელდება დაწესებული წესებისა და პროცედურების სრული დაცვით.
შესამუშავებელი ცვლილებების პროცესი რეგლამენტირებულია სპეციალური მეთოდოლოგიით, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტანდარტების საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანის დეტალურ წესებს.
პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია შემდეგი წყაროების საფუძველზე:

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემით გამოვლენილი საჭიროებები და შედეგების ანალიზი;
- ✓ პროფესიული სტანდარტის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩარჩო დოკუმენტების განახლება;
- ✓ შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნების ცვლილებები, მათ შორის არჩევით მოდულებზე;
- ✓ სხვა გარემოებები, რომლებსაც პროგრამის ეფექტიანობისთვის სჭირდება ადაპტაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცვლილებების ინიცირება შეუძლიათ ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებს და სხვა შესაბამის პირებს.

მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, დამატების ან ამოღების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელება რეგულირდება კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროცედურებით და დირექტორის მ/შ-ის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამ აქტში დეტალურად არის განმარტებული ცვლილებების შინაარსი და ცვლილებების გავრცელების სქემა შესაბამის მიღების ჯგუფებზე.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2024 წლის 6 დეკემბრის №04/60 ბრძანება სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ;
- 2025 წლის 20 თებერვლის №04/06 ბრძანება სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
- პროგრამის შეფასების ფორმა.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

----------------------------
----------------------------
----------------------------
----------------------------

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

კოლეჯში სასწავლო პროცესი სრულად რეგულირდება სასწავლო გეგმით, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელთა აქტიური ჩართულობით არის შემუშავებული. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ, სისტემურ და სტრუქტურირებულ განხორციელებას, სადაც ყველა მოდულის გათვალისწინებით იცვლება კვირეული დატვირთვა და დაცულია აუცილებელი დროის შუალედები შეფასებებისთვის, რაც ეფექტურად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სწავლის პროცესს და პროგრესის მონიტორინგს.

სასწავლო ცხრილი, რომელიც გაწერილია სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, პროფესიული სტუდენტებისათვის თვალსაჩინოდ არის გამოკრული და სრულად უზრუნველყოფს მათ ინფორმირებულობას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. კოლეჯი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

მეთოდურად სასწავლო პროცესი ხორციელდება თანამედროვე დარგობრივი სტანდარტებისა და სწავლების ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს როგორც ხარისხს, ისე სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას. სასწავლო გარემო არის უსაფრთხო, პროგრამის სპეციფიკის სრული შესაბამისობით.

ამგვარად, სასწავლო პროცესის ორგანიზება კოლეჯში ეფუძნება მკაფიოდ დოკუმენტირებულ სტრუქტურას, რაც ქმნის საფუძველს სასწავლო მიზნების წარმატებით შესრულებისა და მუდმივი ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მუდმივი მონიტორინგისა და ეფექტური უკუკავშირის მექანიზმის გამოყენებით, დაწესებულება ოპერატიულად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე და ადაპტირებს სასწავლო პროცესს მათთვის შესაბამისი მიმართულებით.
კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება სტანდარტული პრაქტიკაა, რომელიც მორგებულია კონკრეტული სტუდენტის უნარებსა და მოთხოვნებზე, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ეს გეგმა აერთიანებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათების ოპტიმალურ განაწილებას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს.
განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა ინტეგრაციას და მხარდაჭერას, რათა მათ ჰქონდეთ მაქსიმალურად კომფორტული და სრულფასოვანი მონაწილეობა სასწავლო პროცესში.
ამ მიდგომით კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოქნილობას, ინკლუზიურობას და ეფექტიანობას, რაც პირდაპირ აისახება სასწავლო მიზნების მიღწევაზე.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
სასწავლო პროცესი ორიენტირებულია თანამედროვე სწავლების მეთოდების და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების სისტემურ ინტეგრირებაზე. ინტერაქტიული სწავლება, რომელიც მოიცავს ლექციებს, პროექტებსა და პრაქტიკულ დავალებებს, უზრუნველყოფს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების თანაბარი განვითარების საშუალებას.
სწავლების ტექნოლოგიურ მხარდაჭერისთვის კოლეჯს აქვს ვირტუალური ლაბორატორიები და სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა, რაც მნიშვნელოვნად ამდიდრებს სასწავლო პროცესს და ზრდის სტუდენტების ჩართულობას.
პროექტზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგია ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას რეალურ ან სიმულირებულ დავალებებზე მუშაობაში, რაც აძლიერებს მათ პრაქტიკულ უნარებს და სამომავლო პროფესიულ მომზადებას.
ციფრული განათლების ელემენტები – ონლაინ პლატფორმები, ელექტრონული რესურსები და დისტანციური სწავლების შესაძლებლობები – უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მუდმივ და მოქნილ მიმდინარეობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ინოვაციური სასწავლო გარემოს შექმნაში.
ამგვარი ინოვაციური მიდგომები ზრდის სწავლის ხარისხს, აფართოებს პროფესიულ კომპეტენციებს და აძლიერებს სტუდენტთა შესაძლებლობებს შრომის ბაზარზე ეფექტიანი ინტეგრაციისთვის.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები არის პრიორიტეტი.
საჭიროების შემთხვევაში, თითოეულ სტუდენტისთვის მზადდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც სრულად შეესაბამება მის უნარებს, ცოდნასა და შესაძლებლობებს, რაც ზრდის სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხს.
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის სასწავლო გარემო ადაპტირებულია და უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს სრულფასოვნად ჩართულობისა და სწავლისათვის.
დამატებით, სტუდენტებს სთავაზობენ მენტორულ მხარდაჭერას, დამატებით კონსულტაციებს და საჭირო რესურსებს, რაც აუმჯობესებს სწავლების პროცესს და საშუალებას აძლევს მათ პროფესიული კომპეტენციების სრულყოფილად განვითარებას.
პროგრამა მიზნად ისახავს თითოეული სტუდენტის უნიკალური საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინებას და სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევას.
**<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>**

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან, სასწავლო საწარმოსთან და თანაგანმახორციელებელ დაწესებულებებთან დამყარებულია ოფიციალური ხელშეკრულებებითა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით. პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ზოგადი და პროფესიული მოდულების სწავლების შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე, რასაც უზრუნველყოფს კოლეჯის მაღალი დონის ადამიანური რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
ამასთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული მემორანდუმების ფარგლებში პროგრამაში გათვალისწინებული მოდულების ფარგლებში რეგულარულად ინერგება მიზნობრივი სასწავლო ექსკურსიები, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილების დახვეწასა და ინდუსტრიულ რეალობასთან მჭიდრო კავშირს.
**<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>**

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------------------------
---------------------------
---------------------------
---------------------------

სასწავლო პროცესი სსიპ კოლეჯში „ლაკადა“, ქ. ჯვარში, ყაზბეგის ქ. N2-ში, სრულად მიმდინარეობს უსაფრთხო, რეგულაციებთან შესაბამის სასწავლო და სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.
კოლეჯი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს როგორც პერსონალის, ასევე პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების დაცვას. ამის დასტურია საევაკუაციო გეგმების განთავსება თვალსაჩინო ადგილებზე, შენობის სამივე სართულზე განთავსებული სახანძრო სტენდები და ცეცხლმაქრები, რომელთა ტექნიკური მდგომარეობაც რეგულარულად კონტროლდება.
პერიმეტრზე განთავსებულია ვიდეოკამერები, რაც უზრუნველყოფს მთელი ტერიტორიის უწყვეტ ვიდეომონიტორინგს. პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით, სადაც პროფესიონალი ექთანი უზრუნველყოფს პირველადი დახმარების გაწევას სტუდენტებსა და პერსონალს.
შენობის სველი წერტილები ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, რაც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხო და შეუფერხებელ გადაადგილებას.
სტუდენტები რეგულარულად გადიან უსაფრთხოების ინსტრუქციებს, ხოლო სასწავლო გარემოს მუდმივად აკვირდებიან პედაგოგები და ადმინისტრაცია. კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები თავის მხრივ, ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში უზრუნველყოფენ სტუდენტთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის უსაფრთხო პირობების შექმნას და შენარჩუნებას.
<u>**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025 წლის 20 თებერვლის № 04/07 ბრძანება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ
- 2025 წლის 27 თებერვლის № 04/18 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“
- დანართი 1 – სასწავლო გეგმა
- დანართი 3 – პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი
- 2023 წლის 30 ოქტომბრის № 04/75 ბრძანება პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ სასწავლო გეგმის ცვლილების შესახებ
- 2025 წლის 27 თებერვლის № 04/17 ბრძანება სსიპ კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დამტკიცების შესახებ
- 2022 წლის 6 დეკემბრის № 04/82 ბრძანება სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------
-------------------------
-------------------------

- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები:
  შ.პ.ს „ბესტ კოპი“
  შ.პ.ს „ორდუნეტ“

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

სასწავლო პროგრამის მიზნების მისაღწევად კოლეჯში გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე და სამართლიანი. შეფასების ინსტრუმენტები სწორედ იმ სწავლის შედეგების დადასტურებას ემსახურება, რომლებიც პროგრამით არის განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს შედეგების სრულ შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან.

შეფასების სანდოობა გარანტირებულია რეალური, დოკუმენტირებული მტკიცებულებებით, რაც ამყარებს შედეგების სისწორეს და საფუძვლიანობას. გარდა ამისა, შეფასების პროცესი გამჭვირვალეა — ყველა სტუდენტი და შეფასების მონაწილე წინასწარ იცნობს შეფასების კრიტერიუმებს, პირობებსა და აუცილებელ მოთხოვნებს, რაც ამცირებს სუბიექტურობას და ზრდის პროცესის მიუკერძოებლობას.

სამართლიანობის პრინციპი კოლეჯში აღინიშნება შეფასების ორგანიზების დეტალებში — დროში, სივრცეში, მასალებსა და ტექნიკურ უზრუნველყოფაში. ამავდროულად, თითოეულ სტუდენტს ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა, დაადასტუროს თავისი ცოდნა და უნარები, რაც ამყარებს შეფასების ობიექტურობას.

შეფასების სისტემას აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების გადამოწმებასა და დადასტურებას. ასევე, შეფასების ყველა მონაცემი და მტკიცებულება არქივდება შესაბამისი ვადით — შეფასების უწყისების დაცვა ხდება მინიმუმ 3 წლის განმავლობაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების შედეგები კოლეჯში აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი პროფესიული და აკადემიური განვითარების მხარდასაჭერად, რაც ხელს უწყობს მათი პიროვნული და პროფესიული ზრდის გამართლებულ მართვას.

ეს სისტემა ქმნის საფუძველს, რათა პროფესიულმა სტუდენტებმა უსაფრთხოდ და ეფექტურად მიაღწიონ პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა კოლეჯში ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რაც უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას და შესაბამისობას სტანდარტებს. შეფასება, როგორც ცოდნისა და უნარების დადასტურების პროცესი, სრულდება სად და როგორი ფორმითაც არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ ყოველთვის მოიცავს პროცესზე დაკვირვებას, შედეგის შეფასებას და დამატებით გამოკითხვას.

ვერიფიკაცია გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმებას, რათა დარწმუნდნენ, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასება სრულად აკმაყოფილებს სტანდარტებს და მიღებული გადაწყვეტილებები არის სანდო და ობიექტური.

ამისათვის ყოველწლიურად, წლის დასაწყისში, დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება ვერიფიკაციის გეგმა და შესაბამისი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ჯგუფის შემადგენლობაში არიან ადმინისტრაციის, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. წევრები ვალდებულნი არიან 6 თვეში ერთხელ წარუდგინონ ანგარიშები თავიანთი საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში განახორციელონ გეგმაში ცვლილებები.

ვერიფიკაცია სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

- შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკატორების მიერ შემუშავებული დასკვნები განხილულია ჩართულ მხარეებთან და მათი თანამშრომლობით იხვეწება შეფასების სისტემა. იდენტიფიცირებული პრობლემები ან შეუსაბამობები ხდება სამოქმედო გეგმის ნაწილი ან მზადდება სპეციალური გაუმჯობესების გეგმა. საბოლოოდ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ იქმნება ერთიანი ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც წარედგინება დირექტორს, რათა მიიღოს შესაბამისი მართვის გადაწყვეტილებები.

ეს მიდგომა ზრდის პროფესიული განათლების სისტემის სანდოობასა და ეფექტურობას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------------------------

---------------------------

---------------------------

---------------------------

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯი სისტემურად უზრუნველყოფს შეფასების პროცესთან დაკავშირებული ყველა მონაცემისა და მტკიცებულების სრულყოფილ აღრიცხვასა და უსაფრთხო შენახვას მინიმუმ 3 წლის განმავლობაში შეფასების უწყისის გაფორმებიდან, ხოლო თავად შეფასების უწყისებს ინახავს უვადოდ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული მოდულის კრედიტების ათვისება და სწავლის შედეგების დადასტურება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისთვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს. აღნიშნული პროცესი საბოლოოდ აისახება საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

ეს ზრდის სისტემის გამჭვირვალობას და შედეგების ვალიდურობას, მინიმუმამდე ამცირებს რისკებს და უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ხარისხის მაღალ სტანდარტებს.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯი ფლობს პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმს მათი შემდგომი განვითარების დასანერგად. თითოეული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი ინფორმაციას შეფასების შედეგების შესახებ დროულად უზიარებს სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მენეჯერსა და ხარისხის მართვის მენეჯერს. მიღებული უკუკავშირი საფუძვლად ედება ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ სასწავლო პროცესის მენეჯერთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად შეფასების სისტემის სისტემატურ ანალიზს.

გაუმჯობესების საჭიროების შემთხვევაში ხარისხის მართვის მენეჯერი დაადგენს კონკრეტულ სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს პროგრამის განვითარებას, მოდულების გადალაგებას, სასწავლო გეგმის კორექტირებას, სწავლების მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების შეცვლას და საგანმანათლებლო რესურსების განახლებას. საბოლოოდ, ეს გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს, რაც უზრუნველყოფს მიზანმიმართულ და პრაგმატულ მიდგომას ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების მიმართულებით.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025 წლის 20 თებერვლის 04/07 ბრძანება N04/07 სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2025 წლის 20 თებერვლის N 04/06 სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების შესახებ
- ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **კომპიუტერული ქსელი და სისტემები** |
| პროფესიული განათლების დონე | მე-4 |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | 2025 წლის 27 თებერვლის N04/18 ბრძანება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ქ.ჯვარი, ყაზბეგის N2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებული |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | 30 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 117 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 87 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 147 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 117 |

## II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 2. საგანმანათლებლო პროგრამები

### 2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

პსდ-ის გადაწყვეტილება პროფესიული პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" განხორციელებაზე დაფუძნებულია შრომის ბაზრის კვლევაზე და სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ გეგმას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" წარმოადგენს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციის საგანმანათლებლო პროგრამას. დაშვების წინაპირობები განსხვავებულია პროგრამის ტიპის მიხედვით: იმ შემთხვევებში, როდესაც პროგრამა არ მოიცავს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლების შედეგების ინტეგრირებას, დასაშვები პირობაა სრული ზოგადი განათლების მქონე პირი. ხოლო იმ პროგრამებზე, სადაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის შედეგები ინტეგრირებულია, დაშვების მინიმალური მოთხოვნა საბაზო განათლების დონეა. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებას ამასთან დაკავშირებით არ გააჩნია დამატებითი სპეციფიკური მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს მოქნილობასა და ფართო შესაძლებლობებს სწავლის მსურველთათვის.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

პსდ განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე. კოლეჯის პრაქტიკა ემყარება „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას", რომელიც მოიცავს პროგრამის სპეციფიკას, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს, მათ შორის:

- სასწავლო გარემოს ტიპებს (A, და B კატეგორიების შესაბამისი სივრცეები და აღჭურვილობა);
- პროგრამის ხანგრძლივობას;
- სასწავლო პრაქტიკის ობიექტების რესურსებს;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას და მათი კვალიფიკაციას.

ამ მიდგომით უზრუნველყოფილია სტუდენტთა რაოდენობის ოპტიმალური ბალანსი, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხს და უზრუნველყოფს ეფექტურ რესურსების გამოყენებას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსების მეშვეობით. კოლეჯის საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს როგორც ელექტრონულ, ისე მატერიალურ ლიტერატურას, რომელიც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია. ელექტრონული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსები ჩაწერილია CD დისკებზე და დაცულია ფონდში, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალის სრულფასოვან ხელმისაწვდომობას და სასწავლო პროცესის ხარისხიან მხარდაჭერას.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამაში არჩევითი მოდელები გათვალისწინებული არ  არის.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი „ლაკადა"-ს უფლებამოსილი პირის -დირექტორის მ/შ მიერ.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
პროგრამის სახელწოდება „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამის მიზანია სტუდენტის უნარ-ჩვევების კომპლექსურად განვითარება, მათ შორის:

- ✓ პერსონალური კომპიუტერისა და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული და პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- ✓ მობილურ და Linux ოპერაციულ სისტემებთან მუშაობა;
- ✓ მცირე და საშუალო ზომის კომპიუტერული ქსელის მონტაჟი და მართვა;
- ✓ ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების მონტაჟი და მართვა;
- ✓ ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგიის ბაზისური მართვა;
- ✓ კომპიუტერულ ქსელებში კომუტაცია და მარშუტიზაცია;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ VOIP ტელეფონიის, Windows და Linux სერვერული სისტემების, ასევე სერვერის ვირტუალიზაციის ტექნოლოგიების ბაზისური მართვა;
- ✓ Cloud პლატფორმების გამოყენება;
- ✓ კომპიუტერულ ქსელებსა და სისტემებში გაუმართაობების იდენტიფიკაცია და აღმოფხვრა.

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ეყრდნობა პროგრამის შემადგენელი ნაწილების - მოდულების თემატიკას, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პსდ-ის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის შექმნის პროცესში გამოყენებულია შემდეგი ძირითადი სამართლებრივი აქტები და სტანდარტები:

- ✓ საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ";
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი (სარეგისტრაციო ნომერი 06.2.1);
- ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანება, რომელიც განსაზღვრავს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესებსა და პირობებს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავებისა, განვითარებისა და დამტკიცების წესი.
- ✓ ამ საფუძვლებზე დაყრდნობით, პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" არის კანონმდებლობასთან და პროფესიული განათლების სტანდარტებთან შესაბამისი და სტრუქტურითა და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ➢ პროგრამის შეფასების ფორმა (ფორმა იხ. ქვემოთ დანართი 1).
- ➢ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი (ფორმა იხ. ქვემოთ დანართი 2).
- ➢ 2024 წლის 6 ნოემბრის N04/48 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2022 წლის 2 სექტემბერი N04/51 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები.
- სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის მ/შ ბრძანება N04/31, 11.06.2020 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ.
- 2021 წლის 28 ოქტომბრის N04/79 ბრძანება სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა მეთოდოლოგიაში ცვლილების შეტანის შესახებ.
- 2020 წლის 18 მაისის N04/21 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ ბიბლიოთეკის მუშაობის და მართვის დებულება.
- კოლეჯის საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ - პროგრამის საგანმანათლებლო რესურსი.
- 2025 წლის 27 თებერვლის N04/18 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კომპიუტერული ქსელი და სისტემები.
- 2025 წლის 20 თებერვლის 04/07 ბრძანება N04/07 სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ.
- 2024 წლის 6 დეკემბრის ბრძანება N 04/60 სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი.
- „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სიპ კოლეჯი „ლაკადა" უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას კოლეჯის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსების საშუალებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯს აქვს შესაბამისი A და B გარემოს აღჭურვილობა და საჭირო მატერიალური ბაზა, რაც დამტკიცებულია ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

„კომპიუტერული ქსელი და სისტემები" პროფესიული პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს კოლეჯის სათანადო ინვენტარი, რომელიც სრულად უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის — ზოგადი, საერთო სავალდებულო პროფესიული, დარგობრივი და ინტეგრირებული — სწავლის შედეგების მიღწევას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამით განსაზღვრულია საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი, პროფესიულ/დარგობრივი, ზოგადი და ინტეგრირებული მოდულები, რომლებსაც ახორციელებენ 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 3 დარგობრივი მოდულის სპეციალისტი. ამ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად და ხარისხიან განხორციელებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------
-------------------------
-------------------------

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამისთვის განსაზღვრულ ყველა პროფესიულ განათლების მასწავლებელს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია პროფესიულ სტუდენტთათვის წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისათვის. ეს კომპეტენცია დადასტურებულია კოლეჯის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით შერჩეული პერსონალით და მათ პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაციით. გარდა ამისა, მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებს გავლილი აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

საგანმანათლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენცია დადასტურდება პროფესიული გამოცდილებით. მისი ფუნქციები მკაფიოდ რეგლამენტირებულია მასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან მართვას და ხარისხის კონტროლს.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
სსიპ კოლეჯი „ლაკადა" უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" აუცილებელი რესურსების ხელმისაწვდომობასა და მიზნობრივ გამოყენებას, რაც სასწავლო პროცესის ხარისხიანი და უწყვეტი განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა.
რესურსების ხელმისაწვდომობის ფორმები
✓ პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

✓ ბიბლიოთეკაში არსებულ ლიტერატურას თან ახლავს შესაბამისი დასახელებები და აღნიშვნები, მათ შორის, მითითებულია ელექტრონული ვერსიის არსებობა.

✓ ელექტრონული მასალები განთავსებულია CD დისკებზე, რაც უზრუნველყოფს სწრაფ და მარტივ წვდომას.

ბიბლიოთეკური ინფრასტრუქტურა

✓ ბიბლიოთეკა აღჭურვილია სამი კომპიუტერით, პრინტერით და ასლგადამღები აპარატით – ყველა მათგანი ინტერნეტით უზრუნველყოფილია და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის.

✓ ბიბლიოთეკის წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათ ორგანიზებულად მოძიებასა და ეფექტიან გამოყენებას.

✓ ფუნქციონირებს ელექტრონული კატალოგი, რაც აძლიერებს ინფორმაციის მოძიების ეფექტიანობას.

✓ დაწესებულების რეგულაციები და სტუდენტზე ორიენტირებულობა

✓ ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები განთავსებულია **თვალსაჩინო ადგილას**, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და მასწავლებლების ინფორმირებულობასა და თანაბარ წვდომას რესურსებზე.

რესურსების ჩართულობა სასწავლო პროცესში

✓ საგანმანათლებლო რესურსები ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლების მიზნების მიღწევას.

✓ მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ბიბლიოთეკაში და ელექტრონულ ფორმატში არსებულ მასალებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ჩატარებისას.

საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება და ხელმისაწვდომობა სრულ შესაბამისობაშია პროფესიული პროგრამის მოთხოვნებთან. კოლეჯი „ლაკადა“ ქმნის ისეთ სასწავლო გარემოს, სადაც რესურსებზე წვდომა მოქნილია, სწრაფი და გააზრებული. ელექტრონული კატალოგის ფუნქციონირება და თანამედროვე ტექნიკური უზრუნველყოფა ემსახურება ციფრულ ეპოქაში პროფესიული განათლების რეალურ საჭიროებებს.

<u>**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**</u>

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ სრულად უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი, ხელმისაწვდომი და ადაპტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რაც წარმოადგენს ინკლუზიური განათლების თანამედროვე სტანდარტების პრაქტიკულ განხორციელებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზიკური გარემოს ადაპტირება:

- ✓ პანდუსი ცენტრალური ეზოდან კოლეჯის შენობაში თავისუფალი გადაადგილებისთვის;
- ✓ ადაპტირებული სველი წერტილები;
- ✓ სართულებს შორის გადაადგილებისთვის დამონტაჟებულია ლიფტი.

ადამიანური რესურსის ჩართულობა სწავლების პროცესში :

- ✓ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი – უზრუნველყოფს სტუდენტის საჭიროებების შეფასებასა და მხარდაჭერის სტრატეგიების დაგეგმვას;
- ✓ კვალიფიციური პედაგოგები – ფლობენ ინკლუზიური სწავლების თანამედროვე მიდგომებს და განახორციელებენ სწავლების ადაპტაციას საჭიროებისამებრ;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი მხარდამჭერი პერსონალის – ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციის ტრენერის, სპეციალური მომვლელის ან გადაადგილების მხარდამჭერის ჩართვა.

სწავლების და შეფასების ადაპტაცია

- ✓ სტუდენტების საჭიროებებიდან გამომდინარე, კოლეჯი ავითარებს **ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს (ისგ)**, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს როგორც სასწავლო შედეგების მოდიფიკაციას, ისე სწავლების მეთოდებისა და შეფასების ფორმების აკომოდაციას;
- ✓ გამოიყენება **სწავლებაზე მორგებული სტრატეგიები**, რომლებიც ეფუძნება ინდივიდუალური საჭიროებების დიაგნოსტიკას და ითვალისწინებს დამატებით ტექნიკურ ან დიდაქტიკურ რესურსს;
- ✓ უზრუნველყოფილია **განსხვავებული საათობრივი განრიგი** და რესურსების მოქნილი განაწილება.

**ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები** საჭიროების მიხედვით, გამოიყენება:

- ✓ ადაპტირებული სასწავლო ტექნიკა;
- ✓ სპეციალურად მომზადებული ან მოდიფიცირებული სასწავლო მასალა;
- ✓ სწავლის პროცესში დასახმარებელი დამხმარე ტექნოლოგიები და ხელსაწყოები.

კოლეჯი „ლაკადა“ ქმნის ისეთ გარემოს, რომელიც ემსახურება სსსმ სტუდენტების განათლების ხელმისაწვდომობის და თანაბარი მონაწილეობის პრინციპების რეალიზებას. სასწავლო რესურსების ფიზიკური, ადამიანური და მეთოდური ადაპტაცია სრულად პასუხობს ეროვნულ და საერთაშორისო ინკლუზიური განათლების სტანდარტებს. კოლეჯის მიდგომა გამოირჩევა სისტემურობით, მოქნილობით და სტუდენტზე ორიენტირებული მართვის მიდგომებით, რაც უზრუნველყოფს კრიტერიუმის მაღალი ხარისხით შესრულებას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ფინანსურ მდგრადობას პროგრამის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით. წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროგრამის განხორციელება არ გამოიწვევს ფინანსურ რისკებს და უზრუნველყოფს მის უწყვეტ ფუნქციონირებას.

**შემოსავლების წყაროები**

✓ **ვაუჩერული დაფინანსება** – ძირითადი ფინანსური წყარო, რომელიც სრულად ფარავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საჭიროებებს, განსაკუთრებით მასწავლებლების შრომით ანაზღაურებას.

✓ **პროგრამული დაფინანსება** – უზრუნველყოფს დამატებითი საჭიროებების დაფარვას, მათ შორის, აღჭურვილობის განახლებას ან საგნობრივი რესურსების შეძენას.

**ხარჯების სტრუქტურა**

✓ **მასწავლებელთა შრომითი ანაზღაურება** – გამჭვირვალედ და მიზნობრივად ასახულია ვაუჩერული დაფინანსებიდან.

✓ **სასწავლო ხარჯები** – მოიცავს სწავლებისთვის აუცილებელი რესურსების შეძენას და ტექნიკურ უზრუნველყოფას.

✓ **ადმინისტრირების ხარჯები** – მოიცავს პროგრამის მართვისთვის აუცილებელ საოფისე რესურსებს.

✓ **კომუნალური ხარჯები** – უზრუნველყოფილია პროგრამის ფიზიკური განხორციელების სივრცის ფუნქციონირებისთვის.

**ბიუჯეტის დაგეგმარების ხარისხი**

✓ პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილია **კალკულაციური ფორმით**, რაც შესაძლებელს ხდის როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების დეტალურ ანალიზსა და პროგნოზირებას.

✓ ფინანსური მოდელი შეესაბამება პროგრამის მასშტაბსა და მიზნებს და მორგებულია სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმებს.

საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური რესურსები გაწერილია მკაფიოდ, დაბალანსებულად და უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ, ხარისხიან და სტაბილურ განხორციელებას. ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია როგორც მიმდინარე, ისე პერსპექტივაში გათვალისწინებული საჭიროებებისთვის. კრიტერიუმი შესრულებულია სრულად.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

➢ 2025 წლის 27 თებერვლის N04/18 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დანართი 4. მატერიალური რესურსი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------------------------

---------------------------

---------------------------

---------------------------

- 2025 წლის 27 თებერვლის N04/18 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კომპიუტერული ქსელი და სისტემები დანართი 3. ადამიანური რესურსი; დანართი 1. სასწავლო გეგმა; დანართი 2. სასწავლო გეგმა ინტეგრირებული მოდულებით.
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ შევსებული ფორმა (ფორმა იხ. ქვემოთ დანართი 1).
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის პირადი საქმე.
- მასწავლებელთა პირადი საქმით
- მოდულების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალით (დანართი: 1.2.1-1.2.25.,,პროგრამის შემადგენელი მოდულები, ლიტერატურა“).
- სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.
- 2020 წლის 18 მაისის N04/21 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ ბიბლიოთეკის მუშაობის და მართის დებულება.
- 2025 წლის 20 თებერვლის 04/07 ბრძანება N04/07 სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ.
- საგანმანათლებლო პროგრამის ფაქტობრივი ბიუჯეტი, პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ.
- საგანმანათლებლო პროგრამის ფაქტობრივი ბიუჯეტი.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში ხარისხის მართვის უზრუნველყოფა სრულად ეფუძნება თანამედროვე ხარისხის მართვის ციკლურ მოდელს — დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, გააუმჯობესე (PDCA). აღნიშნული ციკლი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხის სისტემატურ მონიტორინგს და უწყვეტ გაუმჯობესებას.

ამ მოდელის ფარგლებში, ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის კოორდინაციით, რომელსაც მხარდაჭერას უწევენ შიდა მონიტორინგისა და ვერიფიკაციის ჯგუფები. ხარისხის მართვის მენეჯერი არის პასუხისმგებელი სასწავლო პროცესის სტანდარტების დაცვაზე და ხარისხის გაუმჯობესებაზე, რაც აისახება რეგულარულ სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვებზე, მიღებული მონაცემების სისტემატურ ანალიზსა და საჭირო რეკომენდაციების შემუშავებაში.

ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მართვის სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელები და კოლეჯის პედაგოგიური შემადგენლობა. მათი ერთობლივი მუშაობა უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების თანმიმდევრულ განხორციელებას და ადაპტირებას მიმდინარე გამოწვევებსა და ბაზრის მოთხოვნებთან.

პროგრამების შემუშავებისა და დაგეგმვისას კოლეჯი იყენებს დოკუმენტურად დადგენილ მეთოდოლოგიას, რომელიც ორიენტირებულია პროგრამების მუდმივ გაუმჯობესებაზე და მათი მაქსიმალურად შესაბამისობაში მოყვანაზე სახელმწიფო სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

ასევე, კოლეჯი სისტემატურად ატარებს სასწავლო პროცესის შეფასებას, გამოიყენება სტუდენტების, თანამშრომლებისა და დამსაქმებლების უკუკავშირი, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვანი რესურსს პროგრამების მოდერნიზაციისა და სასწავლო ხარისხის ამაღლებისთვის.

ამ მექანიზმების ერთობლიობა უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების მდგრადობას, მაღალ აკადემიურ ხარისხს და რეალურ კონკურენტულ უპირატესობას პროფესიულ განათლებაში.

**<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>**

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი სისტემატურად სრულდება. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამაში/მოდულებში ცვლილებები ხორციელდება დაწესებული წესებისა და პროცედურების სრული დაცვით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------
-------------------------
-------------------------

შესამუშავებელი ცვლილებების პროცესი რეგლამენტირებულია სპეციალური მეთოდოლოგიით, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტანდარტების საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანის დეტალურ წესებს.

პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია შემდეგი წყაროების საფუძველზე:

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემით გამოვლენილი საჭიროებები და შედეგების ანალიზი;
- ✓ პროფესიული სტანდარტის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩარჩო დოკუმენტების განახლება;
- ✓ შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნების ცვლილებები, მათ შორის არჩევით მოდულებზე;
- ✓ სხვა გარემოებები, რომლებსაც პროგრამის ეფექტიანობისთვის სჭირდება ადაპტაცია.

ცვლილებების ინიცირება შეუძლიათ ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებს და სხვა შესაბამის პირებს.

მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, დამატების ან ამოღების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელება რეგულირდება კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროცედურებით და დირექტორის მ/შ-ის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამ აქტში დეტალურად არის განმარტებული ცვლილებების შინაარსი და ცვლილებების გავრცელების სქემა შესაბამის მიღების ჯგუფებზე.

**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2024 წლის 6 დეკემბრის №04/60 ბრძანება სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ;
- 2025 წლის 20 თებერვლის №04/06 ბრძანება სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
- პროგრამის შეფასების ფორმა.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------
------------------------
------------------------
------------------------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

7. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
8. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
9. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
10. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
11. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
12. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

კოლეჯში სასწავლო პროცესი სრულად რეგულირდება სასწავლო გეგმით, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელთა აქტიური ჩართულობით არის შემუშავებული. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ, სისტემურ და სტრუქტურირებულ განხორციელებას, სადაც ყველა მოდულის გათვალისწინებით იცვლება კვირეული დატვირთვა და დაცულია აუცილებელი დროის შუალედები შეფასებებისთვის, რაც ეფექტურად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სწავლის პროცესს და პროგრესის მონიტორინგს.

სასწავლო ცხრილი, რომელიც გაწერილია სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, პროფესიული სტუდენტებისათვის თვალსაჩინოდ არის გამოკრული და სრულად უზრუნველყოფს მათ ინფორმირებულობას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. კოლეჯი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდურად სასწავლო პროცესი ხორციელდება თანამედროვე დარგობრივი სტანდარტებისა და სწავლების ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს როგორც ხარისხს, ისე სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას. სასწავლო გარემო არის უსაფრთხო, პროგრამის სპეციფიკის სრული შესაბამისობით.

ამგვარად, სასწავლო პროცესის ორგანიზება კოლეჯში ეფუძნება მკაფიოდ დოკუმენტირებულ სტრუქტურას, რაც ქმნის საფუძველს სასწავლო მიზნების წარმატებით შესრულებისა და მუდმივი ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მუდმივი მონიტორინგისა და ეფექტური უკუკავშირის მექანიზმის გამოყენებით, დაწესებულება ოპერატიულად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე და ადაპტირებს სასწავლო პროცესს მათთვის შესაბამისი მიმართულებით.

კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება სტანდარტული პრაქტიკაა, რომელიც მორგებულია კონკრეტული სტუდენტის უნარებსა და მოთხოვნებზე, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ეს გეგმა აერთიანებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათების ოპტიმალურ განაწილებას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა ინტეგრაციას და მხარდაჭერას, რათა მათ ჰქონდეთ მაქსიმალურად კომფორტული და სრულფასოვანი მონაწილეობა სასწავლო პროცესში.

ამ მიდგომით კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოქნილობას, ინკლუზიურობას და ეფექტიანობას, რაც პირდაპირ აისახება სასწავლო მიზნების მიღწევაზე.

**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია თანამედროვე სწავლების მეთოდების და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების სისტემურ ინტეგრირებაზე. ინტერაქტიული სწავლება, რომელიც მოიცავს ლექციებს, პროექტებსა და პრაქტიკულ დავალებებს, უზრუნველყოფს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების თანაბარი განვითარების საშუალებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლების ტექნოლოგიურ მხარდაჭერისთვის კოლეჯს აქვს ვირტუალური ლაბორატორიები და სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა, რაც მნიშვნელოვნად ამდიდრებს სასწავლო პროცესს და ზრდის სტუდენტების ჩართულობას.
პროექტზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგია ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას რეალურ ან სიმულირებულ დავალებებზე მუშაობაში, რაც აძლიერებს მათ პრაქტიკულ უნარებს და სამომავლო პროფესიულ მომზადებას.
ციფრული განათლების ელემენტები – ონლაინ პლატფორმები, ელექტრონული რესურსები და დისტანციური სწავლების შესაძლებლობები – უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მუდმივ და მოქნილ მიმდინარეობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ინოვაციური სასწავლო გარემოს შექმნაში.
ამგვარი ინოვაციური მიდგომები ზრდის სწავლის ხარისხს, აფართოებს პროფესიულ კომპეტენციებს და აძლიერებს სტუდენტთა შესაძლებლობებს შრომის ბაზარზე ეფექტიანი ინტეგრაციისთვის.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები არის პრიორიტეტი.
საჭიროების შემთხვევაში, თითოეულ სტუდენტისთვის მზადდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც სრულად შეესაბამება მის უნარებს, ცოდნასა და შესაძლებლობებს, რაც ზრდის სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხს.
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის სასწავლო გარემო ადაპტირებულია და უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს სრულფასოვნად ჩართულობისა და სწავლისათვის.
დამატებით, სტუდენტებს სთავაზობენ მენტორულ მხარდაჭერას, დამატებით კონსულტაციებს და საჭირო რესურსებს, რაც აუმჯობესებს სწავლების პროცესს და საშუალებას აძლევს მათ პროფესიული კომპეტენციების სრულყოფილად განვითარებას.
პროგრამა მიზნად ისახავს თითოეული სტუდენტის უნიკალური საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინებას და სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევას.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან, სასწავლო საწარმოსთან და თანაგანმახორციელებელ დაწესებულებებთან დამყარებულია ოფიციალური ხელშეკრულებებითა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით. პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ზოგადი და პროფესიული მოდულების სწავლების შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე, რასაც უზრუნველყოფს კოლეჯის მაღალი დონის ადამიანური რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
ამასთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული მემორანდუმების ფარგლებში პროგრამაში გათვალისწინებული მოდულების ფარგლებში რეგულარულად ინერგება მიზნობრივი სასწავლო ექსკურსიები, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილების დახვეწასა და ინდუსტრიულ რეალობასთან მჭიდრო კავშირს.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
სასწავლო პროცესი სსიპ კოლეჯში „ლაკადა“, ქ. ჯვარში, ყაზბეგის ქ. N2-ში, სრულად მიმდინარეობს უსაფრთხო, რეგულაციებთან შესაბამის სასწავლო და სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.
კოლეჯი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს როგორც პერსონალის, ასევე პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების დაცვას. ამის დასტურია საევაკუაციო გეგმების განთავსება თვალსაჩინო ადგილებზე, შენობის სამივე სართულზე განთავსებული სახანძრო სტენდები და ცეცხლმაქრები, რომელთა ტექნიკური მდგომარეობაც რეგულარულად კონტროლდება.
პერიმეტრზე განთავსებულია ვიდეოკამერები, რაც უზრუნველყოფს მთელი ტერიტორიის უწყვეტ ვიდეომონიტორინგს. პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით, სადაც პროფესიონალი ექთანი უზრუნველყოფს პირველადი დახმარების გაწევას სტუდენტებსა და პერსონალს.
შენობის სველი წერტილები ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, რაც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხო და შეუფერხებელ გადაადგილებას.
სტუდენტები რეგულარულად გადიან უსაფრთხოების ინსტრუქციებს, ხოლო სასწავლო გარემოს მუდმივად აკვირდებიან პედაგოგები და ადმინისტრაცია. კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები თავის მხრივ, ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში უზრუნველყოფენ სტუდენტთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის უსაფრთხო პირობების შექმნას და შენარჩუნებას.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025 წლის 20 თებერვლის 04/07 ბრძანება N04/07 სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------
------------------------
------------------------
------------------------

- 2025 წლის 27 თებერვლის N04/18 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კომპიუტერული ქსელი და სისტემები დანართი 3. ადამიანური რესურსი; დანართი 1. სასწავლო გეგმა; დანართი 2. სასწავლო გეგმა ინტეგრირებული მოდულებით.
- 2023 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება N04/75 პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სასწავლო გეგმის ცვლილების შესახებ.
- 2024 წლის 6 დეკემბრის ბრძანება N 04/60 სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი.
- პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმები: შ.პ.ს ,,ბესტ კოპი''; შ.პ.ს ,,ორდუნეტ''
- 2025 წლის 27 თებერვლის N 04/17 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები დამტკიცების შესახებ.
- 2022 წლის 6 დეკემბრის N 04/82 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ საგანგებო მართვის გეგმა.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. *პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;*
2. *პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;*
3. *პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;*
4. *პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.*

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

სასწავლო პროგრამის მიზნების მისაღწევად კოლეჯში გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე და სამართლიანი. შეფასების ინსტრუმენტები სწორედ იმ სწავლის შედეგების დადასტურებას ემსახურება, რომლებიც პროგრამით არის განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს შედეგების სრულ შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან.

შეფასების სანდოობა გარანტირებულია რეალური, დოკუმენტირებული მტკიცებულებებით, რაც ამყარებს შედეგების სისწორეს და საფუძვლიანობას. გარდა ამისა, შეფასების პროცესი გამჭვირვალეა — ყველა სტუდენტი და შეფასების მონაწილე წინასწარ იცნობს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების კრიტერიუმებს, პირობებსა და აუცილებელ მოთხოვნებს, რაც ამცირებს სუბიექტურობას და ზრდის პროცესის მიუკერძოებლობას.

სამართლიანობის პრინციპი კოლეჯში აღინიშნება შეფასების ორგანიზების დეტალებში — დროში, სივრცეში, მასალებსა და ტექნიკურ უზრუნველყოფაში. ამავდროულად, თითოეულ სტუდენტს ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა, დაადასტუროს თავისი ცოდნა და უნარები, რაც ამყარებს შეფასების ობიექტურობას.

შეფასების სისტემას აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების გადამოწმებასა და დადასტურებას. ასევე, შეფასების ყველა მონაცემი და მტკიცებულება არქივდება შესაბამისი ვადით — შეფასების უწყისების დაცვა ხდება მინიმუმ 3 წლის განმავლობაში.

შეფასების შედეგები კოლეჯში აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი პროფესიული და აკადემიური განვითარების მხარდასაჭერად, რაც ხელს უწყობს მათი პიროვნული და პროფესიული ზრდის გამართლებულ მართვას.

ეს სისტემა ქმნის საფუძველს, რათა პროფესიულმა სტუდენტებმა უსაფრთხოდ და ეფექტურად მიაღწიონ პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა კოლეჯში ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რაც უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას და შესაბამისობას სტანდარტებს. შეფასება, როგორც ცოდნისა და უნარების დადასტურების პროცესი, სრულდება სად და როგორი ფორმითაც არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ ყოველთვის მოიცავს პროცესზე დაკვირვებას, შედეგის შეფასებას და დამატებით გამოკითხვას.

ვერიფიკაცია გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმებას, რათა დარწმუნდნენ, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასება სრულად აკმაყოფილებს სტანდარტებს და მიღებული გადაწყვეტილებები არის სანდო და ობიექტური.

ამისათვის ყოველწლიურად, წლის დასაწყისში, დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება ვერიფიკაციის გეგმა და შესაბამისი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ჯგუფის შემადგენლობაში არიან ადმინისტრაციის, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. წევრები ვალდებულნი არიან 6 თვეში ერთხელ წარუდგინონ ანგარიშები თავიანთი საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში განახორციელონ გეგმაში ცვლილებები.

ვერიფიკაცია სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

- შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

• მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკატორების მიერ შემუშავებული დასკვნები განხილულია ჩართულ მხარეებთან და მათი თანამშრომლობით იხვეწება შეფასების სისტემა. იდენტიფიცირებული პრობლემები ან შეუსაბამობები ხდება სამოქმედო გეგმის ნაწილი ან მზადდება სპეციალური გაუმჯობესების გეგმა. საბოლოოდ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ იქმნება ერთიანი ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც წარედგინება დირექტორს, რათა მიიღოს შესაბამისი მართვის გადაწყვეტილებები.

ეს მიდგომა ზრდის პროფესიული განათლების სისტემის სანდოობასა და ეფექტურობას.

<u>**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**</u>

5. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯი სისტემურად უზრუნველყოფს შეფასების პროცესთან დაკავშირებული ყველა მონაცემისა და მტკიცებულების სრულყოფილ აღრიცხვასა და უსაფრთხო შენახვას მინიმუმ 3 წლის განმავლობაში შეფასების უწყისის გაფორმებიდან, ხოლო თავად შეფასების უწყისებს ინახავს უვადოდ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული მოდულის კრედიტების ათვისება და სწავლის შედეგების დადასტურება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისთვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს. აღნიშნული პროცესი საბოლოოდ აისახება საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

ეს ზრდის სისტემის გამჭვირვალობას და შედეგების ვალიდურობას, მინიმუმამდე ამცირებს რისკებს და უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ხარისხის მაღალ სტანდარტებს.

<u>**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**</u>

6. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯი ფლობს პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმს მათი შემდგომი განვითარების დასანერგად. თითოეული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი ინფორმაციას შეფასების შედეგების შესახებ დროულად უზიარებს სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მენეჯერსა და ხარისხის მართვის მენეჯერს. მიღებული უკუკავშირი საფუძვლად ედება ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ სასწავლო პროცესის მენეჯერთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად შეფასების სისტემის სისტემატურ ანალიზს.

გაუმჯობესების საჭიროების შემთხვევაში ხარისხის მართვის მენეჯერი დაადგენს კონკრეტულ სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს პროგრამის განვითარებას, მოდულების გადალაგებას, სასწავლო გეგმის კორექტირებას, სწავლების მეთოდებისა და შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტრუმენტების შეცვლას და საგანმანათლებლო რესურსების განახლებას. საბოლოოდ, ეს გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს, რაც უზრუნველყოფს მიზანმიმართულ და პრაგმატულ მიდგომას ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების მიმართულებით.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

2025 წლის 20 თებერვლის 04/07 ბრძანება N04/07 სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ.
2025 წლის 20 თებერვლის N 04/06 სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების შესახებ.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მოდის ტექნოლოგია და დიზაინი |
| პროფესიული განათლების დონე | მე-4 |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0723 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | 2025 წლის 27 თებერვლის N04/20 ბრძანება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული ენა |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ჯვარი, ყაზბეგის 2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | კოოპერაციული |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

## II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 2. საგანმანათლებლო პროგრამები

### 2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ გადაწყვეტილება მოდის ტექნოლოგია და დიზაინის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ დაფუძნებულია შრომის ბაზრის კვლევის შედეგებსა და კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე. პროგრამა სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიას – მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. მოდის ტექნოლოგია და დიზაინის პროგრამა აერთიანებს როგორც ტექნოლოგიურ, ისე შემოქმედებით კომპონენტებს, რაც კარგად ეხმიანება კოლეჯის ინოვაციური სწავლების მიდგომებს და დასაქმებაზე ორიენტირებულ პოლიტიკას. აღნიშნული პროგრამის დამატება წარმოადგენს პასუხს როგორც რეგიონულ, ისე ეროვნულ დონეზე გამოვლენილ მოთხოვნებზე და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პროფესიული განათლების განვითარებაში ამ სფეროში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულებაში შემუშავებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს ჩარიცხვის პროცედურებს. პროგრამა განეკუთვნება საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას, რომლის დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. პროცედურა კი გულისხმობს კოლეჯის მიერ ორგანიზებული პროფესიული გასაუბრების საფუძველზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობის დაცვა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ეფექტურობას და პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

პსდ-ს შემუშავებული აქვს სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება პროგრამის სპეციფიკას, სასწავლო გარემოს რესურსებს, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობასა და მათ კვალიფიკაციას. ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

ა) მოდულის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო გარემო (A, B და C ტიპის);
ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
გ) საწარმოო პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობები;
დ) პროგრამაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 30 სტუდენტით. პროგრამის ხარისხიანად განხორციელებისთვის კოლეჯს, მის მისამართზე — ყაზბეგის ქ. №2, ჯვარი — გააჩნია A, B და C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია როგორც თეორიული სწავლებისთვის, ასევე პრაქტიკული სამუშაოებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა, მიიღოს 30 პროფესიული სტუდენტი პროგრამის ფარგლებში.
აღნიშნული რაოდენობა განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის, კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით. ასევე, კოლეჯსა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტთა აღნიშნულ რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული სწავლების კომპონენტის შეუფერხებელ განხორციელებას. შესაბამისად, მოცემული კვოტა სრულად შეესაბამება როგორც კოლეჯის, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობებს და არ არსებობს შეზღუდვა სტუდენტთა მიღების თვალსაზრისით.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროგრამის საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
პროგრამისთვის გათვალისწინებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდურ, ასევე ელექტრონულ ფორმატში. ელექტრონული რესურსები ჩაწერილია დისკებზე და დაცულია კოლეჯის საბიბლიოთეკო ფონდში, რაც უზრუნველყოფს მათ მარტივ ხელმისაწვდომობას პროფესიული სტუდენტებისთვის.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამაში გათვალისწინებულია ერთი არჩევითი მოდული, რომელიც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესის მიხედვით, პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის მ/შ მიერ.

<u>**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**</u>

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება მოდის ტექნოლოგია და დიზაინი შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ეყრდნობა პროგრამის შემადგენელი ნაწილების ,მოდულების თემატიკას, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.
მისაღწევი სწავლის შედეგებია

1. უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო ადგილის ორგანიზება და გაეცნოს მოდელს;
2. შექმნას ესკიზი;
3. შეარჩიოს სამკერვალო ნაწარმის დამზადებისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე მასალები;
4. ტექნოლოგიურად დაამუშაოს სამკერვალო ნაწარმის დეტალები;
5. გამოიყენოს სამკერვალო ნაწარმის დამზადებისათვის საჭირო სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო მანქანები და თბურ-დანამვითი დამუშავების მოწყობილობები;
6. ააგოს სამკერვალო ნაწარმის კონსტრუქციული ნახაზი;
7. გამოჭრას და შეკეროს სამკერვალო ნაწარმი;
8. გადააკეთოს ტანსაცმელი და აღადგინოს დაზიანებული უბნები;
9. უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა შემუშავებულია 2024 წლის 6 დეკემბრის ბრძანება N04/60 სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოდის ტექნოლოგია და დიზაინის ვერსია N2-ის საფუძველზე, რომლის სარეგისტრაციო ნომერია 07.9.1.

**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

2025 წლის 27 თებერვლის N04/20 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა მოდის ტექნოლოგია და დიზაინი

- პროგრამის შეფასების ფორმა
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი
- 2024 წლის 6 ნოემბრის N04/48 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026
- 2022 წლის 2 სექტემბრის N04/51 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები
- 2021 წლის 28 ოქტომბრის N04/79 ბრძანება კოლეჯის სსიპ „ლაკადა“ პროფესიულ ზღვრული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა მეთოდოლოგიაში ცვლილების შეტანის შესახებ
- კოლეჯის საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ,,მდის ტექნოლოგია და დიზაინი“ - პროგრამის საგანმანათლებლო რესურსი. 2020 წლის 18 მაისის N04/21 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ ბიბლიოთეკის მუშაობის და მართვის დებულება
- 2025 წლის 20 თებერვლის 04/07 ბრძანება N04/07 სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ
- 2024 წლის 6 დეკემბრის ბრძანება N 04/60 სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (30 სტუდენტი) გათვალისწინებით.
პსდ-ს გააჩნია A, B და C გარემოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა და საჭირო სასწავლო-საწარმოო რესურსები. კოლეჯი ფლობს აღნიშნულ რესურსებს, რაც დადასტურებულია შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციით.
რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს (C გარემო) პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. საწარმოო პრაქტიკის პარტნიორების მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ- ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს ურთიერთთანამშრომლობის გზით, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულების განხორციელებას პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამისათვის განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა. მათი კვირეული დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, დარგობრივ მოდულებს ჰყავს მინიმუმ სამი განმახორციელებელი
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამისათვის შერჩეულ ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელს გააჩნია პროფესიულ სტუდენტებში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია. აღნიშნული კომპეტენცია დადასტურებულია კოლეჯის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად შერჩეული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და მათი პირადი საქმეების საფუძველზე.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი კომპეტენცია შეესაბამება პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავს პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, ხელს უწყობს მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების განვითარებას და ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში. ის კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა საქმიანობას.
პერიოდულად ახდენს პროგრამის მიმდინარე პროცესების აღწერას, რაც განხორციელდება დემინგის ციკლის პრინციპების შესაბამისად და სპეციალურად შემუშავებული ფორმის — *„საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარე პროცესის აღწერა“* — მეშვეობით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმდინარე პროცესების აღწერა ხელს უწყობს როგორც პროგრამის შეფასებას, ისე მის შემდგომ განვითარებას. პროგრამის ხელმძღვანელი მიღებულ ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ მხარეებს.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით. კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სამი კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები აპარატი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. ელექტრონული რესურსის შემთხვევაში ლიტერატურის დასახელების გვერდით მითითებული არის „ელექტრონული" ვერსია, ამასთანავე მასალა ჩაწერილია დისკზე.

ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად .ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯში ხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა სწავლება, რაც გულისხმობს საჭირო დამატებით ადამიანური და მატერიალური რესურსის მიწოდებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. სსიპ კოლეჯს „ლაკადა" აქვს სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ პანდუსი ცენტრალურ შენობაში შესასვლელად. შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული სველი წერტილები. სართულებს შორის დამაკავშირებელი ლიფტი. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის (ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა) და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ისგ-ს საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტისთვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო მასალა და ნედლეული.

**<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>**

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამის ბიუჯეტი, შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში -ვაუჩერული დაფინანსება, პროგრამული დაფინანსება, ხარჯებში- მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსებიდან), სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯები, ადმინისტრირების ხარჯი, კომუნალური ხარჯი.

**<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025 წლის 27 თებერვლის N04/20 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა მოდის ტექნოლოგია და დიზაინი და პროგრამის დანართები
- მასწავლებელთა პირადი საქმე
- პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული ხელშეკრულება, პირადი საქმე
- 2025 წლის 20 თებერვლის N 04/06 სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების შესახებ
- კოლეჯის საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ,,მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ - პროგრამის საგანმანათლებლო რესურსი.
- 2020 წლის 18 მაისის N04/21 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ ბიბლიოთეკის მუშაობის და მართვის დებულება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2025 წლის 20 თებერვლის 04/07 ბრძანება N04/07 სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ
- საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

კოლეჯში ხარისხის მართვის უზრუნველყოფა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გააუმჯობესე. სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობს აღნიშნული ციკლის შესაბამისად. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის, შიდა მონიტორინგის ჯგუფის და შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ. ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერის, სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის, ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მართვის სპეციალისტის, პროგრამის ხელმძღვანელებისა და კოლეჯის მასწავლებლების აქტიური ჩართულობით. ხარისხის მართვის მენეჯერი პასუხისმგებელია სტუდენტების, მასწავლებლების რეგულარულ გამოკითხვაზე, მიღებული შედეგების ანალიზსა და რეკომენდაციების შემუშავებაზე. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დაგეგმვა ხორციელდება პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. სასწავლო გეგმები იძლევა სწორ გზას პროგრამის




ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანმიმდევრულად განხორციელების შესაძლებლობის შესახებ, რომლის მიზანია მუდმივად განახორციელოს სასწავლო პროგრამების გაუმჯობესება და სახელმწიფო სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათი მაქსიმალურად დაახლოება. კოლეჯი რეგულარულად ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას, ატარებს სტუდენტების, თანამშრომლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას და ა.შ. კვლევის ანალიზის მასალები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული აქტივობების შედეგების ანალიზის საფუძველზე - პროფესიულ სტანდარტში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელს. მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროცედურების და წესების შესაბამისად დირექტორის მ/შ მიერ გამოიცემა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში განისაზღვრება პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც აღნიშნული ცვლილება გავრცელდება.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2024 წლის 6 დეკემბრის ბრძანება N 04/60 სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი
- 2025 წლის 20 თებერვლის N 04/06 სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების შესახებ
- პროგრამის შეფასების ფორმა
- კვლევების შედეგები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიუს შედეგები

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ადგილზე და ელექტრონულად. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულის შესახებ, ასევე, გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები გავლილი მოდულების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია სასწავლო პროცესზე დაკვირვება და პრობლემების იდენტიფიცირება. პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრა. კოლეჯის დირექტორის მ/შ ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების, პროფესიული სტუდენტის შეფასების გასაჩივრების, პროფესიული სტუდენტებისთვის კონსულტაციის გაწევის, პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესებს.
სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასების მიზნით ჩატარდა გასაუბრებები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს.
პროგრამის ხელმძღვანელები ადასტურებენ, რომ კოლეჯში შექმნილია მოქნილი სისტემა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სწავლის პროცესში ცვლილებების ეფექტურად განხორციელებას უზრუნველყოფს.
პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია. განსაკუთრებით დადებითად შეფასდა სასწავლო განრიგის მოქნილობა და დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები. გასაუბრების და მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. არსებული მექანიზმები, მათ შორის სასწავლო პროცესის რეგულაციები, ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის რეგულაცია, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები და სასწავლო ცხრილის ადაპტაციის შესაძლებლობა, ხელს უწყობს სტუდენტების საჭიროებებზე დროულ რეაგირებას. ჩართული მხარეების (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები, მასწავლებლები და სტუდენტები) შეფასებები ადასტურებს, რომ კოლეჯში პროცესი გამჭვირვალედ და ეფექტურად იმართება.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობა" ითვალისწინებს, როგორც ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების თანამედროვე მეთოდებს, ისე დარგის შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას. პსდ-ში ამ პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება C გარემოში: აქვთ ელექტროსამონტაჟო სახელოსნო; ელექტროტექნიკის ლაბორატორია. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებები. კოლეჯს გააჩნია ონლაინ კონფერენციებისთვის საჭირო მოწყობილობები. პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის იგეგმება ტრენინგები, ვორქშოპები, სამუშაო შეხვედრები კოლეგებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან საუკეთესო ,პრაქტიკის გაზიარების მიზნით. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და კომპეტენცია, რათა უზრუნველყონ სტუდენტებისთვის დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა.
**<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>**

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

პსდ-ს აქვს მზაობა და მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილია მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებენ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით" განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია/პროცედურა. ამ დოკუმენტის შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება, თუ: პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს. მოცემულ შემთხვევაში შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის განხორციელებასაც უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლები.
**<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>**

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------
------------------------
------------------------
------------------------

პროგრამა ითვალისწინებს მოდულით საწარმოო პრაქტიკის განხორციელებას, რომელიც პარტნიორ ორგანიზაციის ბაზაზე განხორციელდება. ასევე მოდულის გაცნობითი პრაქტიკის ფარგლებში ხდება ვიზიტი პარტნიორ ორგანიზაციაში. რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ მემორანდუმით.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პსდ-ში მოქმედებს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომელშიც გაწერილია უსაფრთხოების მიდგომები, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურები. კოლეჯში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.
პსდ-ში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობის" სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მიმდინარეობს C გარემოში, რომელიც მოიცავს ელექტროსამონტაჟო სახელოსნოს; მაღალი ძაბვის ლაბორატორიას; ელექტროტექნიკის ლაბორატორიას. სახელოსნოსა და ლაბორატორიებში ელექტროდანადგარებთან პრაქტიკული სამუშაოების წარმოების უსაფრთხოების ინსტრუქციები გაწერილია ნორმატიულ დოკუმენტში. თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული უსაფრთხოების წესები, გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები. სამუშაო სტენდები დამიწებულია. პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები უზრუნველყოფილია პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმით.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *2025 წლის 20 თებერვლის 04/07 ბრძანება N04/07 სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ*
- *2025 წლის 27 თებერვლის N04/20 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა მოდის ტექნოლოგია და დიზაინი. დანართი . სასწავლო გეგმა.*
- *2024 წლის 6 დეკემბრის ბრძანება N 04/60 სსიპ კოლეჯი „ლაკადა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

----------------------------
----------------------------
----------------------------
----------------------------

- *პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმები*
- *2025 წლის 27 თებერვლის N 04/17 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები დამტკიცების შესახებ*
- *2022 წლის 6 დეკემბრის N 04/82 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ საგანგებო მართვის გეგმა*

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

პსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას; პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური; შეფასების სისტემა ვალიდურია, რადგან გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით. შეფასების სისტემა სანდოა, რაც გამყარებულია განხორციელებული შეფასების შედეგები სათანადო მტკიცებულებებით. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისთვის. შეფასების სისტემა სამართლიანია, რასაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის იმგვარად ორგანიზებულობა (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები)., რომ შესაფასებელ პირს მიეცეს საშუალება, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები. ასევე შეფასებისას ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირ პირობებში არის ჩაყენებული, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ობიექტურობას.

შეფასება ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. დამკვიდრებული წესის თანახმად პროფესიულ პროგრამებში გამოიყენება ორივე ტიპის შეფასება:

- ✓ განმსაზღვრელი შეფასება (summative assessment) – საბოლოო შეფასება, რომელიც აჩვენებს, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სასწავლო შედეგებს.
- ✓ განმავითარებელი შეფასება (formative assessment) – სტუდენტების პროგრესის მონიტორინგი და უკუკავშირის უზრუნველყოფა.

გასაუბრების და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი ზრუნავს შეფასების სისტემის გაუმჯობესებაზე, რაც გამოიხატება შემდეგში:

კოლეჯი ატარებს ტრენინგებს შეფასების სისტემის ერთგვაროვნებისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად.

ყველა შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას, რათა იყოს ადეკვატური და შედეგზე ორიენტირებული. ვალიდაცია წარმოადგენს შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურებას.

ვალიდაცია ხორციელდება როდესაც: იქმნება ახალი შეფასების ინსტრუმენტი; ხდება არსებულ ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანა

პერიოდულად ხორციელდება შეფასების სისტემის ვერიფიკაცია.

პროფესიულ სტუდენტებს აქვთ სრული ინფორმაცია შეფასების მექანიზმების შესახებ, იცნობენ გადაბარებისა და აპელაციის წესს.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმებს. შეფასება შესაფასებელი პირის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. მნიშვნელობა არ აქვს, სად ხდება შეფასება, ან რა ფორმით არის ის წარმოდგენილი, შეფასება ყოველთვის მოიცავს პროცესზე დაკვირვებას, შედეგის (პროდუქტის) შეფასებას და გამოკითხვას. შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებები ობიექტურობა. ამ მიზნით ყოველწლიურად, წლის დასაწყისში დირექტორის ინდივიდუალურ- სამართლებრივი აქტით მტკიცდება ვერიფიკაციის გეგმა და ვერიფიკაციის ჯგუფი. ჯგუფს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. ჯგუფის წევრები ვალდებული არიან 6 თვეში ერთხელ წარუდგინონ დასკვნა ვერიფიკაციის პროცესის ხელმძღვანელს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შევიდეს გეგმაში ცვლილება. დარგის სპეციალისტი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის დასკვნა და შედეგების განხილვა ვერიფიკატორების მიერ შემუშავებული დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია იდენტიფიცირებული შეუსაბამობა გაიწეროს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ აქტივობად, ან უშუალოდ იდენტიფიცირებული შეუსაბამობიდან გამომდინარე, ცალკე შემუშავდეს გაუმჯობესების უზრუნველყოფის გეგმა. ვერიფიკატორების დასკვნების განხილვის შემდეგ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მუშავდება ერთიანი ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც წარედგინება დირექტორს.

ხარისხის მენეჯერმა წარმოადგინა აღნიშნული აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვერიფიკაციის კითხვარები, სამუშაო ოქმები და ანალიზის დოკუმენტი. ვერიფიკაციის დროს გამოკვეთილი საკითხების შესაბამისად ხდება შეფასების სისტემის გაუმჯობესება. ვერიფიკაციის პროცესის შემოწმება არ შემოიფარგლა მხოლოდ დოკუმენტაციის გაცნობით. ასევე გადამოწმდა მტკიცებულებები და შედგა გასაუბრება სტუდენტებთან, განმახორციელებლებთან და ვერიფიკატორებთან.

ვერიფიკაციის პროცესის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ მიუხედავად ზოგიერთი გამოწვევისა, კოლეჯი ახორციელებს გამჭვირვალე, ობიექტურ და სანდო შეფასებას.

<u>**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------------------------

---------------------------

---------------------------

---------------------------

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ხოლო შეფასების უწყისებს უვადოდ; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის კრედიტების ათვისება და შედეგების დადასტურება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს. რაც აისახება ბრძანების თანახმად შექმნილი საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილების საფუძველია.
ამგვარი პროცედურები უზრუნველყოფს, რომ ყველა საჭირო მონაცემი და მტკიცებულება იყოს სათანადოდ დაფიქსირებული და დაცული, რომ კოლეჯი სრულად დაემორჩილოს კანონისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებს.
<u>**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**</u>

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგ(ებ)ი გამოყენებული უნდა იყოს მათი შემდგომი განვითარებისათვის: მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი უწყისში ასახულ შედეგებს გონივრულ ვადაში აცნობს პროფესიულ სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მენეჯერს და ხარისხის მენეჯერს. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის მენეჯერთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ანალიზს. გამოვლენილი შეუსაბამობების შემთხვევაში მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას: პროგრამის განვითარების, მოდულის რიგითობის შეცვლის, სასწავლო გეგმის კორექტირების, სწავლის მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტის, საგანმანათლებლო რესურსების ცვლილების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
<u>**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის „ლაკადას“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები - დამტკიცებულია 2025 წლის 20 თებერვლის N 04/06 ბრძანებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ კოლეჯის „ლაკადას“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - დამტკიცებულია 2025 წლის 20 თებერვლის ბრძანებით ,N04/07
- ვერიფიკაციის დოკუმენტაცია;
- ინტერვიუების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | იატაკისა და ფილის სამუშაოები |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0732 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი. ქ. ჯვარი, ყაზბეგის N2 |
| პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში) | იმიტირებულ სამუშაო გარემოში |
| დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 30 |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | - |
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 82 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 97 |

## II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------------------------
---------------------------
---------------------------
---------------------------

## 2. საგანმანათლებლო პროგრამები

### 2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს პსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა.

კოლეჯი წარმატებით ახორციელებს სამშენებლო მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ სრულად პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც დასტურდება შესაბამისი კვლევებითა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებით. ამასთან, ქვეყანაში არსებული ვაკანსიების ანალიზი ადასტურებს აღნიშნული კვალიფიკაციის კადრების საჭიროებას სამშენებლო სექტორში.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროგრამაზე მიღება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „იატაკისა და ფილის სამუშაოები" შესაბამისად. პროგრამაზე მიიღებიან პირები საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას განსაზღვრულ ვადაში. სხვა სპეციფიკური მოთხოვნები დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით დაწესებულებას არ გააჩნია.
**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

სსიპ კოლეჯი „ლაკადა" განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას პროგრამის სპეციფიკის, სასწავლო გარემოსა და ტექნიკური აღჭურვილობის გათვალისწინებით. „იატაკისა და ფილის სამუშაოები" პროგრამისთვის განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობა. კოლეჯს აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი — კომპიუტერული ტექნიკა, ინტერნეტი, მანქანა-დანადგარები და ხელსაწყო-იარაღები, ასევე სპეციალური სახელოსნო და კომფორტული სასწავლო გარემო.
**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯის რესურსები სრულად უზრუნველყოფენ სტუდენტების მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კონკრეტულად, კოლეჯს გამოყოფილი აქვს შესაბამისი სასწავლო სახელოსნო, სადაც მიმდინარეობს პრაქტიკული კომპონენტების განხორციელება. სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ ფორმატში.
**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამას არ აქვს არჩევითი მოდულები.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის მ/შ მიერ.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის დასახელება სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს და მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "იატაკისა და ფილის სამუშაოები" შემუშავებულია "მშენებლობის წარმოების" პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 9 სავალდებულო პროფესიულ მოდულს ჯამური 59 კრედიტის მოცულობით, 7 სავალდებულო ზოგად მოდულს ჯამური 19 კრედიტის მოცულობით და 3 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამურად 5 კრედიტის მოცულობით. საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 83 კრედიტის დაგროვება. არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა კი უნდა დააგროვონ 98 კრედიტი, რომელთაგან კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო 83 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 მოდულები (15 კრედიტი). „მოდულების, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძანების №42/ნ შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "იატაკისა და ფილის სამუშაოები" ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "იატაკისა და ფილის სამუშაოების" მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
- მისია, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- 2021 წლის 28 ოქტომბრის N04/79 ბრძანება სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა მეთოდოლოგიაში ცვლილების შეტანის შესახებ.
- ინტერვიურება;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- 2024 წლის 6 დეკემბრის ბრძანება N 04/60. სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი”.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაშია „იატაკისა და ფილის სამუშაოების" პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და სასწავლო რესურსი. კოლეჯის რესურსი უზრუნველყოფს 30 პროფესიული სტუდენტის (ორ ცვლაში) მიერ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მიზნების მიღწევისათვის გამოყოფილია “იატაკისა და ფილის სამუშაოების” სასწავლო სახელოსნო. სახელოსნო აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, დანადგარებით, ხელსაწყო-იარაღებით. სახელოსნოში არის კომპიუტერულ ტექნიკასთან და ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობა. კომპიუტერული კლასი სტუდენტებისა და მასწავლებლისათვის აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, საპრეზენტაციო საშუალებებით და ინტერნეტით. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის სტუდენტებისათვის და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**2 პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული მოდულების განსახორციელებლად განსაზღვრულია 3 პროფესიული მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის გაანგარიშებისას კოლეჯი ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ აქტივობებს - მოდულის ადაპტირება, შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტრუმენტების შექმნა, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი და სხვ. პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პროგრამის განმახორციელებელ პირებს უდასტურდებათ დარგობრივი კომპეტენცია. მათი სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ინტერვიუირებისას ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ მომავალში დაგეგმილია მათი განვითარების ღონისძიებები. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ჩატარდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, ასევე, მისი განვითარების მიზნით დაწესებულების აქტივობებში მონაწილეობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას თვალნათელი იყო, რომ იცნობდნენ მოდულის შინაარსს, გააჩნდათ მისი განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები, იცნობდნენ ინტერაქტიული სწავლების მეთოდებს და შეფასების წესებს, რაც უზრუნველყოფილ იქნა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ჩატარებული ტრენინგებით. ისინი გამოთქვამენ მზაობას დამატებით ტრენინგებში მონაწილეობისათვის. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კოდექსით მოთხოვნილ არსებით პირობებს. მასში განსაზღვრულია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------------------------
---------------------------
---------------------------
---------------------------

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი რომლის დარგობრივი კომპეტენცია შეესაბამება პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების საქმიანობას. პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.
**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომობა. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსი სრულად ფარავს პროგრამის მოდულებს. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით სტუდენტთათვის შესაბამისი ცოდნის მიცემა და სწავლის შედეგების გამომუშავება შესაძლებელია. ბიბლიოთეკაში განთავსებულია "ბიბლიოთეკის დებულება" და „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი". ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მოდულებში მითითებული საგანმანთლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა.

პროგრამის განხორციელებისთვის საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალურად, ასევე ბიბლიოთეკაში დაცულ CD/DVD დისკებზე. მათი მოხმარება დარეგულირებულია დოკუმენტით „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი".
**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

კოლეჯში განსაზღვრულია სსსმ პირების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა - სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.
**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------------------------
---------------------------
---------------------------
---------------------------

**7. რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელშიც გაწერილია პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, კოლეჯის მიერ განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი - 5 პროფესიული სტუდენტით. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც შემოსავლების სახეობად განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ხარჯების ნაწილში გაწერილია - პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი ანაზღაურების, სასწავლო მასალისა და ნედლეულის, ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "იატაკისა და ფილის სამუშაოები"
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები
- შესყიდვის დოკუმენტაცია და მიღება-ჩაბარების აქტები
- ვიზუალური დათვალიერება
- ინტერვიუს შედეგები

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

კოლეჯში ხარისხის მართვის უზრუნველყოფა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გააუმჯობესე. სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობს აღნიშნული ციკლის შესაბამისად. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის, შიდა მონიტორინგის ჯგუფის და შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ. ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერის, სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის, ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მართვის სპეციალისტის, პროგრამის ხელმძღვანელებისა და კოლეჯის მასწავლებლების აქტიური ჩართულობით. ხარისხის მართვის მენეჯერი პასუხისმგებელია სტუდენტების, მასწავლებლების რეგულარულ გამოკითხვაზე, მიღებული შედეგების ანალიზსა და რეკომენდაციების შემუშავებაზე. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დაგეგმვა ხორციელდება პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. სასწავლო გეგმები იძლევა სწორ გზას პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესაძლებლობის შესახებ, რომლის მიზანია მუდმივად განახორციელოს სასწავლო პროგრამების გაუმჯობესება და სახელმწიფო სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათი მაქსიმალურად დაახლოება. კოლეჯი რეგულარულად ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას, ატარებს სტუდენტების, თანამშრომლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას და ა.შ. კვლევის ანალიზის მასალები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

**<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>**

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული აქტივობების შედეგების ანალიზის საფუძველზე - პროფესიულ სტანდარტში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელს. მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროცედურების და წესების შესაბამისად დირექტორის მ/შ მიერ გამოიცემა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში განისაზღვრება პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც აღნიშნული ცვლილება გავრცელდება.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2024 წლის 6 დეკემბრის ბრძანება N 04/60 სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი
- 2025 წლის 20 თებერვლის N 04/06 სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების შესახებ
- პროგრამის შეფასების ფორმა
- კვლევების შედეგები
- ინტერვიუს შედეგები

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ადგილზე და ელექტრონულად. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულის შესახებ, ასევე, გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები გავლილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ჩატარდა ინტერვიუები სასწავლო კომპონენტის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებმაც დაადასტურეს რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო ცხრილების მიხედვით.

**<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>**

**2.** პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, ხორციელდება სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის. ინფორმაციის გავრცელება უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს. პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამას აქვს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები/თანამედროვე ტექნოლოგიები. თითოეულ მასწავლებელს ასევე აქვს გავლილი სწავლა-სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებში და მეთოდებში ტრენინგები, რაც წარმოდგენილია დოკუმენტურად მათ პირად საქმეებში.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სტუდენტების მოთხოვნაზე დროულად აბრუნებს უკუკავშირს. საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული პროფესიული




ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტის/სტუდენტებისათვის, რაც გულისხმობს სტუდენტის საჭიროებაზე მორგებული გეგმის შემუშავებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს ,,ქალაქმშენსერვისი", რომლის ფარგლებშიც მოახდენს სასწავლო ექსკურსიების მოწყობას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, იატაკისა და ფილის სამუშაოების პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ელექტრო გაყვანილობა ჩასმულია საკაბელო არხებში და გოფრირებულ მილებში, ქსელი აღჭურვილია დამცავი გამორთვის მოწყობილობით, რაც გარემოს ქმნის ელექტრულად უსაფრთხოს. დანადგარებთან გამოკრულია გამაფრთხილებელი აბრები. სახელოსნოში განთავსებულია ცეცხმაქრები და სახანძრო აღჭურვილობა. სახელოსნო აღჭურვილია ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციის სისტემით. სტუდენტებს აქვთ დამცავი სათვალეები, ჩაფხუტები, სპეც. ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. სახელოსნოში პრაქტიკული დავალებების შესრულების წინ სტუდენტებს უტარდებათ ინსტრუქტაჟი ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის აუცილებლობის შესახებ. რაც შეეხება კომპანიაში რეალურ სამუშაო გარემოში ექსკურსიას, სავალდებულოა უსაფრთხოების ზომების დაცვა. ინტერვიუირებისას აღინიშნა, რომ კომპანიას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც იზრუნებს პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებაზე. ჩატარდება ინსტრუქტაჟი.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025 წლის 27 თებერვლის N04/18 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა "იატაკისა და ფილის სამუშაოები", დანართებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------
------------------------
------------------------
------------------------

- 2023 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება N04/75 პროგამა “იატაკი და ფილის სამუშაოების” სასწავლო გეგმის ცვლილების შესახებ;
- მემორანდუმი გაფორმებული პარტნიორ კომპანიასთან;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუირება;
- ვიზუალური დათვალიერება.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

პსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას; პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური; შეფასების სისტემა ვალიდურია, რადგან გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით. შეფასების სისტემა სანდოა, რაც გამყარებულია განხორციელებული შეფასების შედეგები სათანადო მტკიცებულებებით. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისთვის. შეფასების სისტემა სამართლიანია, რასაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის იმგვარად ორგანიზებულობა (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები)., რომ შესაფასებელ პირს მიეცეს საშუალება, დაადასტუროს მიღწეული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის შედეგები. ასევე შეფასებისას ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირ პირობებში არის ჩაყენებული, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ობიექტურობას.

შეფასება ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. დამკვიდრებული წესის თანახმად პროფესიულ პროგრამებში გამოიყენება ორივე ტიპის შეფასება:

- ✓ განმსაზღვრელი შეფასება (summative assessment) – საბოლოო შეფასება, რომელიც აჩვენებს, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სასწავლო შედეგებს.
- ✓ განმავითარებელი შეფასება (formative assessment) – სტუდენტების პროგრესის მონიტორინგი და უკუკავშირის უზრუნველყოფა.

გასაუბრების და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი ზრუნავს შეფასების სისტემის გაუმჯობესებაზე, რაც გამოიხატება შემდეგში:

კოლეჯი ატარებს ტრენინგებს შეფასების სისტემის ერთგვაროვნებისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად.

ყველა შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას, რათა იყოს ადეკვატური და შედეგზე ორიენტირებული. ვალიდაცია წარმოადგენს შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურებას.

ვალიდაცია ხორციელდება როდესაც: იქმნება ახალი შეფასების ინსტრუმენტი; ხდება არსებულ ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანა პერიოდულად ხორციელდება შეფასების სისტემის ვერიფიკაცია.

პროფესიულ სტუდენტებს აქვთ სრული ინფორმაცია შეფასების მექანიზმების შესახებ, იცნობენ გადაბარებისა და აპელაციის წესს.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმებს. შეფასება შესაფასებელი პირის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. მნიშვნელობა არ აქვს, სად ხდება შეფასება, ან რა ფორმით არის ის წარმოდგენილი, შეფასება ყოველთვის მოიცავს პროცესზე დაკვირვებას, შედეგის (პროდუქტის) შეფასებას და გამოკითხვას. შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებები ობიექტურობა. ამ მიზნით ყოველწლიურად, წლის დასაწყისში დირექტორის ინდივიდუალურ- სამართლებრივი აქტით მტკიცდება




ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციის გეგმა და ვერიფიკაციის ჯგუფი. ჯგუფს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. ჯგუფის წევრები ვალდებული არიან 6 თვეში ერთხელ წარუდგინონ დასკვნა ვერიფიკაციის პროცესის ხელმძღვანელს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შევიდეს გეგმაში ცვლილება. დარგის სპეციალისტი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის დასკვნა და შედეგების განხილვა ვერიფიკატორების მიერ შემუშავებული დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია იდენტიფიცირებული შეუსაბამობა გაიწეროს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ აქტივობად, ან უშუალოდ იდენტიფიცირებული შეუსაბამობიდან გამომდინარე, ცალკე შემუშავდეს გაუმჯობესების უზრუნველყოფის გეგმა. ვერიფიკატორების დასკვნების განხილვის შემდეგ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მუშავდება ერთიანი ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც წარედგინება დირექტორს.

ხარისხის მენეჯერმა წარმოადგინა აღნიშნული აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვერიფიკაციის კითხვარები, სამუშაო ოქმები და ანალიზის დოკუმენტი. ვერიფიკაციის დროს გამოკვეთილი საკითხების შესაბამისად ხდება შეფასების სისტემის გაუმჯობესება. ვერიფიკაციის პროცესის შემოწმება არ შემოიფარგლა მხოლოდ დოკუმენტაციის გაცნობით. ასევე გადამოწმდა მტკიცებულებები და შედგა გასაუბრება სტუდენტებთან, განმახორციელებლებთან და ვერიფიკატორებთან.

ვერიფიკაციის პროცესის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ მიუხედავად ზოგიერთი გამოწვევისა, კოლეჯი ახორციელებს გამჭვირვალე, ობიექტურ და სანდო შეფასებას.

<u>**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**</u>

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ხოლო შეფასების უწყისებს უვადოდ; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის კრედიტების ათვისება და შედეგების დადასტურება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს. რაც აისახება ბრძანების თანახმად შექმნილი საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილების საფუძველია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------
-------------------------
-------------------------

ამგვარი პროცედურები უზრუნველყოფს, რომ ყველა საჭირო მონაცემი და მტკიცებულება იყოს სათანადოდ დაფიქსირებული და დაცული, რომ კოლეჯი სრულად დაემორჩილოს კანონისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებს.
**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგ(ებ)ი გამოყენებული უნდა იყოს მათი შემდგომი განვითარებისათვის: მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი უწყისში ასახულ შედეგებს გონივრულ ვადაში აცნობს პროფესიულ სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მენეჯერს და ხარისხის მენეჯერს. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის მენეჯერთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ანალიზს. გამოვლენილი შეუსაბამობების შემთხვევაში მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას: პროგრამის განვითარების, მოდულის რიგითობის შეცვლის, სასწავლო გეგმის კორექტირების, სწავლის მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტის, საგანმანათლებლო რესურსების ცვლილების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის „ლაკადას" ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები - დამტკიცებულია 2025 წლის 20 თებერვლის N 04/06 ბრძანებით;
- სსიპ კოლეჯის „ლაკადას" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - დამტკიცებულია 2025 წლის 20 თებერვლის ბრძანებით ,N04/07
- ვერიფიკაციის დოკუმენტაცია;
- ინტერვიუების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება) |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0732 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი. ქ. ჯვარი, ყაზბეგის N2 |
| პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში) | იმიტირებულ სამუშაო გარემოში |
| დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 30 |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | - |
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 59 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------------------------
---------------------------
---------------------------
---------------------------

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 74 |

## II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------
-------------------------
-------------------------
-------------------------

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

პსდ მისიიდან და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, წარმატებით ახორციელებს სამშენებლო მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება" მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი, სადაც წარმოდგენილია შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შრომის ბაზრის ანალიზი, ქვეყანაში გამოცხადებული ვაკანსიების ანალიზი, რაც ადასტურებს სამშენებლო სექტორში კონკრეტული კვალიფიკაციის კადრების საჭიროებას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

"მშენებლობის წარმოების" პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ „კედლის დაფარვის სამუშაოების (სამღებრო სამუშაოების შესრულება" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. პროგრამაზე დაიშვება საბაზო განათლების მქონე პირი.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით კოლეჯში განსაზღვრულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია.**

კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილები და ტექნიკური აღჭურვილობა "კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება" პროგრამისათვის. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი. პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის 30 სტუდენტისათვის კოლეჯს გააჩნია კომპიუტერული ტექნიკით, ინტერნეტით, შესაბამისი მანქანა-დანადგარებით და ხელსაწყო-იარაღებით აღჭურვილი სასწავლო სახელოსნო, სადემონსტრაციო საშუალებებითა და ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული აუდიტორია და A გარემო.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

სსიპ კოლეჯი „ლაკადა" უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის — *„კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება)"* — ეფექტიან განხორციელებას შესაბამისი საგანმანათლებლო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. პროგრამის მიზნებისა და მოდულების სწავლების შედეგების მისაღწევად, კოლეჯს გააჩნია სპეციალურად ამ პროგრამისთვის გამოყოფილი **სასწავლო სახელოსნო**, რომელიც აღჭურვილია დარგის სპეციფიკის შესაბამისი საჭირო ინვენტარითა და აღჭურვილობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი სასწავლო გარემო და რესურსები სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს პროფესიულ სტუდენტს, რეალურად შეისწავლოს და განავითაროს პროფესიული უნარები პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

**5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს არჩევითი მოდულები.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

**6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

პროგრამა „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის მ/შ მიერ.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

**7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის “მშენებლობის წარმოების“ საფუძველზე და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

**8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

-------------------------

-------------------------

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება“ შემუშავებულია "მშენებლობის წარმოების" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე და კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 7 სავალდებულო პროფესიულ მოდულს ჯამური 35 კრედიტის მოცულობით, 7 სავალდებულო ზოგად მოდულს ჯამური 19 კრედიტის მოცულობით და 3 საერთო პროფესიულ/დარგობრივ მოდულს ჯამურად 5 კრედიტის მოცულობით. საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 59 კრედიტის დაგროვება. არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა კი უნდა დააგროვონ 74 კრედიტი, რომელთაგან კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო 59 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 მოდულები (15 კრედიტი). „მოდულების, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძანების №42/ნ შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება)“ ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება“ მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
- მისია, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- 2021 წლის 28 ოქტომბრის N04/79 ბრძანება სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა მეთოდოლოგიაში ცვლილების შეტანის შესახებ.
- ინტერვიუირება;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- 2024 წლის 6 დეკემბრის ბრძანება N 04/60. სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი”.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

------------------------
------------------------
------------------------
------------------------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაშია „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება)“ პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და სასწავლო რესურსი. კოლეჯის რესურსი უზრუნველყოფს 30 პროფესიული სტუდენტის (ორ ცვლაში) მიერ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მიზნების მიღწევისათვის გამოყოფილია „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება)“ სასწავლო სახელოსნო. სახელოსნო აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, დანადგარებით, ხელსაწყო-იარაღებით. სახელოსნოში არის კომპიუტერულ ტექნიკასთან და ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობა. კომპიუტერული კლასი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებისა და მასწავლებლისათვის აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, საპრეზენტაციო საშუალებებით და ინტერნეტით. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის სტუდენტებისათვის და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სპეციალიზაციის მოდულების განსახორციელებლად, დარგის მასწავლებლად განსაზღვრულია 3 პროფესიული მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის გაანგარიშებისას კოლეჯი ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ აქტივობებს - მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი და სხვ. პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პროგრამის განმახორციელებელ პირებს უდასტურდებათ დარგობრივი კომპეტენცია. მათი სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ინტერვიუირებისას ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ მომავალში დაგეგმილია მათი განვითარების ღონისძიებები. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ჩატარდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, ასევე, მისი განვითარების მიზნით დაწესებულების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტივობებში მონაწილეობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას თვალნათელი იყო, რომ იცნობდნენ მოდულის შინაარსს, გააჩნდათ მისი განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები, იცნობდნენ ინტერაქტიული სწავლების მეთოდებს და შეფასების წესებს, რაც უზრუნველყოფილ იქნა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ჩატარებული ტრენინგებით. ისინი გამოთქვამენ მზაობას დამატებით ტრენინგებში მონაწილეობისათვის. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კოდექსით მოთხოვნილ არსებით პირობებს. მასში განსაზღვრულია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი.

**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმითა და ინტერვიუთი. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა თავის, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის როლზე და ფუნქცია-მოვალეობებზე.

**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომობა. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსი სრულად ფარავს პროგრამის მოდულებს. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით სტუდენტთათვის შესაბამისი ცოდნის მიცემა და სწავლის შედეგების გამომუშავება შესაძლებელია. ბიბლიოთეკაში გამოკრულია "ბიბლიოთეკის დებულება" და „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი". ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მოდულებში მითითებული საგანმანთლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა.

პროგრამის განხორციელებისთვის საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალურად, ასევე ბიბლიოთეკაში დაცულ CD/DVD დისკებზე. მათი მოხმარება დარეგულირებულია დოკუმენტით „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი". ექსპერტებმა ვიზუალურად დაათვალიერეს ბიბლიოთეკის გარემო. ინტერვიუირებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტები ძირითადად იყენებენ საგანმანათლებლო რესურსს ელექტრონული სახით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

კოლეჯში განსაზღვრულია სსსმ პირების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა - სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**7. რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელშიც გაწერილია პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, კოლეჯის მიერ განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი - 5 პროფესიული სტუდენტით. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც შემოსავლების სახეობად განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ხარჯების ნაწილში გაწერილია - პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი ანაზღაურების, სასწავლო მასალისა და ნედლეულის, ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება“;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- შესყიდვის დოკუმენტაცია და მიღება-ჩაბარების აქტები;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

კოლეჯში ხარისხის მართვის უზრუნველყოფა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გააუმჯობესე. სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობს აღნიშნული ციკლის შესაბამისად. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის, შიდა მონიტორინგის ჯგუფის და შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ. ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერის, სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის, ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მართვის სპეციალისტის, პროგრამის ხელმძღვანელებისა და კოლეჯის მასწავლებლების აქტიური ჩართულობით. ხარისხის მართვის მენეჯერი პასუხისმგებელია სტუდენტების, მასწავლებლების რეგულარულ გამოკითხვაზე, მიღებული შედეგების ანალიზსა და რეკომენდაციების შემუშავებაზე. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაგეგმვა ხორციელდება პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. სასწავლო გეგმები იძლევა სწორ გზას პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესაძლებლობის შესახებ, რომლის მიზანია მუდმივად განახორციელოს სასწავლო პროგრამების გაუმჯობესება და სახელმწიფო სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათი მაქსიმალურად დაახლოება. კოლეჯი რეგულარულად ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას, ატარებს სტუდენტების, თანამშრომლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას და ა.შ. კვლევის ანალიზის მასალები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული აქტივობების შედეგების ანალიზის საფუძველზე - პროფესიულ სტანდარტში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელს. მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროცედურების და წესების შესაბამისად დირექტორის მ/შ მიერ გამოიცემა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში განისაზღვრება პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც აღნიშნული ცვლილება გავრცელდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2024 წლის 6 დეკემბრის ბრძანება N 04/60 სსიპ კოლეჯი „ლაკადა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი
- 2025 წლის 20 თებერვლის N 04/06 სსიპ კოლეჯის „ლაკადა" ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების შესახებ
- პროგრამის შეფასების ფორმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------------------------
---------------------------
---------------------------
---------------------------

- კვლევების შედეგები
- ინტერვიუს შედეგები

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ადგილზე და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონულად. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულის შესახებ, ასევე, გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები გავლილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ჩატარდა ინტერვიუები სასწავლო კომპონენტის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებმაც დაადასტურეს რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო ცხრილების მიხედვით.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, ხორციელდება სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის. ინფორმაციის გავრცელება უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს. პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამას აქვს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები/თანამედროვე ტექნოლოგიები. თითოეულ მასწავლებელს ასევე აქვს გავლილი სწავლა-სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებში და მეთოდებში ტრენინგები, რაც წარმოდგენილია დოკუმენტურად მათ პირად საქმეებში.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სტუდენტების მოთხოვნაზე დროულად აბრუნებს უკუკავშირს. საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული პროფესიული სტუდენტის/სტუდენტებისათვის, რაც გულისხმობს სტუდენტის საჭიროებაზე მორგებული გეგმის შემუშავებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**

საგანმანათლებლო დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შ.პ.ს ,,ოთხო555'', რომლის ფარგლებშიც მოახდენს სასწავლო ექსკურსიების მოწყობას. მემორანდუმით გათვალისწინებული პროფ. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 30.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

**6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, „კედლის დაფარვის სამუშაოების (სამღებრო სამუშაოების შესრულება“ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ელექტრო გაყვანილობა ჩასმულია საკაბელო არხებში და გოფრირებულ მილებში, ქსელი აღჭურვილია დამცავი გამორთვის მოწყობილობით, რაც გარემოს ქმნის ელექტრულად უსაფრთხოს. დანადგარებთან გამოკრულია გამაფთხილებელი აბრები. სახელოსნოში განთავსებულია ცეცხმაქრები და სახანძრო აღჭურვილობა. სახელოსნო აღჭურვილია ბუნებრივი და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელოვნური ვენტილაციის სისტემით. სტუდენტებს აქვთ დამცავი სათვალეები, ჩაფხუტები, სპეც. ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. სახელოსნოში პრაქტიკული დავალებების შესრულების წინ სტუდენტებს უტარდებათ ინსტრუქტაჟი ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის აუცილებლობის შესახებ. რაც შეეხება კომპანიაში რეალურ სამუშაო გარემოში ექსკურსიას, სავალდებულოა უსაფრთხოების ზომების დაცვა. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ კომპანიას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც იზრუნებს პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებაზე. ჩატარდება ინსტრუქტაჟი.

<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025 წლის 27 თებერვლის N04/18 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა "იატაკისა და ფილის სამუშაოები", დანართებით
- 2023 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება N04/75 პროგამა "იატაკი და ფილის სამუშაოების" სასწავლო გეგმის ცვლილების შესახებ;
- მემორანდუმი გაფორმებული პარტნიორ კომპანიასთან;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუირება;
- ვიზუალური დათვალიერება.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას; პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური; შეფასების სისტემა ვალიდურია, რადგან გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით. შეფასების სისტემა სანდოა, რაც გამყარებულია განხორციელებული შეფასების შედეგები სათანადო მტკიცებულებებით. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისთვის. შეფასების სისტემა სამართლიანია, რასაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის იმგვარად ორგანიზებულობა (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები)., რომ შესაფასებელ პირს მიეცეს საშუალება, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები. ასევე შეფასებისას ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირ პირობებში არის ჩაყენებული, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ობიექტურობას.

შეფასება ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. დამკვიდრებული წესის თანახმად პროფესიულ პროგრამებში გამოიყენება ორივე ტიპის შეფასება:

- ✓ განმსაზღვრელი შეფასება (summative assessment) – საბოლოო შეფასება, რომელიც აჩვენებს, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სასწავლო შედეგებს.
- ✓ განმავითარებელი შეფასება (formative assessment) – სტუდენტების პროგრესის მონიტორინგი და უკუკავშირის უზრუნველყოფა.

გასაუბრების და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი ზრუნავს შეფასების სისტემის გაუმჯობესებაზე, რაც გამოიხატება შემდეგში:

კოლეჯი ატარებს ტრენინგებს შეფასების სისტემის ერთგვაროვნებისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად.

ყველა შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას, რათა იყოს ადეკვატური და შედეგზე ორიენტირებული. ვალიდაცია წარმოადგენს შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურებას.

ვალიდაცია ხორციელდება როდესაც: იქმნება ახალი შეფასების ინსტრუმენტი; ხდება არსებულ ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანა პერიოდულად ხორციელდება შეფასების სისტემის ვერიფიკაცია.

პროფესიულ სტუდენტებს აქვთ სრული ინფორმაცია შეფასების მექანიზმების შესახებ, იცნობენ გადაბარებისა და აპელაციის წესს.

<u>**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმებს. შეფასება შესაფასებელი პირის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. მნიშვნელობა არ აქვს, სად ხდება შეფასება, ან რა ფორმით არის ის წარმოდგენილი, შეფასება ყოველთვის მოიცავს პროცესზე დაკვირვებას, შედეგის (პროდუქტის) შეფასებას და გამოკითხვას. შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებები ობიექტურობა. ამ მიზნით ყოველწლიურად, წლის დასაწყისში დირექტორის ინდივიდუალურ- სამართლებრივი აქტით მტკიცდება ვერიფიკაციის გეგმა და ვერიფიკაციის ჯგუფი. ჯგუფს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. ჯგუფის წევრები ვალდებული არიან 6 თვეში ერთხელ წარუდგინონ დასკვნა ვერიფიკაციის პროცესის ხელმძღვანელს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შევიდეს გეგმაში ცვლილება. დარგის სპეციალისტი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის დასკვნა და შედეგების განხილვა ვერიფიკატორების მიერ შემუშავებული დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია იდენტიფიცირებული შეუსაბამობა გაიწეროს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ აქტივობად, ან უშუალოდ იდენტიფიცირებული შეუსაბამობიდან გამომდინარე, ცალკე შემუშავდეს გაუმჯობესების უზრუნველყოფის გეგმა. ვერიფიკატორების დასკვნების განხილვის შემდეგ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მუშავდება ერთიანი ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც წარედგინება დირექტორს.

ხარისხის მენეჯერმა წარმოადგინა აღნიშნული აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვერიფიკაციის კითხვარები, სამუშაო ოქმები და ანალიზის დოკუმენტი. ვერიფიკაციის დროს გამოკვეთილი საკითხების შესაბამისად ხდება შეფასების სისტემის გაუმჯობესება. ვერიფიკაციის პროცესის შემოწმება არ შემოიფარგლა მხოლოდ დოკუმენტაციის გაცნობით. ასევე გადამოწმდა მტკიცებულებები და შედგა გასაუბრება სტუდენტებთან, განმახორციელებლებთან და ვერიფიკატორებთან.

ვერიფიკაციის პროცესის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ მიუხედავად ზოგიერთი გამოწვევისა, კოლეჯი ახორციელებს გამჭვირვალე, ობიექტურ და სანდო შეფასებას.

<u>**შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

______________________

______________________

______________________

______________________

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ხოლო შეფასების უწყისებს უვადოდ; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის კრედიტების ათვისება და შედეგების დადასტურება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს. რაც აისახება ბრძანების თანახმად შექმნილი საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილების საფუძველია.
ამგვარი პროცედურები უზრუნველყოფს, რომ ყველა საჭირო მონაცემი და მტკიცებულება იყოს სათანადოდ დაფიქსირებული და დაცული, რომ კოლეჯი სრულად დაემორჩილოს კანონისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებს.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგ(ებ)ი გამოყენებული უნდა იყოს მათი შემდგომი განვითარებისათვის: მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი უწყისში ასახულ შედეგებს გონივრულ ვადაში აცნობს პროფესიულ სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მენეჯერს და ხარისხის მენეჯერს. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის მენეჯერთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ანალიზს. გამოვლენილი შეუსაბამობების შემთხვევაში მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას: პროგრამის განვითარების, მოდულის რიგითობის შეცვლის, სასწავლო გეგმის კორექტირების, სწავლის მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტის, საგანმანათლებლო რესურსების ცვლილების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
<u>შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის „ლაკადას“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები - დამტკიცებულია 2025 წლის 20 თებერვლის N 04/06 ბრძანებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ კოლეჯის „ლაკადას“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - დამტკიცებულია 2025 წლის 20 თებერვლის ბრძანებით ,N04/07
- ვერიფიკაციის დოკუმენტაცია;
- ინტერვიუების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---------------------------
---------------------------
---------------------------
---------------------------

**ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კულინარიის ხელოვნება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 12 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 86 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 116 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ელექტროობა |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0713 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 9 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 127 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 70 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 157 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 100 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ხის მხატვრული დამუშავება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0214 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 21 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 100 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სამკერვალო წარმოება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0723 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 16 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 100 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მეხილეობა |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მეხილეობაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0811 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 10 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | შედუღება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0715 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 9 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 38 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 53 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი - ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად

11.07.2025
თარიღი

Nana
Sharabidze
60001104705

Digitally signed by
Nana Sharabidze
Date: 2025.07.11
07:51:46



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  წევრების ხელმოწერები:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: